

178  
1972/2



# სახკრთა სამკრთაჲ



# საბჭოთა სამართალი

## № 5

სექტემბერი—ოქტომბერი  
1972 წელი  
გამოცემის XIX წელი

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურისა და  
უმაღლესი სასამართლოს ორგანო  
ო რ თ ვ ი უ რ ი ჟ უ რ ნ ა ლ ი


### შინაარსი


#### სსრ კავშირის შექმნის ორმოცდამეათე წლისთავი

თ. ლილუაშვილი — საბჭოთა სამოქალაქო პროცესუალური კანონმდებლობის განვითარება 50 წლის მანძილზე	3
ბ. ფოფხაძე — საქართველოს კომკავშირის მუშაობა ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის	10
გ. შანიძე — პარტიის რაიკომი და დამნაშავეების წინააღმდეგ ბრძოლა	15
ე. ტაკაძე — სახელმწიფო არბიტრაჟს 50 წელი შეუსრულდა	21
ე. მისკარიანი — მამობის სასამართლო წესით დადგენის საფუძვლები	26
პ. ჩხეიძე — განზრახ მკვლელობის გამიჯვნა სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებისაგან, რომელსაც დაზარალებულის სიკვდილი მოჰყვა	31
ო. გვახარია — მტკიცებითი ინფორმაციის სანდოობის საკითხისათვის	40
ვ. შანიძე — სხეულის ზოგიერთი არასასიკვდილო დაზიანების საკითხების სწორად გაგებისათვის	46
ა. ლაბარტყავა — საქართველოში საკოლმეურნეო კანონმდებლობის განვითარების ისტორიიდან	54
ვ. უვანია, ს. ლეკიშვილი — ილია ჭავჭავაძის ერთი უცნობი იურიდიული მნიშვნელობის ავტოგრაფი და იაკობ გოგებაშვილი	61

11884

<b>მოწინავეთა კორტრეტი</b>	66
შინაარსიანი ცხოვრების მაგალითი	68
მ. კვეციელავა — დამოკლეს მახვილი	72
ოფიციალური მასალა	93
ინფორმაცია	





## СОДЕРЖАНИЕ

### 50-ЛЕТИЕ ОБРАЗОВАНИЯ СОЮЗА ССР

Т. Лилуашвили — Развитие советского гражданского процессуального законодательства за 50 лет . . . . .	3
Н. Попхадзе — Работа комсомола Грузии по правовому воспитанию молодежи и укреплению социалистической законности . . . . .	10
Г. Шаинидзе — Райком партии и борьба с преступностью . . . . .	15
Е. Такидзе — Государственному арбитражу исполнилось 50 лет . . . . .	21
Е. Мискарян — Основы установления отцовства в судебном порядке . . . . .	26
П. Чхеидзе — Отграничение умышленных убийств от умышленных тяжких телесных повреждений, повлекших смерть потерпевшего . . . . .	31
О. Гвахария — К вопросу о надежности доказательственной информации . . . . .	40
В. Шанидзе — О правильном понимании некоторых несмертельных повреждений тела . . . . .	46
А. Лабартква — Из истории развития колхозного законодательства . . . . .	54
В. Жвания, С. Лекишвили — Один неизвестный автограф Ильи Чавчавадзе и Яков Гогешаши . . . . .	61

### ПОРТРЕТЫ ПЕРЕДОВЫХ ЛЮДЕЙ

А. Н. Ткебучава . . . . .	66
М. Квеселава — Домоклов меч . . . . .	68
Официальный материал . . . . .	72
Информация . . . . .	93

#### სარედაქციო კოლეგია

შპვ. № 3595  
 ტირაჟი 18.800  
 შპ 02059

ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი, თ. დადიანი, გ. ინწკირველი, აკ. კარანაძე, მ. ლომიძე, ვ. მაისურაძე, ზ. რატიანი, ა. ტაკიძე, ს. ქაჯაია, ვ. ქვაჩხია, თ. წერეთელი, ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. ტელეფონი — 99-09-62.

გადაეცა წარმოებას 1/XII-72 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/XII-72 წ., ქალაქის ზომა 70×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>; ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 6, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 8,4 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8,87.



# სსკკპ-ის უკანის ოკუპაციით ნიუსთაში

## საბჭოთა სამოქალაქო პროცესალური კანონმდებლობის განვითარება 50 წლის განმავლობაში

პროფ. თ. ლილუაშვილი

მოქალაქის უფლებათუნიანობა, ე. ი. უნარი იქონიოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, წარმოიშობა დაბადების დღიდან. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ თითოეული მოქალაქე ამ მომენტიდანვე შეიძლება აღმოჩნდეს მრავალი სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე, სხვადასხვა შინაარსის უფლების მატარებელი.

მოვალეობის შესრულება და სამოქალაქო უფლების განხორციელება უმეტესად ნებაყოფლობით ხდება, მაგრამ ხშირად მოვალეობა არ სრულდება და უფლება ვერ ხორციელდება. ამიტომ წარმოიშობა უფლების დაცვის მოთხოვნა და, თუ არ გამოიძებნა ეფექტური საშუალებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ დარღვეული ან სადავო უფლებების დაცვას, ასეთი უფლებები მოკლებული იქნება ყოველგვარ აზრს.

ამრიგად, თითოეული მოქალაქე შეიძლება გახდეს მონაწილე არა მარტო ურთიერთობის, რომელსაც მატერიალური სამართლის ნორმები აწესრიგებენ, არამედ აგრეთვე სამოქალაქო პროცესის მონაწილეც და ეს მარტოდენ იმიტომ კი არა რომ მისი უფლება ვინმემ დაარღვია, არამედ შეიძლება იმიტომაც, რომ მისი უფლება სადავო გახდა.

უფლების დაცვისათვის მოსაწესრიგებელ საქმიანობას ეწევა ყველა სახელმწიფო დამოუკიდებლად სოციალური წყობილებისა, თუმცა ამ საქმიანობის ფორმები და კლასობრივი მიმართულება სხვადასხვანაირია. ეს საკითხი მით უფრო დიდმნიშვნელოვანია საბჭოთა სახელმწიფოსათვის, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს უფლების დაცვას და საერთოდ მართლწესრიგის განმტკიცებას. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ საბჭოთა სახელმწიფო შექმნის პირველ დღიდანვე ზრუნავდა იმ ნორმების სრულყოფისათვის, რომლებიც არეგულირებენ სასამართლოს საქმიანობას. ამ ნორმების ერთობლიობა შეადგენს სწორედ სამოქალაქო პროცესუალურ სამართალს. მას როგორც სამართლის დამოუკიდებელ დარგს საფუძველი ჩაეყარა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისთანავე.

სასამართლოს შესახებ № 1 დეკრეტმა (1917 წ. 7 დეკემბერი) ჩამოაყალიბა სასამართლო განჩინების გასაჩივრების წესი, სამოქალაქო საქმეების განსჯალობა, პროცესში მხარეთა წარმომადგენლობის მონაწილეობა და სხვ. აქვე მოცემული იყო ერთი მეტად მნიშვნელოვანი დებულება, რომლის თანახმად სასამართლოები გადაწყვეტილების დადგენის დროს იხელმძღვანელებენ დამ-



ხობილი მთავრობის კანონებითაც, თუ ისინი რევოლუციის მიერ გაუქმებული არ ყოფილან და არ ეწინააღმდეგებიან რევოლუციურ სინდისს და რევოლუციურ მართლშეგნებას. ამრიგად, იმის გამო, რომ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ დღეებში არ იყო და არც შეიძლებოდა ერთბაშად შექმნილიყო ისეთი სრულყოფილი კანონმდებლობა, რომელიც ამომწურავად მოაწესრიგებდა სხვადასხვა ურთიერთობას, სასამართლოს უფლება მიეცა ეხელმძღვანელა რევოლუციამდელი მთავრობის კანონებით, მაგრამ მხოლოდ ზემოთქმული ორი პირობის ერთდროულად არსებობისას.

პროცესუალურ საკითხებს უფრო დაწვრილებით აწესრიგებდა სასამართლოს შესახებ № 2 დეკრეტი (1918 წ. 7 მარტი). მან დაუშვა სასამართლო წარმოება სამოქალაქო საქმეებზე 1864 წლის სასამართლო წესდების შესაბამისად, თუ ამ წესდების ნორმები გაუქმებული არ იყო და არ ეწინააღმდეგებოდა მშრომელი კლასების მართლშეგნებას.

რით ავხსნათ, რომ დეკრეტმა დაუშვა 1864 წლის სამოქალაქო სასამართლო წარმოების წესდების გამოყენების შესაძლებლობა?

პირველ რიგში, რა თქმა უნდა იმით, რომ ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა ისეთი პროცესუალური ნორმების შემუშავება, რომლებიც სრულყოფილად მოაწესრიგებდა პროცესის სუბიექტების საქმიანობას. მეორე მხრივ ფორმის კონსერვატიულობა საშუალებას იძლევა გამოვიყენოთ ის სხვადასხვა შინაარსით. საქმე იმაშია, რომ სამოქალაქო სამართლის პროცესი არის მატერიალური (სამოქალაქო, საოჯახო, შრომის და სხვა) სამართლის ფორმა. ცხადია, რომ ფორმა შინაარსით უნდა იყოს განსაზღვრული. როგორცაა მატერიალური სამართალი, როგორც შინაარსი, ისეთივე, მისი შესაბამისი უნდა იყოს პროცესუალური სამართალი, როგორც ფორმა. მაგრამ ფორმას ახასიათებს ერთგვარი დამოუკიდებლობა თავისი შინაარსისაგან, კერძოდ ფორმას შეუძლია განაგრძოს არსებობა იმისდა მიუხედავად, რომ ის აღარ შეესაბამება ახალ შინაარსს<sup>1</sup>. აქედან გამომდინარეობს მნიშვნელოვანი დასკვნა: გარკვეულ ჩარჩოებში ერთი და იგივე ფორმა შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა შინაარსისათვის. ზემოთ მოყვანილი შემთხვევა სწორედ ამისი დადასტურებაა. მაგრამ შინაარსისა და ფორმის შეუსაბამობა არ შეიძლება დაუსრულებლად გაგრძელდეს. შინაარსი ადრე თუ გვიან იზორებს მისთვის შეუსაბამო ფორმას. ეს ასეც მოხდა 1864 წლის სასამართლო წარმოების წესდების მიმართ. 1918 წლის 30 ნოემბერს მიღებულ იქნა სახალხო სასამართლოს შესახებ დებულება, რომელმაც აკრძალა დამხობილი მთავრობის კანონებზე მითითება და ამ კანონებით ხელმძღვანელობა. საბჭოთა სამოქალაქო სამართლის პროცესის ერთადერთ წყაროდ მოგვევლინა საბჭოთა კანონი, კერძოდ დებულება სახალხო სასამართლოს შესახებ და სხვა საბჭოთა საკანონმდებლო აქტები.

<sup>1</sup> დიალექტიკური მატერიალიზმი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1970 წ., გვ. 429.

ამასთან ერთად, თანდათანობით, გამოცდილების დაგროვებისა და პრაქტიკის განზოგადების შედეგად სულ უფრო უმჯობესდებოდა და სრულყოფილ სახეს იღებდა პროცესის ინსტიტუტები. ასე მაგალითად სასამართლოს შესახებ № 2 დეკრეტში უკვე ნათქვამი იყო, რომ სამოქალაქო საქმეთა გადაწყვეტის დროს სპეციალური ცოდნის საჭიროების პირობებში სასამართლოს თავისი ინიციატივით შეუძლია მოიწვიოს მცოდნე პირები სასამართლო შემადგენლობაში სათათბირო ხმის უფლებით.


ამრიგად, ექსპერტები შედიოდნენ სასამართლოს შემადგენლობაში და თუმცა ისინი არ წყვეტდნენ საქმეს მთლიანად, მაგრამ სარგებლობდნენ სათათბირო ხმის უფლებით. ეს შეცდომა სასამართლო ექსპერტიზის საკითხებში, ჩვენის აზრით უნდა აიხსნას რევოლუციამდელ რუსეთში ფაშთოდ გავრცელებული იმ შეხედულების ზეგავლენით, თითქოს ექსპერტი ეს არის ფაქტების მეცნიერული მოსამართლე. ეს შეცდომა მალე იქნა გამოსწორებული და მომდევნო საკანონმდებლო აქტები ძირითადად სწორად წყვეტდნენ ამ საკითხებს.

1923 წელს მიღებული იქნა რსფსრ პირველი სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც მთლიანად აგებული იყო საბჭოთა დემოკრატიის პრინციპებზე.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში სასამართლო წარმოების მოსაწესრიგებლად მიღებულ იქნა დებულება სახალხო სასამართლოს შესახებ, რომელიც დაამტკიცა საქართველოს რევკომმა 1921 წლის 26 ივლისს. დებულებაში საკმაოდ დაწვრილებით იყო განხილული სისხლისა და სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო წარმოების საკითხები და ჩამოყალიბებული საბჭოთა პროცესის მთელი რიგი პრინციპები. მათ შორის აღსანიშნავია: სასამართლო წარმოების ენად ქართული ენის გამოცხადება, ხოლო იმ რაიონებში, სადაც შერეული მოსახლეობა ცხოვრობდა სასამართლო წარმოების ენას განსაზღვრავდა მახრის რევკომის წარდგინებით საქართველოს რევკომი; საქმეთა გადაწყვეტის დროს სახალხო სასამართლოს უნდა გამოეყენებინა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოქმედი დეკრეტები, ხოლო მათი უქონლობის შემთხვევაში ეხელმძღვანელი სოციალისტური მართლშეგნებით, აიკრძალა განაჩენში და გადაწყვეტილებაში დამხობილი მთავრობის კანონზე მითითება; საქმის განხილვა ხდებოდა საჯაროდ; საქმის დახურულ სხდომაზე განხილვა დაიშვებოდა, თუ ამის აუცილებლობას საჭიროდ მიიჩნევდა სასამართლო; დაშვებული იყო აცილება და დგინდებოდა მისი განხილვის წესი; აცილება შეიძლებოდა როგორც მოსამართლისა ისე სახალხო მსაჯულისა; რეგულირდებოდა აგრეთვე სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანისა და მისი აღსრულების წესები.

1921 წლის სასამართლოს დებულების შემდეგ მიღებული იქნა სხვა საკანონმდებლო აქტები, რომლებიც ნაწილობრივ ავსებდნენ მას.

მნიშვნელოვანი მოვლენა პროცესუალური კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის საქმეში იყო საქართველოს სსრ პირველი სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც მიიღო სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენ-



ტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე მოწვევის მეორე სესიამ 1924 წლის 28 თებერვალს, ხოლო სამოქმედოდ შემოიღეს 1924 წლის პირველი მაისიდან. ამასთან დაკავშირებით მთლიანად გაუქმდა სახალხო სასამართლოს 1921 წლის 30 ივლისის დებულება და ყველა საკანონმდებლო აქტი, რომლებიც პროცესუალურ საკითხებს აწესრიგებდა.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1924 წლის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში, რომელიც საკმაო სისრულით არეგულირებდა სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო წარმოებას, შემუშავებული იყო საბჭოთა პროცესის ფუძემდებლური საწყისები. ისინი დღესაც მოქმედებენ და სოციალისტური მართლმსაჯულების დემოკრატიულ პრინციპებს წარმოადგენენ. მაგალითად, აღნიშნული კოდექსის თანახმად სასამართლო საქმის განხილვას შეუდგება მხოლოდ დაინტერესებული მხარის განცხადებით, მაგრამ პროკურორსაც უფლება ენიჭებოდა აღეძრა სარჩელი ან ჩაწეულიყო საქმეში, თუ ამას მოითხოვდა სახელმწიფოს ან მშრომელთა ინტერესები. სასამართლოს ევალება ყოველი ღონე იხმაროს რათა გამოარკვიოს მხარეთა ნამდვილი უფლებანი და ურთიერთობანი და თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ამ კოდექსის 119-ე მუხლით დამამტკიცებელი საბუთების შეგროვება შეეძლო სასამართლოს თავისი ინიციატივითაც, არ შეიძლება არ გავაკეთოთ დასკვნა, რომ აქ უკვე მოცემული იყო საბჭოთა სასამართლოს პროცესუალური აქტიურობის პრინციპი და ობიექტური ჭეშმარიტების პრინციპი; მხარეები აღჭურვილნი იყვნენ ფართო პროცესუალური უფლებებით, მაგრამ აქვე მოცემული იყო ერთი მეტად მნიშვნელოვანი დებულება, რომლის თანახმად მხარეებს ევალებოდათ სინდისიერად გამოეყენებიათ ყოველი საპროცესო უფლება. ამასთან დაკავშირებით სასამართლოს ევალებოდა დაუყოვნებლივ აღეკვეთა ყოველგვარი განცხადება და ბოროტი ხერხი, რაც მიზნად ისახავდა პროცესის გაჭინაურებას (ან არევიდარვას). ამავე კოდექსში მთელი სისრულით იყო ჩამოყალიბებული ნორმები, რომლებიც არეგულირებდნენ წარმომადგენლობას სასამართლოში, განსჯადობას, საქმეების განხილვას, სარჩელის აღძვრას, მტკიცებულებების გამოყენების წესებს, გადაწყვეტილებათა გასაჩივრებას და ა. შ.

სოციალისტური მშენებლობის ცალკეული ეტაპების თავისებურებათა ზეგავლენით საქართველოს სსრ 1924 წლის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში მრავალი ცვლილება იქნა შეტანილი. პროცესუალური ფორმების შემდგომი სრულყოფის მიზანშეწონილობამ და მთელმა რიგმა ცვლილებებმა, რომლებიც შეტანილ იქნა ამ კოდექსში, გამოიწვია ახალი საპროცესო კოდექსის მიღების აუცილებლობა.

1931 წლის 17 მაისს სრულიად საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო საქართველოს სსრ ახალი სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც სამოქმედოდ შემოიღებულ იქნა 1931 წლის 1 ნოემბრიდან.

ამ კოდექსმა შეინარჩუნა ყველა დებულება, რომელმაც გაუძლო პრაქტი-

კის გამოცდას. ამასთან ერთად მან შეავსო პროცესუალურ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზი და ახლებურად გადაწყვიტა მთელი რიგი საკითხები. კერძოდ, გაფართოვდა სახალხო სასამართლოების განსჯადობა. პირველ დაწყებითად განსჯადობა შემოფარგლული იყო ისეთი სარჩელებით, რომელთა ფასი არ აღემატებოდა 500 მანეთს. ყველა დანარჩენი საქმეები უნდა განეხილა ოლქის სასამართლოს ან საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას. ახალი კოდექსით სამოქალაქო საქმეების ძირითადი მასა სახალხო სასამართლოების განსჯადია. საქმის სწორად და სწრაფად განხილვის მიზნით 1931 წლის კოდექსმა შემოიღო საქმის წინასწარი მომზადების ინსტიტუტი. სრულიად ახლებურად გადაწყდა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს უფლებამოსილების საკითხი. 1931 წლის კოდექსის თანახმად საკასაციო საჩივარში აღნიშნული საბაბი უმადლესი ინსტანციის სასამართლოს ვერ შებორკავს და იგი განიხილავს საქმის როგორც გასაჩივრებულ ისე გაუსაჩივრებელ ნაწილს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სიახლე, რომელსაც შეიცავდა 279-ე მუხლის „გ“ პუნქტი. ამ პუნქტის თანახმად უმადლესი ინსტანციის სასამართლოს შეეძლო გამოეტანა გადაწყვეტილება არსებითად, საქმის ხელახალი განხილვისათვის გადაუცემლად, უკეთეს საქმის ფაქტიური მხარე საკმარისად ნათელი იყო და საჭირო ხდებოდა მხოლოდ გადაწყვეტილების მოტივების შეცვლა (კანონის აღნიშვნა და სხვა), ან უკეთეს პირველმა ინსტანციამ საქმის განმეორებით განხილვის დროს დაარღვია საკასაციო სარევიზიო ინსტანციის დირექტივები, რაც გაცემული იქნა პირველი გადაწყვეტილების გაუქმების დროს.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს იყო უდავოდ არსებითი და მეტად მნიშვნელოვანი სიახლე, რომელსაც არ შეიცავდა ყველა მოკავშირე რესპუბლიკის და მათ შორის რსფსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ისიც, რომ პრაქტიკამ სავესებით გაამართლა ამ ნორმის არსებობის მიზანშეწონილობა და ის გარკვეული დაზუსტებებით შევიდა ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ახალ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებში.

საქართველოს სსრ 1931 წლის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი დადებითად განსხვავდებოდა სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებისაგან პროცესუალური სამართლის ზოვიერთი სხვა საკითხების გადაწყვეტითაც. მაგალითად საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი იყო ერთადერთი გამონაკლისი, რომელიც შეიცავდა წესს, რომლის თანახმად სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, დაუშვებელია იმავე სარჩელის ხელმეორედ აღძვრა. მართლაც ეს წესი ეხება გადაწყვეტილების კანონიერი ძალის ნეგატიურ მოქმედებას და ღიად ტოვებს კანონიერი ძალის პოზიტიური მოქმედებას საკითხს, მაგრამ ეს უდავოდ იყო წინ გადადგმული ნაბიჯი<sup>2</sup>.

<sup>2</sup> Д. И. Полумордвинов, Законная сила судебного решения, изд. АН Грузинской ССР, Тб., 1964, стр. 17—18.



მაგრამ საქართველოს სსრ 1931 წლის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსს, ისე როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებს ჰქონდა ხარვეზები, აუცილებელი გახდა პროცესუალური კანონმდებლობის სრულყოფა და არსებული ხარვეზის შევსება. ამ მიზნით 1961 წლის 8 დეკემბერს მიღებულ იქნა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლები. ამასთან დაკავშირებით მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებს დაევალიათ მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა შესაბამისობაში მოეყვანათ აღნიშნულ „საფუძვლებთან“.

პრაქტიკულად ეს ნიშნავდა თითოეულ მოკავშირე რესპუბლიკაში ახალი სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მიღებას. ასეთი კოდექსები მართლაც მიღებულ იქნა.

ახალი სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი საქართველოს სსრ-ში მიღებულ იქნა 1964 წლის 26 დეკემბერს და სამოქმედოდ შემოღებული იმავითავე წლის 1 ივლისიდან. ამ კოდექსმა არა მარტო შეავსო პროცესუალურ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები, არამედ ახლებურად გადაწყვიტა მთელი რიგი საკითხები. კერძოდ, სამოქალაქო პროცესის შემდგომი დემოკრატიზაციის მიზნით გაფართოვდა საქმეში მონაწილე პირთა წრე. საქმეში მონაწილე პირებად ჩაითვლებიან არა მარტო მხარეები, მესამე პირები და პროკურორი, არამედ, სახელმწიფო მმართველობის ორგანოები, პროფკავშირები, სახელმწიფო დაწესებულებები, საწარმოები, კოლმეურნეობები და სხვა კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ამ ორგანოებს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში „შეუძლიათ აღძრან სარჩელი სხვა პირთა უფლებების დასაცავად ან ჩაებან პროცესში დასკვნის მისაცემად“ (43-ე მუხლი). ახალი საპროცესო კოდექსი ამომწურავად მიუთითებს იმ გარემოებებზე, რომელთა არსებობის შემთხვევაში სასამართლოებს უფლება ეძლევათ არ მიიღონ სარჩელი, შეწყვიტონ ან შეაჩერონ საქმის წარმოება და განუხილველად დატოვონ სარჩელი. სასამართლოებს არ შეუძლიათ გააფართოვონ აღნიშნულ გარემოებათა წრე. აქედან გამომდინარე, კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი გარემოების საფუძველზე სარჩელის მიუღებლობა ან საქმის წარმოების შეწყვეტა უნდა შეფასდეს როგორც მოსამართლის თვითნებობა, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა აღიკვეთოს შემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ.

უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს იმ ნორმებს, რომლებიც გადაწყვეტილების აუცილებელ რეკვიზიტებსა და გადაწყვეტილების შინაარსს ეხებიან. დაზუსტებული, შევსებული და ნაწილობრივ შეცვლილია ის ნორმები, რომლებიც გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებას ეხება. მნიშვნელოვანი ცვლილებებია შეტანილი საქმეების განსაკუთრებული წარმოების წესებში.

1931 წლის კოდექსი არასაკმაოდ აწესრიგებდა დამამტკიცებელი საბუთე-

ბისა და მტკიცების საშუალებათა გამოყენების წესებს. ეს კოდექსი სრულებით არ იცნობდა მტკიცებულებათა ისეთ სახეებს, როგორცაა მხარეთა ახსნა-განმარტება და ნივთიერი მტკიცებულება. ახალი კოდექსი დაწვრილებით და შკაფიოდ არეგულირებს მტკიცებულებათა გამოყენების წესებს.

მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადეს აგრეთვე საქმეების წინასწარი მომზადების, შეგებებული სარჩელის, საქმის განხილვის, საქმეების განსაკუთრებული წარმოებისა და სხვა წესებში.

1964 წლის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის სახით ჩვენ გვაქვს სრულყოფილი კოდექსი, რომლის განუხრელად დაცვა უდავოდ ხელს შეუწყობს სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების ამოცანების წარმატებით განხორციელებას.

---

# საქართველოს კომკავშირის გეგმა ახალგაზრდობის საქართველოში აღზრდასა და სოციალისტური კანონიერების განმკვიცხვისათვის

ნ. ფოფხაძე,

საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი

უკანასკნელ ხანს ახალგაზრდობის სამართლებრივ აღზრდას, საბჭოთა კანონების პროპაგანდას დიდი ყურადღება ექცევა.

პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოები, მილიცია, პროკურატურა ადრეც ატარებდა დიდ მუშაობას მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდისათვის. მაგრამ საზოგადოებრივი განვითარების სწრაფმა ტემპებმა ერთგვარად მოაძველა ამ მიმართებით მუშაობა, შეამცირა მისი ეფექტურობა. ამან კი შოთხოვა იმგვარად მოკაწყოთ ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდა, საბჭოთა კანონების პროპაგანდა, რომ იგი შეესიტყვებოდეს დღევანდელი მოთხოვნებს.

სავსებით ბუნებრივია, რომ აქედან გამომდინარე პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტები, რომლებიც ამ დარგში ჩვენი მუშაობის პროგრამად იქცა.

საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ ამ გადაწყვეტილებათა შესაბამისად მიიღო დადგენილება — „ახალგაზრდობის სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდის გაუმჯობესებისა და ამ დარგში კომკავშირის კომიტეტების როლის ამაღლების შესახებ“.

დადგენილებაში აღინიშნა სერიოზული ნაკლოვანებები, რაც ახასიათებდა კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობას და დაისახა ღონისძიებები მათი აღმოფხვრისათვის. დადგენილება ყველა პირველადმა კომკავშირულმა ორგანიზაციამ განიხილა.

გადახალისდა საქართველოს ალკ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის რესპუბლიკური კომისია. კომისიის სხდომაზე რეგულარულად განიხილება ახალგაზრდობის სამართლებრივ აღზრდასთან დაკავშირებული საკითხები.

ახალგაზრდობის სამართლებრივ აღზრდას საგანგებო ყურადღებას უთმობს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სამდივნო და ბიურო. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში განხორციელებული მუშაობა კი შეჯამდა საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე.

საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების ლექტორთა ჯგუფების წევრები სისტემატურად კითხულობენ მოსხენებებს სამართლებრივ თემებზე. კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის თხოვნით მეცნიერ-იურისტებმა საგანგებოდ დაამუშავეს ლექციები, რომლებიც დაიგზავნა ადგილობრივ ლექტორთა დასახმარებლად.

კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან ჩამოყალიბდა ახალგაზრდა

იურისტ-ლექტორთა ორწლიანი სკოლა, რომელიც მოამზადებს ლექტორთა კადრებს. სკოლას ხელმძღვანელობს პროფესორი ბორის ფურცხვანიძე.

ვახეთები „ახალგაზრდა კომუნისტი“, „მოლოდიოჟ გრუზიი“, რადიოს და ტელევიზიის ახალგაზრდობის რედაქციები ეწევიან კანონმდებლობის აქტუალურ საკითხების გამიზნულ, სისტემატურ პროპაგანდას, აგრეთვე ოპერატიულად აშუქებენ ამა თუ იმ დანაშაულისა და მის გამოსამკლავებლად განხორციელებულ ღონისძიებებს.

ყოველივე ეს ხელს უწყობს კომკავშირის კომიტეტებს დამნაშავეობის შემცირებისა და აღმოფხვრისათვის მუშაობაში.

იმ მრავალ ღონისძიებათა შორის, რომელსაც კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი ახორციელებს სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმეში, უნდა დავასახელოთ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კომკავშირული ორთვიურები, რომლებიც ტრადიციულად ზაფხულობით ტარდება რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად. ამ ღონისძიების დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მუქთახორების, უხედამხედველო ბავშვების გამოვლინებას, საშუალო სკოლა-დამთავრებულთა აღრიცხვასა და შრომით კოლექტივებში მათ ჩაბმას. ორთვიურის დროს კომკავშირულმა ორგანიზაციებმა გააჩაღეს მუშაობა ძნელად აღსაზრდელ მოზარდრა შორის, მოაწყვეს მათთვის საზაფხულო ბანაკები, რეიდები დანაშაულის აღკვეთა-აცილების მიზნით. უფრო მეტი ყურადღება ექცევა შრომა-გასწორებით დაწესებულებებში სამართლის პროპაგანდას, აგრეთვე იქიდან დაბრუნებულ ახალგაზრდობასთან მუშაობას.

ორთვიურის პერიოდში რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციებში ფართოდ გაიშალა შეჯიბრება საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დაწესებული გარდამავალი დროშის მოსაპოვებლად. სამართლის პროპაგანდისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმეში მოპოვებული წარმატებებისათვის ეს ჯილდო ყოველწლიურად გადაეცემა ხოლომე საუკეთესო რაიონულ ან საქალაქო კომკავშირულ ორგანიზაციას.

ორთვიურების წარმატებით ჩატარებისათვის იქმნება ოპერატიული შტაბი, რომელსაც სათავეში უდგანან კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი და შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე.

ორთვიურის დღეებში კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ბევრი საინტერესო ღონისძიება წამოაწყვეს ადმინისტრაციულ ორგანოებთან. ასეთ მჭიდრო თანამშრომლობას შედეგად ის მოჰყვა, რომ შარშან რესპუბლიკაში დანაშაული მნიშვნელოვნად შემცირდა, 11 რაიონში საერთოდ არ მომხდარა დანაშაული, ხოლო რესპუბლიკის 44 რაიონში მკვეთრად იკლო დანაშაულთა რიცხვმა. ასეთივე ტენდენციაა ამ მხრივ წლეულსაც.

რესპუბლიკის უმრავლეს კომკავშირულ ორგანიზაციასთან საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კომკავშირული ოპერატიული რაზმები და შტაბები, რომლებიც აერთიანებენ 30 ათასამდე ახალგაზრდა კომუნისტსა და კომკავშირულს. მართო შარშან საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად ოპერატიული რაზმების მიერ მოეწყო 7000-ზე მეტი რეიდი. ოპერატიული რაზმების დიდი აღმზრდელობითი მუშაობის შედეგად მილიციის აღრიცხვიდან მოიხსნა 150 ახალგაზრდა. კომკავშირული ორგანიზაციები, პარტიული,



საბჭოთა ორგანოების მხარდაჭერით და დახმარებით, სისტემატურად ატარებენ რეიდებს უმუშევარი ახალგაზრდობის გამოვლენისათვის. ბევრ პირველად კომკავშირულ ორგანიზაციას აქვს საშეფო მიკრორაიონი, სადაც ისინი ეწევიან პროფილაქტიკურ მუშაობას, განიხილავენ ამ საკითხს კომკავშირის კომიტეტის სხდომებზე და შედიან დასაბუთებული წინადადებებით საწარმოების ხელმძღვანელობის წინაშე, სკოლების ღირეკციებში, საბინაო კომიტეტებში.

ბევრ რაიონსა და ქალაქში ჩატარებულმა რეიდმა გამოავლინა უსაქმური ახალგაზრდები. ზოგიერთს აღმოაჩნდა ფიქტიური ცნობები მუშაობის შესახებ. ისინი, აგრეთვე ცნობების გამცემი პირები დაისაჯნენ. მარტო გასულ წელს ამ რეიდების შედეგად ქუთაისის, ზესტაფონის, მახარაძის ადმინისტრაციულმა ორგანოებმა სამუშაოზე გააგზავნა 186 პირი.

უსაქმურობის ფაქტების გამოვლენასა და თავიდან აცილებაში დიდი როლი ეკუთვნით კომკავშირულ ბეჭდვით ორგანოებს, აგრეთვე „კომკავშირულ პროექტორს“. მათი აქტიური მონაწილეობით გამოვლინდა კომკავშირის ზუგდიდის საქალაქო, სამტრედიისა და ლაგოდეხის რაიონული ორგანიზაციების საქმიანობის ნაკლოვანებები ახალგაზრდობის შრომით მოწყობაში. ფოთის პორტის „კპ“ შტაბმა გასულ ზაფხულს გამოავლინა შრომის დისციპლინის დარღვევის 17 და სამუშაოს გაცდენის 11 შემთხვევა. ეს კომკავშირელების მსჯელობის საგნად იქცა. განხორციელდა ქმედითი ზომები. ახლა ყოველ ახალგაზრდას აქვს საზოგადოებრივი დავალება, მონაწილეობს ტექნიკურ წრეებში, სპორტულ სექციებსა და ა. შ. საწარმოო დისციპლინის დარღვევის, სამუშაოს გაცდენის რიცხვი სამჯერ შემცირდა. შეიძლება მრავალი ასეთი მაგალითი მოვიყვანოთ რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობიდან.

ბევრ საწარმოში, კოლმეურნობასა და საბჭოთა მეურნეობაში შრომის დისციპლინის დამრღვევთა და სამუშაოს გამცდენთა მიმართ იყენებენ ინდივიდუალური კონტროლის ფორმებს. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ იქ, სადაც ახალგაზრდობასთან ასეთი მიზანსწრაფული და სისტემატური მუშაობაა ჩატარებული, დამნაშავეობა საგრძნობლად კლებულობს. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ზესტაფონის ფეროშენადნობის, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო, ქუთაისის საავტომობილო ქარხნები და მრავალი სხვა.

ნაყოფიერად მუშაობს კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტი. აქ ხშირად ეწყობა საქალაქო კომიტეტის ბიუროს და შინაგან საქმეთა საქალაქო სამმართველოს ერთობლივი სხდომები. ქალაქკომის პლენუმმა საგანგებოდ განიხილა ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის საკითხი.

კომკავშირის საქალაქო კომიტეტი აწყობს ერთთვიურებს დროებით უმუშევარი ახალგაზრდობის გამოსავლინებლად. შეიქმნა უსაქმურთა წინააღმდეგ ბრძოლის კომკავშირული რაზმები. ისინი ავლენდნენ ახალგაზრდებს, რომლებიც არ იყვნენ ჩაბმულნი საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში. მათ იძახებდნენ კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტში და საგანგებოდ შექმნილი შრომითი მოწყობის კომისია გზავნიდა სამუშაოზე. ასეთი წესით სამუშაოდ გაიგზავნა 1100 პირი.

კომკავშირული ორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ საშუალო და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლადამთავრებულებს. სწავლების

დამთავრებამდე 2-3 თვით ადრე შრომითი მოწყობის კომისია იღებს მეთე-  
კლასელების სიებს. წინასწარ მზადდება ნიადაგი მათი შრომითი მოწყობისათ-  
ვის. სკოლების დირექციები, კომკავშირული ორგანიზაციები, აქტიურად მონა-  
წილეობენ მათი ყოფილი აღზრდილების შრომითს მოწყობაში.

საინტერესოდ და ეფექტურად მუშაობენ უმაღლესი სასწავლებლების კომ-  
კავშირული ორგანიზაციები. საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის თვითე-  
ული ფაქტი სპეციალური მსჯელობის საგანი ხდება.

სტუდენტები უფრო აქტიურად ჩაებნენ სამართლის პროპაგანდის საქმე-  
ში, ეს განსაკუთრებით ითქმის თსუ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებზე.

კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი გამოვიდა იმის ინიციატორად, რომ  
კომპლექსურად შესწავლილიყო ახალგაზრდობაში ნარკომანიის გავრცელების  
მიზეზები და დამუშავებულიყო მასთან ბრძოლის მეცნიერული რეკომენდა-  
ციები.

ახალგაზრდა მეცნიერთა ჯგუფმა გამოიკვლია თბილისში, ქუთაისში, აჭა-  
რაში, აფხაზეთში მცხოვრები ნარკომანები. გამოკვლევა შეეხო აგრეთვე იმ  
პირებს, რომლებიც თავისუფლების აღკვეთის ადგილებში იმყოფებიან.

გამოკვლევის შედეგები და რეკომენდაციები წარედგინა საქართველოს სსრ  
უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს. ამის საფუძველზე საქართველოს სსრ სისხ-  
ლის სამართლის კოდექსში შეიტანეს ცვლილებები და დამატებები.

წლეულს დავამთავრებთ სოციოლოგიურ გამოკვლევას თავისუფალი  
დროის პრობლემასა და არასრულწლოვანთა დამნაშავეობის საკითხებზე. იგი  
ჩატარდება თსუ სოციოლოგიის კათედრასთან ერთად. ჯგუფის ხელმძღვანე-  
ლია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ა. გაბიანი.

უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კომკავშირული ორგანიზაცია  
შეფობას აიღებს თბილისის ლენინისა და კიროვის სახელობის რაიონებზე.  
პრაქტიკაში დაინერგება „სამართლის პროპაგანდის შესახებ ხელშეკრულების“  
დადება. ექსპერიმენტის სახით გაიხსნება 2—3 იურიდიული კონსულტაცია სა-  
ზოგადოებრივ საწყისებზე.

ამას გარდა ჩატარდება კომკავშირული ოპერატიული რაზმების მეთაურ-  
თა და მოწინავე რაზმელთა რესპუბლიკური შეკრება, მილიციის ახალგაზრდა  
მუშაკთა შეკრება. კომკავშირული პოლიტგანათლების სისტემაში მაქსიმალუ-  
რად გაიზრდება სამართლის შემსწავლელი წრეებისა და სემინარების რიცხვი.

მიუხედავად განხორციელებული მრავალი ღონისძიებისა რესპუბლიკის  
კომკავშირულ ორგანიზაციებს ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდის  
დარგში აქვთ სერიოზული ნაკლოვანებანი. ძირითად ნაკლად მიგვაჩნია უსის-  
ტემობა, ძალების დაქსაქსვა, დაინტერესებულ ორგანიზაციათა შორის კავში-  
რის სისუსტე, მუშაობის ახალი ფორმებისა და მეთოდების შეუსწავლელობა,  
რაც ჩვენი ღონისძიებების ნაკლებეფექტურობის მიზეზია. ამ მხრივ უაღრესად  
დიდი როლი უნდა შეასრულოს იუსტიციის სამინისტროსთან შექმნილმა სა-  
კოორდინაციო-მეთოდურმა საბჭომ.

მთავარია აუდიტორიის, განსაკუთრებით ახალგაზრდული აუდიტორიის  
სპეციფიკის გათვალისწინება, სამართლებრივი პროპაგანდის ფორმის სწორად  
შერჩევა. შეიძლება საჭირო გახდეს სამართლებრივი პროპაგანდის უკვე ჩამო-  
ყალიბებული ფორმებისა და არსებული საშუალებების შესწავლა (უნივერსი-  
ტეტები, სემინარები, კითხვა-პასუხის საღამოები და ა. შ.) და შერჩევა, უფრო

ეფექტური ფორმებისა და მეთოდების რეკომენდაციების შემუშავება (ერთი თემისათვის — ერთი ფორმა, ხოლო მეორე თემისათვის — მეორე, სტუდენტთათვის — ერთი, მასწავლებლებისათვის — მეორე, ხოლო მუშათა აუდიტორიისათვის — მესამე და ა. შ.).

სამართლებრივი აღზრდა უფრო მიზანდასახული უნდა იყოს და განკუთვნილი იმ კატეგორიისათვის, რომლისთვისაც ყველაზე მეტად არის საჭირო. ამ საქმეშიც ყველაფერი რიგზე როდია. ძალიან ხშირად იურისტები, მასწავლებლები, ლექტორები კითხულობენ ლექციებს, რომლებსაც ასობით პირი ესწრება, მაგრამ მათ შორის ნაკლებად შეხვდებით ადამიანს, რომელსაც კანონთან ჰქონია კონფლიქტი.

სერიოზულ გაუმჯობესებას მოითხოვს აგრეთვე სამართლებრივი პროპაგანდის ხარისხი.

ახალგაზრდობა ჩვენი საზოგადოების მომავალია. ჩვენთვის სულერთი როდია, როგორ იქცევიან ჩვენი ქალიშვილები და ჭაბუკები, როგორი იქნება მათი იდეალი და შეხედულებები იმ დროისათვის, როდესაც ისინი დაიკავებენ ჩვენი საზოგადოების ცხოვრების მთავარ პოზიციებს. ამ იდეალების და შეხედულებების აღზრდა საჭიროა ახლაც, თანაც გამუდმებით და მიზანსწრაფულად. საქართველოს კომკავშირი ყველაფერს გააკეთებს, რათა წარმატებით შეასრულოს ეს საპატიო ამოცანა.

---

# პარტიის რაიკომი და დაგნაგავობის წინააღმდეგ ბრძოლა

## 3. შაინიძე

საქართველოს კომპარტიის ხულოს რაიკომის მეორე მდივანი

წლებულს დეკემბერში ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, მშრომელი ინტელიგენცია, მთელი პროგრესული კაცობრიობა აღნიშნავენ დიდმნიშვნელოვან თარიღს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის სახელოვან ორმოცდამეათე წლისთავს.

ამ დიდი დღესასწაულისათვის მზადება მიმდინარეობს სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლის ნიშნით. არნახული პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა ახალი ძალით ცხადყოფს ჩვენი საზოგადოების მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას, პარტიისა და ხალხის მონოლითურ შეკავშირებას, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ურღვევ მეგობრობას და ძმურ თანამშრომლობას.

ხულოს რაიონის მშრომელები, რომლებიც წლების განმავლობაში დიდ წარმატებას აღწევენ მეურნეობის ყველა დარგში, ახლაც ენერგიულად იბრძვიან საიუბილეოდ აღებული ვალდებულებების გასაწარმოებად.

სოციალისტური საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე უპირველესი მნიშვნელობის ამოცანაა მშრომელთა კომუნისტური აღზრდა, მათს შეგნებაში წარსულის მავნე გადმონაშთების დაძლევა და ყოველგვარი ანტისაზოგადოებრივი გამოვლინების აღმოფხვრა. პარტიამ წამოაყენა ამოცანა — ძირშივე მოისპოს მართლწესრიგის ყოველი დარღვევა, დამნაშავეობა, მათი წარმომშობი ყველა მიზეზი.

რაიონის პარტიულმა, საბჭოთა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა სასამართლოს, პროკურატურისა და შინაგან საქმეთა განყოფილებასთან ერთად ამ ბოლო დროს საგრძნობლად გააძლიერეს მუშაობა სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის. ამ საქმიანობას ახლა უფრო მიზანსწრაფული და კონკრეტული ხასიათი მიეცა.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება ხულოგნობის, ავტოსაგზაო შემთხვევების, არასრულწლოვანთა დამნაშავეობის აღსაკვეთად. ამალდა მშრომელთა კოლექტივების მონაწილეობა სოციალისტური ქონების გატაცების, ქურდობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ. დაუნდობელი ბრძოლა გამოვუცხადეთ მუქთახირობას, ლოთობას.

პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად — სახალხო რაზმეულები ეფექტურად ებრძვიან იმ პირებს, რომლებიც არ იცავენ სოციალისტური თანაცხოვრების ნორმებსა და პრინციპებს, არღვევენ წესრიგს. 1971 წლის განმავლობაში გამოვლინდა ისეთი ოჯახები, რომელთაც ოჯახურ, მეზობლურ და სხვა საყოფაცხოვრებო კონფლიქტების ნიადაგზე ჰქონდათ უკმაყოფილება. სათანადო ახსნა-განმარტებითი მუშაობით, საზოგადოებრივი ზემოქმედების ყველა საშუალების უნარბიანად გამოყენებით 32 ოჯახს შორის აღდგა ნორმალური ურ-



თიერთობა, რითაც თავიდან იქნა აცილებული მოსალოდნელი დანაშაული. ეს მუშაობა შემდგომშიც გაგრძელდება.

წინა წლებთან შედარებით ერთგვარად შემცირდა მომხმარებელთა ზომი-  
წონასა და ანგარიშში მოტყუების, აგრეთვე ვაჭრობის წესების სხვა უხეში  
დაზღვევის ფაქტები. მაგრამ ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრია ნაკლოვანებები. შარ-  
შან შემოწმებულ 135 ობიექტიდან ვაჭრობის წესების დარღვევები გამოვლინ-  
და 54 ობიექტში, წვრილმანმა დანაკლისებმა შეადგინა 16,5 ათასი მანეთი, ამ  
დარღვევათა გამო სამუშაოდან გათავისუფლდა 17 მუშაკი.

პარტიის რაიონული კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს  
ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესებას. დაწესებულია  
მუდმივი კონტროლი დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების თა-  
ბაზე გამოტანილ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი. შარშან და წლეულს რა-  
იკომის ბიუროს სხდომებზე მოვისმინეთ რაიონის პროკურორისა და მშრომელ-  
თა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილების  
უფროსის, აგრეთვე სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის ანგარიშები. ასე-  
თივე ანგარიშით წარსდგა სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტი. მნიშ-  
ვნელოვნად გაუმჯობესდა ხელმძღვანელობა და დახმარება ამხანაგური სასა-  
მართლოების, სარევიზიო საკონტროლო, ადმინისტრაციული და არასრულ-  
წლოვანთა კომისიებისადმი. უფრო მეტი ყურადღება ეთმობა ადმინისტრაცი-  
ული ორგანოების მუშაკთა შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმეს. ამ  
ორგანოების პირველადს პარტიულ ორგანიზაციებთან შექმნილია და მუშაობს  
სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდის სექცია. მათი მონაწილეობით ხშირად  
ვაწყობთ რაიონში მომხდარ დანაშაულებრივ შემთხვევათა განხილვას და გა-  
მოგვაქვს სათანადო დასკვნები.

ამასთან, პარტიის რაიონულ კომიტეტს, პირველადს პარტიულ ორგანიზა-  
ციებს და ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების რაიონულ შტაბს სერიო-  
ზული მუშაობა მართებთ სამართალდარღვევების თავიდან აცილებისა და პრო-  
ფილაქტიკის დარგში მუშაობის გაძლიერების შესახებ სკკპ XXIV ყრილობისა  
და საქართველოს კომიტეტის XXIV ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად.

ყრილობის გადაწყვეტილებებმა ახალი სერიოზული ამოცანები დასახა სა-  
ზოგადოებრივი ორგანიზაციების წინაშე. მის განსახორციელებლად სპეციალუ-  
რი განრიგით გაიმართა საწარმოების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობების კო-  
ლექტივთა კრებები, რომლებზეც განიხილეს საზოგადოებრივი წესრიგის დაც-  
ვაში მშრომელთა მონაწილეობის გაძლიერების საკითხი. კრებებზე მოისმინე-  
ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების მეთაურთა ანგარიშები გაწეული მუ-  
შაობის შესახებ, ამასთან ერთად მოეწყო სახალხო რაზმეულების შემადგენლო-  
ბის განახლება. რაიონული კომიტეტი პარტიულ ორგანიზაციებთან და სახალ-  
ხო რაზმეულების რაიონულ შტაბთან ერთად ჯეროვან ყურადღებას უთმობდა  
სახალხო რაზმეულში მოწინავე კოლმეურნეებისა და მუშა-მოსამსახურეთა გა-  
ერთიანებას. ამჟამად ჩვენთან შექმნილია და მუშაობს სახელმწიფო საზღვრე-  
ბისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის 38 რაზმეული, რომლებშიც გაერ-  
თიანებულია 1500-მდე სახალხო რაზმელი, მათ შორის 600-მდე კომუნისტი და  
700 კომკავშირელი. მათ 1971 წელს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევი-  
სათვის მილიციის ორგანოებში წარადგინეს 25 მოქალაქე, ხოლო წლეულს 4  
თვეში — 9; მათივე მონაწილეობით გამოვლინებულია 200-მდე მოქალაქე,  
რომელთაც პასპორტი არა აქვთ.

პარტიის რაიკომი სისტემატურად ამოწმებს სახალხო რაზმეულების მუშაობას, ხშირად ეწყობა რეიდები და შემოვლა შედგენილი გრაფიკის მიხედვით.

შარშან დეკემბერში გაიმართა რაიონული აქტივის კრება მესაზღვრეებთან ერთად, რომელმაც განიხილა საკითხი „დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პოლიტიკური სიფხიზლის ამალღების საქმეში სახალხო რაზმეულების ამოცანები სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად“. აქტივის კრებას დაესწრნენ პირველადი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მდივნები, საწარმო-დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, სახალხო რაზმეულების უფროსები და სხვ. მოეწყო მოწინავე რაზმეულების მუშაობის გამოცდილების განზოგადება, სახალხო რაზმეულების დაივალიერების შედეგების შეჯამება. კრებაზე გამოვიდნენ პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნები, სახალხო რაზმეულების უფროსები, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები და სხვ.

რაიონის პარტიული ორგანიზაცია და აჭარის ასსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ხულოს რაიონული განყოფილება ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად ყოველ მხრივ ამალღებს მოსახლეობის პოლიტიკურ სიფხიზლეს. მშრომელებისათვის სისტემატურად ეწყობა ლექციები, მოხსენებები და საუბრები პოლიტიკური სიფხიზლის, საპასპორტო და სასაზღვრო რეჟიმის და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებზე. მიმდინარე წლის 20 მარტს გაიმართა სხალთის სასოფლო საბჭოს მშრომელთა ყრილობა, რომელიც მიეძღვნა სოციალისტური კანონიერების დაცვის საკითხებს სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით, აგრეთვე პოლიტიკური სიფხიზლის ამალღების საკითხს.


ყრილობაზე მოხსენებებით გამოვიდნენ აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ხულოს განყოფილების უფროსი უ. ბასილაძე, რაიონის პროკურორი მ. მამამთავრიშვილი, შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი ი. ხოზრევანიძე, რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ს. სირაძე და სხვები. ყრილობამ მიიღო მიმართვა სხალთის სასოფლო საბჭოს მშრომელებისადმი. ასეთივე ღონისძიებები ჩატარდა დიოკნისისა და ოქტომბრის სასოფლო საბჭოებში. ეს მუშაობა მომავალშიც გაგრძელდება.

დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პროფილაქტიკურ ღონისძიებათა განსახორციელების საკითხებზე სისტემატურად იბეჭდება მასალები რაიონულ გაზეთში. ამ საქმისათვის გამოყენებულია ადგილობრივი რადიომაუწყებლობაც.

რაიონში მუშაობს 400-ზე მეტი აგიტატორი და პოლიტინფორმატორი, რომლებიც თავიანთ საუბრებსა და ინფორმაციებში მშრომელთა ყურადღებას ამახვილებენ სოციალისტური კანონიერების დაცვის აქტუალურ პრობლემებზე.

პარტიის, რაიონული კომიტეტი პერიოდულად ატარებს კოლმეურნეობათა გამგეობის თავმჯდომარეების, ბუხპალტრების, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეების და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა რაიონულ თათბირ-სემინარებს. ამ ღონისძიებებზე წინა პლანზეა წამოწეული სოციალისტური კანონიერების დაცვის საკითხები. მიმდინარე წლის 8 და 9 აპრილს ასეთ თათბირ-სემინარზე მოვისმინეთ შემდეგი საკითხები: კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაცია და ეკონომიკის შესახებ, კოლმეურნეობებში მიწათმოწყობის უფ-

1188



ლებრივი რეჟიმის შესახებ (მიწის ახალი კანონმდებლობის საფუძვლები მიხედვით), კოლმეურნეობის მმართველობის უმაღლესი ორგანოები და მათი უფლება-მოვალეობანი, კოლმეურნეობა, როგორც იურიდიული პირი, კოლმეურნეობებში წყლის რესურსების უფლებრივი რეჟიმის შესახებ, აღრიცხვა-ანგარიშსწორებისა და საფინანსო დისციპლინის განმტკიცების შესახებ, კვარტალური, თვიური და პერიოდული მასალების შედგენისა და ზემდგომ ორგანოებში წარმოდგენის საქმეში პასუხისმგებლობის ამოღების შესახებ. თათბირ-სემინარზე მოხსენებებით გამოვიდნენ საქართველოს კპ ხულოს რაიკომის პირველი მდივანი მ. ბერიძე, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ლ. რიყვაძე, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ს. ხოზრევანიძე და სხვები.


თანმიმდევრობით განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად განმტკიცდა საზოგადოებრივი წესრიგი, ამოღდა მოსახლეობის პოლიტიკური სიფხიზლე-რაიონში ახლა ორმოცზე მეტი ისეთი დასახლებული პუნქტია, სადაც უკანასკნელ წლებში დამნაშავეობის არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა. ასეთ სოფლებს ეკუთვნის წაბლანა, ჩაო, თავო, კორტოხი, ტაბახმელა, შუასოფელი, ძმაგულა, ჭერი და სხვ. 1971 წელს რაიონში 23,4 პროცენტით ნაკლები სისხლის სამართლის დანაშაულია ჩადენილი. შემცირდა პასუხისგებაში მიცემულ პირთა რაოდენობაც.

მაგრამ ჩვენს მუშაობაში მაინც არის ზოგიერთი ნაკლი. სახალხო რაზმეულების ნაწილი ვერ ახორციელებს სამუშაო გეგმებით დასახულ ღონისძიებებს. ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაცია ვერ უწყევს მათ სათანადო დახმარებას. სერიოზული ნაკლოვანებებია ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობაშიც. არ არის აღმოფხვრილი საქმეთა გამოძიების გაჭიანურებისა და უხარისხოდ გამოძიების შემთხვევები, სასამართლო ორგანოებში ჯერ კიდევ ირღვევა საქმეთა განხილვის ვადები.

ზოგიერთ დაწესებულებასა და ორგანიზაციაში არ ზრუნავენ სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის. ადგილი აქვს წვრილმანი გატაცებისა და განიავების შემთხვევებს. რიყეთის კოლმეურნეობის საწყობის ყოფილი გამგე მ. კოჩალიძემ მიითვისა 700 მანეთის პროდუქტია, ხოლო ბაკოს კოლმეურნეობის მოლარემ შ. დუაძემ — 500 მანეთი. საბუხჰალტრო აღრიცხვა და ფინანსური დისციპლინა უხეშად ირღვეოდა ოქტომბრის სასოფლო საბჭოში. შემოწმებით გამოირკვა, რომ მოლარე ნ. მელაძემ მოსახლეობიდან მიღებული გადასახადებიდან მიითვისა 600 მანეთი. ზოგან ირღვევა სახელმწიფო სახსრების ხარჯის წესები. ადგილი აქვს დაგეგმილი შენობების მშენებლობის გაჭიანურების ფაქტებს. ბევრი სამუშაო უხარისხოდ სრულდება. საზოგადოებრივი კვების ობიექტებსა და სავაჭროებში პროდუქტებისა და საქონლის ხანგრძლივად ცუდად შენახვას მოსდევს მათი გაფუჭება და განადგურება. რაიკოპერატივის საზოგადოებრივი კვების ქსელში გაფუჭდა და ჩამოიწერა 400 კილოგრამი ხორცი და სხვა მალფუჭადი პროდუქტები. ცხადია, ასეთ ფაქტებს საწარმოები და კოლმეურნეობები არ უნდა ურიგდებოდნენ.

ჩვენი ხალხი ყოველთვის სასტიკად ებრძოდა უსაქმურებს, ზარმაცებს, პარაზიტებს, ყველა ჯურის ანტისაზოგადოებრივ ელემენტებს.

რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოები მკაცრ ზომებს ხმარობენ იმ პირთა მიმართ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრო-



მას და პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან. შარშან რაიონის კოლმეურნეობებში სავალდებულო მინიმუმი არ გამოუმუშავებია 658 შრომისუნარიან კოლმეურნეს, მათ შორის რამდენიმე კაცი საკოლმეურნეო შრომაში სრულიად არ მონაწილეობდა.

სათანადო ზომები არ ტარდება კოლმეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის. საკოლმეურნეო ტყეებს, სათიბ-საძოვრებსა და სხვა საშუალებებს ცალკეული პირები იყენებენ პირადი გამორჩენისათვის, რაც სერიოზულ ზიანს აყენებს საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებას. ლიკვიდირებული არ არის საკოლმეურნეო მიწების გატაცება-განიავეების შემთხვევები.

1968 წლის დეკემბერში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ მიიღო კანონი — „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწების კანონმდებლობის საფუძვლები“. ეს იყო მიწების სწორი და რაციონალური გამოყენებისათვის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ზრუნვის ახალი მკაფიო გამოვლინება. ამავე საკითხებს დიდი ყურადღება დაეთმო კოლმეურნეთა საკავშირო მე-3 ყრილობაზე და აისახა ახლად მიღებულ საკოლმეურნეო წესდებაში.

სოფლის მეურნეობის სავარგულის, განსაკუთრებით კი დამუშავებული მიწის ფართობის მცირე ხვედრითი წონა ხულოს რაიონის მიწის ფონდის დამახასიათებელი თავისებურებაა.

მიწათსარგებლობის წესების დარღვევის ფაქტები იყო მეკეიძეების, ოქრუაშვილების, ოქტომბრის, სიხაძორის, ბოძაურის, ბედლეტის, დანისპარაულის, დიდაჭარისა და თხილვანის კოლმეურნეობებში. ოქტომბრის კოლმეურნეობაში საკარმიდამო მიწის ფონდის გარეშე გასცეს 2,5 ჰექტარი სახნავი მიწის ფართობი.

გასულ წელს მიწათსარგებლობის წესების უხეში დარღვევები გამოვლინდა სტეფანაშვილების კოლმეურნეობაში. კოლმეურნეობის გამგეობის ყოფილმა თავმჯდომარემ ი. ცეცხლაძემ საკოლმეურნეო წესდების დარღვევით მისცა 9 კომლს საკოლმეურნეო მიწები. ასეთი და სხვა დარღვევებისათვის იგი განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

საქართველოს კომპარტიის ხულოს რაიკომმა სავანგებოდ შეისწავლა და რაიკომის ბიუროზე განიხილა რაიონის კოლმეურნეობებში მიწათსარგებლობის წესების დაცვის საკითხი და დასახა სათანადო ღონისძიებები მდგომარეობის გამოსასწორებლად.

რაიონში დიდი მუშაობაა გაჩაღებული ბავშვთა და მოზარდთა თაობის სწავლა-აღზრდის გაუმჯობესებისათვის. მიღებულია ყველა ზომა რათა უმეტესად ყურადღება არ დარჩეს არც ერთი ბავშვი. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როცა არასრულწლოვანები არღვევენ მართლწესრიგს, ქურდობენ, იტაცებენ სახელმწიფო ქონებას, გაუბრბიან შრომას, არცხვენენ საბჭოთა ახალგაზრდის სახელს. სოფელ ქედლების მცხოვრებმა მიხეილ მეხეშიძემ სხვის ხარჯზე ცხოვრება და ქურდობა გაიხადა ხელობად. დიდაჭარის თამბაქოს დამზადების პუნქტიდან გაიტაცა 120 კილოგრამი თამბაქო და ჩააბარა ხულოს თამბაქოს დამზადების პუნქტს. მაგრამ მას ადგილზე წაასწრეს. იგივე მ. შეხეშიძემ მალე უფრო მძიმე დანაშაული ჩაიდინა. იხელთა ხალხის არ ყოფნით და დღისით გატეხა ქედლების სასოფლო მღაზია, საიდანაც გაიტანა ნავაჭრი 500 მანეთი და სხვა საქონელი. ხულოს სახალხო ასამართლომ მ. შეხეშიძეს მიუსაჯა რამდენიმე წლით პატიმრობა.




სოფელ ოქრუაშვილების საშუალო სკოლის მერვე კლასის მოსწავლემ ნოდარ თავართქილაძემ ორჯერ ჩაიდინა ქურდობა. შემოწმებით დადგინდა, რომ ნ. თავართქილაძე მამით ობოლია, თავის მხრივ დედამ და სკოლამ იგი მეთვალყურეობის გარეშე დატოვეს და ამან გამოიწვია ის, რომ იგი ქუჩაში აღმოჩნდა და ხელი მიჰყო წვრილმან ქურდობას.

მთა ჯანჯღნარის საზაფხულო საძოვრებზე ხელვაჩაურის რაიონის მცხოვრებმა არასრულწლოვანმა ზურაბ ფანტენაძემ გაუფრთხილებლობის შედეგად სასიკვდილოდ დაჭრა ირემაძეების მცხოვრები არასრულწლოვანი ალ. ირემაძე, რომელიც შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

ბავშვთა და მოზარდთა შორის დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეს სათავეში უნდა ჩაუდგნენ განათლების ორგანოები, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები. საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ არ დარჩეს არცერთი ბავშვი და მოზარდი ზედამხედველობის გარეშე. უნდა აღკვეთოთ არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევები, ჩავაბათ ამ მუშაობაში ფართო საზოგადოებრიობა.

კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცება დიდად არის დამოკიდებული სახელმწიფო დისციპლინის დაცვაზე. კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების სწრაფი ზრდა, სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარება და ახალ ადამიანთა სულიერი სამყაროს ფორმირება შეუძლებელია სახელმწიფო დისციპლინის დაცვის გარეშე. სახელმწიფო დისციპლინის ყოველგვარი შესუსტება ბაზა ხდება სხვა უფრო მძიმე სამართალდარღვევის წარმოშობისა.

პარტიის რაიონული კომიტეტი, სახალხო რაზმეულთა რაიონული შტაბი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები, თითოეული კომუნისტი და აქტივისტი ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკებთან ერთად გააძლიერებენ ბრძოლას დამნაშავეობათა და საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ, კვლავაც განამტკიცებენ კავშირს ჩვენს სახელოვან მესაზღვრეებთან, ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ ჩვენი რაიონი გადაიქცეს სანიმუშო წესრიგის რაიონად.



# სახელმწიფო არბიტრაჟის 50 წელი შეუსრულდა

მ. ტაბიძე,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი არბიტრი

სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოები ვ. ი. ლენინის სიცოცხლეშივე შეიქმნა. 50 წლის წინათ 1922 წლის 21 სექტემბერს სრულიად რუსეთის აღმასრულებელმა კომიტეტმა და რსფსრ სახალხო კომისართა საბჭომ გამოსცეს „დებულება სახელმწიფო დაწესებულებებსა და საწარმოთა შორის ქონებრივი დავების გადაწყვეტის წესის შესახებ“. ამ დებულებით სახელმწიფო დაწესებულებებსა და საწარმოთა შორის ქონებრივი დავები უნდა გადაეწყვიტა რსფსრ შრომის თავდაცვის საბჭოსთან არსებულ უმაღლეს საარბიტრაჟო კომისიას, ხოლო ადგილებზე საოლქო ეკონომიურ თათბირებთან არსებულ საარბიტრაჟო კომისიებს, ვინაიდან, კანონის თანახმად ასეთი დავები არ შეიძლებოდა გადაწყვეტილიყო უწყებათა შიგნით.

სახელმწიფო ორგანოებს შორის ქონებრივი დავების გადასაწყვეტად სპეციალური ორგანოების შექმნა დაკავშირებული იყო პარტიისა და მთავრობის ღონისძიებებთან და მიმართული იყო ახალი ეკონომიური პოლიტიკის განხორციელების პერიოდში სოციალისტური კანონიერების, ორგანიზაციების საქმიანობაში სამეურნეო ანგარიშობის დანერგვის შემდგომი განმტკიცებისაკენ.

სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების შექმნის დღიდან მთავრობამ არაერთხელ მიიღო დადგენილებები, რომელთა შესაბამისად იცვლებოდა არბიტრაჟის კომპეტენცია და დასახელება.

სსრ კავშირის შექმნასთან დაკავშირებით ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და სახალხო კომისართა საბჭომ 1924 წლის 6 მაისს დაამტკიცეს სსრ კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული საარბიტრაჟო კომისიის დებულება, რომელშიც, კერძოდ, განისაზღვრა არბიტრაჟის კომპეტენცია დავების გადაწყვეტის დროს, ჩამოითვალა დავები, რომელიც ამოღებული იყო არბიტრაჟის ქვემდებარეობიდან, გადაწყდა არბიტრაჟის პროცესის უმნიშვნელოვანესი საკითხები, მათ შორის საარბიტრაჟო კომისიის გადაწყვეტილებაზე ზედამხედველობის განხორციელების წესი.

1924 წლის 29 ოქტომბრის „სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლო წყობილების საფუძვლების“ 22-ე მუხლით სახელმწიფო დაწესებულებებსა და საწარმოებს შორის ქონებრივი დავები განიხილებოდა: ა) სსრ კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული უმაღლესი საარბიტრაჟო კომისიის მიერ, ბ) საკავშირო რესპუბლიკების უმაღლესი საარბიტრაჟო კომისიის და ადგილობრივი (საოლქო, საგუბერნიო) საარბიტრაჟო კომისიების მიერ.

1930-1932 წლებში საკრედიტო რეფორმის განხორციელებასთან დაკავშირებით მიზანშეწონილად იქნა ცნობილი საარბიტრაჟო კომისიების ნაცვლად სახელმწიფო არბიტრაჟის დაწესება.

1931 წლიდან დადგინდა, რომ ხელშეკრულების საფუძველზე ორგანოებს შორის წარმოშობილი ყველა დავა დაკავშირებული ურთიერთ მატერიალურ პასუხისმგებლობასთან წყდება სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების მიერ. სსრ კავშირის ცაკმა და სახკომსაბჭომ 1931 წლის 3 მაისის დადგენილებით დაამტკიცა დებულება სახელმწიფო არბიტრაჟის შესახებ, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ სახელმწიფო არბიტრაჟი ყალიბდება დაწესებულებებსა, საწარმოებსა და განზოგადებული სექტორის ორგანიზაციებს შორის ქონებრივი დავების გადასაწყვეტად, იმ მიმართებით, რომ უზრუნველყოფილ იქნას სახელმწიფოებს, საგემო დისციპლინის და სამეურნეო ანგარიშიანობის განმტკიცება. აქვე მითითებული იყო ისიც, რომ სახელმწიფო არბიტრაჟი წყვეტს ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ყველა დავას, ხარისხის შესახებ დავებს და სხვა ქონებრივ დავებს საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის.

დებულებამ განსაზღვრა სსრ კავშირში სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანიზაციული წყობა, დადგინა რა, რომ სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოები იქმნებიან სსრ კავშირის მთავრობასთან, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობებთან და სამხარეო და საოლქო აღმასკომებთან. დებულება ამასთან ადგენდა დავების გადაწყვეტის დარგში სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებს, როგორცაა გადაწყვეტილებათა კანონიერებისა და საფუძვლიანობაზე ზედამხედველობის განხორციელება, გადაწყვეტილებათა აღსრულება და დავების განხილვის დროს გამოვლინებულ დარღვევებზე შეტყობინებების სათანადო ორგანოებში გაგზავნა.

სახალხო მეურნეობის საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის სახელმწიფოებს ურთიერთობის განვითარებასთან ერთად ფართოვდებოდა სახელმწიფო არბიტრაჟის კომპეტენცია: სახელდობრ, სახელმწიფო ორგანოებს ქონებრივი დავების განხილვის გარდა დაევალიათ ხელშეკრულების დადების დროს სხვადასხვა უწყებებსა და კოოპერაციული სისტემის ორგანიზაციებს შორის წარმოშობილი დავების განხილვაც.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 23 ივლისის დადგენილება „სახელმწიფო არბიტრაჟის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“, რომელმაც გააფართოვა სახელმწიფო არბიტრაჟის კომპეტენცია, ხაზი გაუსვა სახელმწიფო არბიტრაჟის საქმიანობის მთელ რიგ მნიშვნელოვან მომენტებს. დადგენილებით სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარ ამოცანას წარმოადგენს საწარმოებსა, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებზე აქტიური ზემოქმედება მათ მიერ სამეურნეო გეგმებისა და სამეურნეო ანგარიშის განმტკიცების, საქმეში, დავების განხილვის დროს საწარმოთა და ორგანიზაციათა უფლებების დაცვა. ამასთან ერთად არბიტრაჟს უფლება მიეცა საგემო და სახელმწიფოებს ვალდებულებათა შესრულების დროს გამოეყენებინა სანქციები, გაეძლიერებინა ბრძოლა ხარისხისა და კომპლექტურობის შესახებ კანონმდებლობის დამრღვევთა მიმართ, სისტემატურად შეესწავლა და განზოგადებინა საქმეთა მასალები ორგანიზაციებსა და საწარმოთა მუშაობაში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა თაობაზე სათანადო ორგანოების წინაშე საკითხის დასაყენებლად.

სახელმწიფო არბიტრაჟში უდავო და უსაფუძვლო ძიებების თავიდან აცილების მიზნით დადგინდა, რომ სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებში ძიების წარმოდგენამდე საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები ვალდებული არიან წარუდგინონ პრეტენზია მეორე მხარეს და მიიღონ აუცილებელი ზომები აღძრული დავების მოსაგვარებლად.

1960 წლის 17 აგვისტოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის დებულება, რომელმაც მთავრობის 1959 წლის 23 ივლისის დადგენილების გათვალისწინებით განსაზღვრა სახელმწიფო არბიტრაჟის ამოცანები, მისი კომპეტენცია, ქვემდებარეობა, უფლებები და მოვალეობანი, აგრეთვე დავების გადაწყვეტის წესები. ამ დებულების საფუძველზე 1960-1961 წლებში ყველა მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოებმა დაამტკიცეს შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო არბიტრაჟის დებულებები.


საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ რესპუბლიკის სახელმწიფო არბიტრაჟის დებულება დაამტკიცა 1960 წლის 18 ნოემბერს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევენ სახელმწიფო არბიტრაჟის საქმიანობასა და მუშაობას, მისი როლის ამაღლებას მეურნეობის მართვის ახალ პირობებში. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 7 აგვისტოს დადგენილებას „სახალხო მეურნეობაში სახელმწიფო არბიტრაჟის და სამინისტროებისა და უწყებების არბიტრაჟების როლის ამაღლების შესახებ“, რომელშიც განსაზღვრულია ეკონომიური რეფორმის პირობებში არბიტრაჟის ორგანოების ამოცანები. სათანადო კომპეტენტურ ორგანოებს დაევალით შეიმუშაონ და წარუდგინონ მთავრობას წინადადებანი არბიტრაჟის ორგანოების შემდგომი სრულყოფის შესახებ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი სახელმწიფო არბიტრაჟის მუშაობის შესახებ იქით არიან მიმართული, რომ სახელმწიფო არბიტრაჟის საქმიანობა შეესაბამებოდეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განუწყვეტელ განვითარებას. ეს გასაგებია, ვინაიდან არბიტრაჟის საქმიანობა უშუალოდ დაკავშირებულია სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში პარტიის მიერ დასახული ამოცანების შესრულებასთან, საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობაში ისეთი ეკონომიური ბერკეტის ეფექტურ გამოყენებასთან, როგორცაა: სამეურნეო ანგარიში, ფასი, ფული, თვითღირებულება, მოგება, კრედიტი, ფინანსები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მერვე მოწვევის პირველ სესიაზე ანხ. ა. ნ. კოსიგინი ეხებოდა რა სამინისტროთა, გაერთიანებათა, საწარმოთა პასუხისმგებლობას ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანების შესრულების საქმეში, აღნიშნავდა „საგეგმო დავალებათა და სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის აუცილებლად უნდა ვიყენებდეთ ეკონომიურ და ადმინისტრაციულ სანქციებს. საგეგმო და სახელშეკრულებო დისციპლინის განმტკიცებაში სრულად უნდა ვლინდებოდეს სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების როლი, რომლებიც საკმარისად არ იყენებენ მათთვის მინიჭებულ უფლებებს“.





აქედან ჩანს, რომ სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებმა უფრო ქმედითად უნდა გამოიყენონ მათთვის მინიჭებული უფლებები, ეკონომიური და ადამინისტრაციული სანქციები.


მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკის საწარმოთა და ორგანიზაციათა აბსოლუტურმა უმრავლესობამ მიაღწია საწარმოო დავალებათა და ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა დროულად და ხარისხიანად შესრულებას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟში დიდი რაოდენობით შემოდის ძიებითი განცხადებები. საკმარისია ითქვას, რომ 1971 წელს სახელმწიფო არბიტრაჟმა განიხილა 16800-ზე მეტი დავა, ხოლო 1972 წლის პირველ ნახევარში—8.650-ზე მეტი დავა. ეს დავები ეხებოდა უხარისხო პროდუქციის გამოშვებას, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მიწოდებას ვადებისა და გასაგზავნი პროდუქციის რაოდენობის დარღვევას, დანაკლისებს, ურთიერთანგარიშსწორებასა და სხვ.

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების და სამეურნეო ანგარიშვანობის განმტკიცების მიზნით, პროდუქციის ხარისხის ამღლებისათვის ბრძოლაში სახელმწიფო არბიტრაჟი მთელი სიმკაცრით იყენებს კანონის ძალას, აკისრებს რა კანონის დამრღვევ ორგანიზაციებს დადგენილ ქონებრივ ჯარიმებს, არ უშვებს და საფუძველშივე სპობს მიმწოდებელი და მყიდველი ორგანიზაციების ყოველგვარ ცდებს ურთიერთშეთანხმებით შეამცირონ გადასახდელი ჯარიმის თანხა და ამით თავი დააღწიონ კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას. ამასთან, სახელმწიფო არბიტრაჟი ამ ბოლო ხანებში განსაკუთრებით ინტენსიურად იყენებს კანონით მინიჭებულ უფლებებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების უხეშ და სისტემატურა დამრღვევ საწარმოთა მიმართ გაზრდილი (50 პროცენტამდე) სანქციების შეფარდების შესახებ, ამ თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში მიქცევით.

ამასთან ერთად სახელმწიფო არბიტრაჟი დიდ ყურადღებას უთმობს მორალურ ფაქტორებსაც. ფართოდ გამოიყენება მუშაობის ისეთი ახალი ფორმა, როგორცაა დავების განხილვა უშუალოდ საწარმოებში, საზოგადოებრიობის (წარმოების ხელმძღვანელის, მთავარი ინჟინრის, ტექნოლოგების, სამკროს უფროსების, ტექნიკური კონტროლის მუშაკების და სხვ.) მონაწილეობით, რომელსაც დადებითი შედეგები მოაქვს მარტო მიმდინარე წლის პირველ ნახევარში საწარმოებში განხილული იქნა 250-ზე მეტი საქმე. ამ ფორმის გამოყენება გვეხმარება არა მარტო იმაში, რომ დავა ადგილზე სწორად და დროულად წყდება, არამედ უზრუნველყოფს მომავალში ანალოგიური დარღვევის თავიდან აცილებასაც.

დიდ ეფექტს იძლევა დავების განხილვის დროს სამეურნეო ორგანოების საქმიანობაში შემჩნეულ ნაკლოვანებებზე სათანადო ორგანოებში შეტყობინებების გაგზავნა. არბიტრაჟი ყველა ზომას იღებს, რათა წარმოების ხელმძღვანელებმა ადგილზევე გაატარონ ღონისძიებანი დარღვევათა წარმოშობი მიზეზების აღმოსაფხვრელად. შეტყობინებები ეგზავნება თვით საწარმოთა ხელმძღვანელებს, პარტიულ ორგანიზაციებს, ზემდგომ ორგანოებს, სათანადო შემთხვევაში კი — პროკურატურის და სახალხო კონტროლის ორგანოებს.

სახელმწიფო საგემო-სახელშეკრულებო დისციპლინის დარღვევის, სახელმწიფო სტანდარტებისა და უხარისხო პროდუქციის შესახებ შესწავლილი საარბიტრაჟო საქმეების განზოგადებული მასალები ეგზავნება პარტიის ცენ-



ტრალურ კომიტეტს, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ცალკეულ სამინისტროებსა და უწყებებს.

რესპუბლიკის საწარმოებსა და ორგანიზაციებში უხარისხო პროდუქციის გამოშვებისა და სახელმწიფო სტანდარტების დარღვევის ფაქტები სახელმწიფო არბიტრაჟის წარდგინების საფუძველზე ბევრჯერ იყო საქართველოს კბ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს მსჯელობის საგანი.

სახელმწიფო არბიტრაჟის შეტყობინებებზე შემოსული პასუხებიდან ჩანს, რომ ბევრი წარდგინება ეფექტური იყო და სარგებლობა მოუტანა საწარმოს, საწარმოო თათბირებზე დაისახა კონკრეტული ოდნისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, ამასთან სამუშაოდან განთავისუფლდნენ უშუალო დამნაშავე პირები, ბევრი დაისაჯა, ჩამოქვეითდა თანამდებობიდან, არ მიეცა პრემია, დაეკისრა ზარალის ანაზღაურება და სხვ.

სახელმწიფო არბიტრაჟს თავის ძირითად ამოცანად მიაჩნია უფრო ეფექტურად იბრძოლოს საგვეგმო და სახელშეკრულებო დისციპლინის განმტკიცებისათვის, სამეურნეო დავის გადაჭრისას კანონმდებლობის სწორად გამოყენებისათვის, გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა საშუალება, რათა ხელი შეუწყოს ახალი ხუთწლიანი გეგმის ამოცანათა შესრულებას.

---

# მამობის სასამართლო წესით დადგენის საფუძვლები

## 2. მისაბრინო

საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობის საფუძვლებმა, ქორწინების გა-  
რეშე დაბადებული ბავშვების მიმართ მამობის დადგენის სასამართლო წესის  
შემოღებით გადაჭრეს საქორწინო-საოჯახო პრაქტიკაში უკანასკნელ წლებში  
წარმოშობილი პრობლემები.

მამობის დადგენის სასამართლო წესი გამოიყენება მხოლოდ იმ ბავშვების  
მიმართ, რომლებიც დაიბადნენ „საფუძვლების“ შემოღების შემდეგ<sup>1</sup>. ამიტომ,  
სასამართლომ უარი უნდა თქვას განცხადების მიღებაზე, რომელიც ეხება იმ ბა-  
ვშვის მამობის დადგენას, რომელიც დაიბადა 1968 წლის 1 ოქტომბრამდე, ხო-  
ლო თუ ასეთი განცხადება შეცდომით უკვე მიღებულია, საქმე წარმოებით შე-  
წყვიტოს.

მამობის დადგენაზე სარჩელის წარდგენის უფლება აქვს ბავშვის ერთ-ერთ  
მშობელს, მის მეურვეს (მზრუნველს), პირს, რომლის კმაყოფაზეც იმყოფება  
ბავშვი და თვით ბავშვს სრულწლოვანების მიღწევისას. სარჩელის წარდგენა  
ყოველი უფლებამოსილი პირის მიერ ვადით არ არის შეზღუდული.

თუ დედა რაიმე მიზეზით თავს იკავებს სარჩელის წარდგენისაგან, ეს არ  
ნიშნავს, რომ ბავშვი სრულასაკოვნების მიღწევისას ჰკარგავს სასამართლოში  
სარჩელის აღძვრის უფლებას. კანონი არ ზღუდავს მის უფლებებს, თუმცა ასე-  
თი შემთხვევები პრაქტიკაში ძალზე იშვიათად გვხვდება.

მამობის დასადგენად, სასამართლოს უნდა წარედგინოს იმის უტყუარი  
მტკიცებულება, რომ ბავშვის მამა სწორედ მოპასუხეა. მტკიცების ტვირთი მო-  
სარჩელეს ეკისრება, ე. ი. აღნიშნული მტკიცებულებები მან უნდა წარუდგი-  
ნოს სასამართლოს.

კანონმდებელი გარკვევით მიუთითებს იმ გარემოებებზე, რომელთა არსე-  
ბობის დროსაც შესაძლებელია მამობის დადგენა.

საქორწინო-საოჯახო კანონმდებლობის საფუძვლების მე-16 მუხლის მე-3 ნა-  
წილის შესაბამისად, სასამართლო წესით მამობის დადგენას უნდა ჰქონდეს  
ერთ-ერთი შემდეგი საფუძველი:

1. ბავშვის დედისა და მოპასუხის ერთად ცხოვრება და საერთო მეურნეო-  
ბის წარმოება ბავშვის დაბადებამდე;
2. ბავშვის ერთად აღზრდა ან რჩენა;
3. მოპასუხის მიერ მამობის აღიარება.

განვიხილოთ ეს საფუძვლები ცალ-ცალკე.

1. პრაქტიკაში არც ისე იშვიათია შემთხვევა, როდესაც სასამართლოებს  
გამოაქვთ გადაწყვეტილება მამობის დადგენის შესახებ და თავის გადაწყვეტი-  
ლებას ასაბუთებენ მხარეების ერთად ცხოვრების ფაქტით.

<sup>1</sup> იხ. სსრკ 1968 წლის 27 ივნისის კანონი ქორწინებისა და ოჯახის თაობაზე სსრ კავში-  
რისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების დამტკიცების შესახებ,  
მუხლი 2

„საფუძვლების“ მე-16 მუხლით და აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების საქორწინო და საოჯახო კოდექსების შესაბამისი მუხლები არ ხსნიან, თუ რა იგულისხმება „ერთად ცხოვრებისა და საერთო მეურნეობის გაწევის“ შინაარსში. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოკლედ შეეჩერდეთ ამ საკითხზე.

ერთად ცხოვრებად იგულისხმება სტაბილური, მყარი ურთიერთობები, რომლებიც ხასიათდება მისი მონაწილეების მუდმივი კავშირით, ერთმანეთზე ზრუნვით, ერთმანეთის მოვლით და თავისი ტიპით თითქმის არაფრით არ განსხვავდებიან ოჯახური ურთიერთობებისაგან. ეს არის ფაქტიური ოჯახი, რომელიც არსებობს როგორც ასეთი, მაგრამ სამართლებრივ მნიშვნელობას არ იძენს. ბავშვის დაბადების შემდეგ სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა მხოლოდ მშობლებსა და ამ ბავშვს შორის, მაგრამ იგი არ აკავშირებს არც მშობლებს ერთმანეთთან და არც მათ ნათესავებს.

საერთო მეურნეობის წარმოებაში იგულისხმება ერთად მცხოვრები ორივე ან ერთ-ერთი პირის სახსრებისა და შრომის დახარჯვა საერთო საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, პროდუქტების შექმნა, საჭმლის დამზადება, ავეჯის, საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების, ტანსაცმლის შექმნა, რეცხვა და ა. შ.

ერთად ცხოვრებასა და საერთო მეურნეობის წარმოებას ადასტურებენ გარემოებები, რომლებიც ახასიათებენ ოჯახურ ურთიერთობებს — ერთად ცხოვრება, ერთად კვება, ერთმანეთზე ზრუნვა, ქონების შექმნა საერთო სარგებლობისათვის და სხვ<sup>2</sup>.

სასამართლო მხედველობაში იღებს მხოლოდ ქალისა და კაცის მყარ ოჯახურ კავშირს. ერთ საცხოვრებელ ადგილზე ოფიციალურ დასახლებას (ჩაწერას) კანონი არ მოითხოვს, საკმარისია მხოლოდ ბავშვის დაბადებამდე ერთად ცხოვრება და საერთო მეურნეობის წარმოება.

თუ პირთა შორის ბავშვის დაბადებამდე შეწყდა ერთად ცხოვრება და საერთო მეურნეობის წარმოება, ეს ჯერ კიდევ არ იძლევა იმის უდავო საფუძველს, რომ არ დაკმაყოფილდეს სარჩელი მამობის დადგენის თაობაზე<sup>3</sup>.


თუ ერთად ცხოვრება და საერთო მეურნეობის წარმოება შეწყვეტილია ორსულობის შესაძლო დადგომამდე დიდი ხნით ადრე, ისინი უკვე აღარ წარმოადგენენ უტყუარ მტკიცებულებას, საჭიროა ამის დამამტკიცებელი სხვა ფაქტები.

იმის გამო, რომ ერთად ცხოვრება და საერთო მეურნეობის წარმოება კანონში შეერთებულია „და“ კავშირით, ჩვენ შეგვიძლია გავაყეთოთ დასკვნა — თითოეული მათგანი ცალკე აღებული არ შეიძლება გახდეს მამობის დადგენის საფუძველი. ეს იმაზე მეტყველებს, რომ კანონმდებელი მხედველობაში ღებულობს მხოლოდ მყარ ოჯახურ ურთიერთობებს.

სასამართლოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ერთად ცხოვრება და საერთო მეურნეობის წარმოება, მიუხედავად იმისა, თუ როდის წარმოიშვნენ ეს ურთიერთობები — საფუძვლების ძალაში შესვლამდე თუ მას შემდეგ. მნიშვნე-

<sup>2</sup> იხ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1969 წლის 4 დეკემბრის დადგენილება, პუნქტი 3.

<sup>3</sup> იქვე.



ნელოვანია ის, რომ ბავშვის დაბადების ფაქტს ადგილი უნდა ჰქონდეს არა უგვიანეს 1968 წლის 1 ოქტომბრისა<sup>4</sup>.

არასწორი იქნება გვეფიქრა, რომ მამაკაცისა და ქალის ერთად ცხოვრება და საერთო მეურნეობის წარმოება მამობის დადგენის უდავო საფუძველია. მათი არსებობის დროს მხოლოდ ივარაუდება, რომ ბავშვი სწორედ ამ მოპასუხისგანაა წარმოშობილი; ამიტომ მოპასუხეს შეუძლია ამტკიცოს, რომ არ არის ბავშვის მამა, და ამ მიზნით წარუდგინოს სასამართლოს ცნობები ავადმყოფობის შესახებ, რომელიც გამორიცხავს დიდი ხნის განმავლობაში ბავშვების ყოლის შესაძლებლობას, აგრეთვე დოკუმენტები მივლინებაში ყოფნის შესახებ ქალის ორსულობის დადგომის შესაძლო ვადაში, ბავშვის დედის წერილები გავზავნილი სხვა მამაკაცთან (შესაძლო მამასთან) ან სხვა პირებთან, რომლებშიც იგი აღიარებს, რომ მოპასუხე არ არის ბავშვის მამა, ან სხვა პირის წერილი, რომლიდანაც ცხადი ხდება, რომ ბავშვის მამა ის არის და ა. შ.

თუ მამაკაცი და ქალი ერთად ცხოვრობენ მაგრამ არ იმყოფებიან ოჯახურ ურთიერთობებში და არ ეწევიან საერთო მეურნეობას, არ შეიძლება დაისვას საკითხი სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

ქალისა და მამაკაცის მხოლოდ სქესობრივი კავშირი, რომელსაც არ ახლავს არც ერთად ცხოვრება, არც საერთო მეურნეობის წარმოება, არ წარმოადგენს სასამართლოსათვის მამობის დადგენის საფუძველს.

2. მამობის დადგენის შემდეგი საფუძველია — ბავშვის ერთად აღზრდა ან რჩენა. კანონმდებელი მიუთითებს, რომ ბავშვის რჩენისა და აღზრდის მოვალეობა ორივე მშობელს ეკისრება<sup>5</sup>, ამიტომ ეს მომენტი მამობის დადგენის დროს წამყვან გარემოებად არის მიჩნეული.

თუ პირველი ჯგუფის გარემოებები ითხოვენ ორი ფაქტორის — ერთად ცხოვრებისა და საერთო მეურნეობის წარმოების არსებობას, მეორეში აქცენტი კეთდება ან ბავშვის აღზრდაზე ან რჩენაზე. შესაძლებელია, რომ მშობლები, როგორც დედა, ისე მამა უშუალოდ არ მონაწილეობენ ბავშვის რჩენაში (სწავლის, არმიაში ან სხვის კმაყოფაზე ყოფნის გამო და ა. შ.), მაგრამ ზრდიან მას ან პირიქით არჩენენ ბავშვს, მაგრამ არ მონაწილეობენ მის აღზრდაში.

ა) ბავშვის აღზრდაში მამის მონაწილეობა საკმარისია იმისათვის, რომ სასამართლომ ეს ფაქტი მხედველობაში მიიღოს მამობის დადგენასთან დაკავშირებული სარჩელის განხილვის დროს.

ზოგიერთი ცხოვრებისეული სიტუაციის დროს მამას არა აქვს საშუალება არჩინოს ბავშვი, მაგრამ თუ იგი მონაწილეობს მის აღზრდაში, ურთიერთობა აქვს მასთან, თვალყურს ადევნებს მის სულიერ ზრდას, პიროვნებად ჩამოყალიბებას, ზრუნავს მის სწავლაზე, ქცევაზე, გარეგნობაზე, ყოველივე ამით ის ამტკიცებს თავის მამობას.

ბ) მოპასუხის მიერ ბავშვისათვის მხოლოდ სარჩოს მიცემამ (მის აღზრდაში მონაწილეობის მიღების გარეშე) შეიძლება დაადასტუროს ბავშვის წარმოშობა იმ პირისაგან, რომელიც უწყევს მას მატერიალურ დახმარებას, თუ რასაკვირველია, ამასვე მოწმობს სხვა გარემოებებიც სასამართლოებმა მამობის და-

4 იხ. სსრ კავშირის 1968 წლის 27 ივნისის კანონი ქორწინებისა და ოჯახის თაობაზე სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძველების დამტკიცების შესახებ, მუხლი 2, გვ. „კომუნისტი“ 1968 წლის 29 ივნისი

5 იხ. ქორწინებისა და ოჯახის შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძველები, მუხლი 17, გვ. „კომუნისტი“, 1968 წლის 29 ივნისი.

დადგენის თაობაზე დავის განხილვის დროს რჩენის ფაქტი შეიძლება მიიღონ როგორც მამობის დადგენის საფუძველი. მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ყოველგვარი მატერიალური დახმარება არ შეიძლება განვიხილოთ როგორც მამობის დამადასტურებელი მტკიცებულება. დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო დახმარების ფაქტს (იგი შეიძლება გაუწიოს ნებისმიერმა პირმა მეგობრული გრძნობით ან თანაგრძნობით), არამედ იმას, რომ პირს, რომელიც სარჩოს იძლევა, შეგნებული აქვს, რომ ეს მისი შვილია, და მოქმედებს როგორც მშობელი.

თუ ბავშვს სარჩოს მოპასუხის მშობლები ან ნათესავები აძლევდნენ, მაშინ როცა თვით მოპასუხეს რაიმე მიზეზით (ავადმყოფობა, არმიაში სამსახური, სწავლა და ა. შ.) არ შეეძლო ბავშვს დახმარებოდა, სასამართლოს შეუძლია, მამობის დადგენის თაობაზე დავის განხილვის დროს, სხვა გარემოებებთან ერთობლიობაში, ეს დახმარება მიიჩნიოს როგორც ბავშვის სასარგებლოდ საქმის გადაწყვეტის საფუძველი.

რჩენის ცნებაში, ჩვეულებრივ, ესმით ბავშვის მუდმივი მოთხოვნილებების უზრუნველსაყოფად სახსრების პერიოდული მიწოდება. ამ მტკიცებულების შეფასების დროს სარჩოს ოდენობას, ხანგრძლივობასა და სისტემატურობას არა აქვს მნიშვნელობა. მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ბავშვის რჩენაში მამის მონაწილეობის ფაქტს, ამასთან ერთად ეპიზოდური ყურადღების ნიშნები, საჩუქრები, სათამაშოები და ა. შ. სასამართლომ არ შეიძლება განვიხილოს როგორც ბავშვის რჩენის დამადასტურებელი მტკიცებულება.

მნიშვნელობა არა აქვს აგრეთვე იმასაც, უკანასკნელად (სარჩელის წარდგენის მომენტამდე), როდის ჰქონდა ადგილი ბავშვის რჩენისათვის სახსრების გაღებას.

იმის გამო, რომ მამობის სასამართლო წესით დადგენის უფლებაზე სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება, მტკიცებულებებიც ინარჩუნებენ თავის ძალას, რა დროც არ უნდა გავიდეს.<sup>6</sup>

3. სასარჩელო პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მამობის დადგენის ყველაზე უფრო გავრცელებული საფუძველი — ეს არის მამობის აღიარება თვით მოპასუხის მიერ.

„საფუძვლების“ მე-16 მუხლისა და საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კანონთა კოდექსის 51-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით მამობის დადგენისას სასამართლო მხედველობაში იდებს „დამამტკიცებელ საბუთს, რომელიც სავსებით ადასტურებს მოპასუხის მიერ მამობის აღიარებას“. გამრდის, რომ საქმე ეხება არა თვით მოპასუხის მიერ მამობის აღიარებას, არამედ მტკიცებულებას, რომელიც ასეთ აღიარებას ადასტურებს. ეს სავსებით ლოგიკურია, რადგან თუ მოპასუხე აღიარებს თავის მამობას, მას შეუძლია ბავშვის დედასთან ერთად მიმართოს განცხადებით მამის ორგანოებს და სასამართლო საჭირო აღარ არის. მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პრაქტიკაში არც ისე იშვიათია შემთხვევა, როდესაც მოპასუხე გაუბრბის ერთობლივი განცხადების შეტანას მამის ორგანოებში, თუმცა სასამართლოში აღიარებს, რომ ის არის ბავშვის მამა.

მამობის აღიარება თავისი ფორმით უნდა წარმოადგენდეს მოპასუხის განცხადებას იმის შესახებ, რომ ის არის ნამდვილად ამ ბავშვის მამა. აღიარებად

<sup>6</sup> В. А. Рясенцев, Семейное право, уч. изд-во Ю/Л., М., 1971, стр. 168.

არ შეიძლება ჩაითვალოს დუმილი ან თავის შეკავება დავისაგან იმ გარემოებების თაობაზე, რომლებსაც ამტკიცებენ მოსარჩელე ან მოწმეები.

მამობის აღიარებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს როგორც სასამართლოში, ისე მის გარეთ.

თუ მოპასუხის მიერ მამობის აღიარებას ადგილი ჰქონდა სასამართლო სსდომაზე, მამობის ფაქტი არ საჭიროდებს დამატებით მტკიცებას.

სასამართლოს გარეშე აღიარება არ აღიქვება უშუალოდ სასამართლოს მიერ, და ამიტომ იგი მხოლოდ ისეთი მტკიცებულებითი ფაქტის როლს თამაშობს, რომელიც, მტკიცებულების სახით მის გამოყენებამდე თვით უნდა დამტკიცდეს.

სასამართლოს გარეშე აღიარებას წარმოადგენს მაგალითად მოპასუხის მიერ თავისი მამობის აღიარება წერილებში, დღიურებში, ანკეტაში, სამშობიარო სახლის, საბავშვო ბაღის, ბავის, სკოლის, სახლმმართველობის სახელზე დაწერილ განცხადებებში; შეტანა ბინის ორდერში; მოპასუხის ახლო ნათესავების, მეგობრებისა და თანამშრომლების ჩვენებები. მამობის აღიარების დამადასტურებელი ყველა ეს მტკიცებულება წარედგინება სასამართლოს, რომელიც მათ სათანადოდ შეაფასებს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სარჩელის წარდგენის უფლება „ერთ-ერთ მშობელს“ ეკუთვნის („საფუძვლების“ მე-16 მუხლი). ამრიგად, სარჩელი შეიძლება აღძვრას როგორც ბავშვის დედამ, ისე მამამაც.

სარჩელის აღძვრას ბავშვის მამის მიერ შეიძლება ადგილი ჰქონდეს მაშინ, როცა დედას რაიმე მიზეზით არ სურს მასთან ერთად მიმართოს განცხადებით მმართველობას, ან არ არის ცნობილი მისი ადგილსამყოფელი და ა. შ.

პრაქტიკაში ასეთი შემთხვევები ძალზე იშვიათია, მაგრამ კანონმდებელმა ის მაინც გაითვალისწინა.

მამობის დადგენასთან დაკავშირებული საქმეები, თუ ბავშვის მამა ცოცხალია, განიხილება სასარჩელო წარმოების წესით, ხოლო თუ ბავშვის მამა გარდაცვლილია — განსაკუთრებული წესით<sup>7</sup>.

მას შემდეგ, როცა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე დადგინდება მამობის ფაქტი, მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოებში წარმოებს ბავშვის სათანადო რეგისტრაცია. ბავშვის დაბადების მოწმობაში, „საფუძვლების“ მე-17 მუხლის თანახმად, შეაქვთ მისი გვარი, სახელი და მამის სახელი (მამის მიხედვით), მშობლების გვარი, სახელი და მათი მამის სახელები, ბავშვის ეროვნება, დაბადების ადგილი, რიცხვი, თვე, წელი.

მამობის დადგენის მომენტიდან მამასა და ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვს შორის ისეთივე სამართლებრივი ურთიერთობები წარმოიშობა, როგორც მამასა და ქორწინებაში დაბადებულ შვილს შორის. აქ იგულისხმება როგორც პირადი, ისე ქონებრივი უფლებები, როგორც მამის უფლებები შვილის მიმართ, ისე შემდგომში, ბავშვისა მამის მიმართ.

# განზრახ მკვლევარის გამოჩენა სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებისაგან. რომელსაც დაზარალებულის სიკვდილი მოჰყვება

3. ჩხეიძე

სასამართლო პრაქტიკის შესწავლა გვიჩვენებს, რომ განზრახი მკვლევარისა და სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების (თუ მას დაზარალებულის სიკვდილი მოჰყვება) გამოიწვინა არ არის ადვილი.

განზრახ მკვლევარობა და სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება (რომელსაც სიკვდილი მოჰყვება) არ შეიძლება გაიმიჯნოს ობიექტური მხრივ. ორივე დანაშაული შესაძლოა ჩადენილ იქნას, როგორც აქტიური მოქმედებით, ისე უმოქმედობითაც, ერთი და იმავე საშუალებებით, იარაღით და ა. შ.

როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში არსებობს მიზეზობრივი კავშირი სუბიექტის საზოგადოებრივად საშიშ ქმედობასა (უმოქმედობასა) და დაზარალებულის სიკვდილს შორის. თუ დაზარალებულის სიკვდილი მიზეზობრივად არ არის დაკავშირებული სხეულის დაზიანებასთან, ამ შემთხვევაში დამნაშავეს ქმედობა არ დაკვალიფიცირდება არც განზრახი მკვლევარობით და არც სხეულის განზრახი დაზიანებით, რასაც სიკვდილი მოჰყვება.

ამ დანაშაულთა გამიჯვნისათვის დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვს ისეთ ობიექტურ ნიშანსაც, როგორც არის დროის ხანგრძლივობის შუალედი სხეულის დაზიანებასა და სიკვდილის წუთებს შორის.


საქართველოს სსრ სასამართლოებში მკვლევარობის კატეგორიის საქმეთა შერჩევითი შესწავლით ირკვევა რომ განხილულ საქმეთა 66,7 პროცენტში დაზარალებული გარდაიცვალა უშუალოდ დანაშაულის ადგილზე ან მეტად ხანმოკლე დროში (რამდენიმე წუთში). დანარჩენ შემთხვევებში იყო შუალედი, ამასთან საქმეთა 15,7 პროცენტზე ეს შუალედი 3 წუთს აღემატებოდა.

მოქმედება განზრახი მკვლევარობის მუხლით მაშინაც დაკვალიფიცირდება თუ დაზარალებული გარდაიცვლება დაზიანებით დანაშაულებრივი ქმედობის ჩადენიდან გარკვეული დროის შემდეგ. არავითარ „კრიტიკულ ზღვარს“ მოქმედი საბჭოთა კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

სასამართლო პრაქტიკაში ვხვდებით შეცდომებსაც, როდესაც მკვლევარის ან სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების დროს, რომელსაც დაზარალებულის სიკვდილი მოჰყვება ქმედობის დაკვალიფიცირებისას მნიშვნელობას ანიჭებენ სხეულის დაზიანებასა და სიკვდილს შორის არსებული დროის ხანგრძლივობას.

მაგალითად, სახალხო სასამართლოს განაჩენით, ეგუპოვი დამნაშავედ იქნა ცნობილი იმაში, რომ მთვრალმა მოკლა სტეპანოვა და სხეულის მძიმე დაზიანება მიაყენა პონომარიოვას, რის გამოც ეს უკანასკნელი, უგონო მდგომარეობაში მყოფი, 12 დღის შემდეგ გარდაიცვალა საავადმყოფოში. საქმის გარემოებიდან ირკვევა, რომ ეგუპოვი სტეპანოვასა და პონომარიოვას ერთდროულად ურტყამდა ტაბურეტს სხეულის სხვადასხვა ნაწილზე და თავშიც კი. პო-





ნომარიოვას სიკვდილის მიზეზი თავის ქალას ძვლების რამდენიმე მოტეხილობა, ტვინში სისხლის ჩაქცევა და ტვინის ნივთიერების დაზიანება იყო. მასვე გადატეხილი ჰქონდა ხელები, ნეკნები და სხვ. საგამოძიებო ორგანოებმა და სასამართლომ სტეპანოვის მიმართ ეგუბოვის მოქმედება დააკვალიფიცირეს როგორც განზრახი მკვლელობა (რსფსრ სსკ 103-ე მუხლი), ხოლო პონომარიოვას მიმართ — სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, რომელსაც სიკვდილი მოჰყვა (რსფსრ სსკ 108-ე მუხლის მეორე ნაწილი).

ამ კვალიფიკაციას საფუძვლად დაედო ის ფაქტი, რომ სტეპანოვა გარდაიცვალა დანაშაულის ადგილზევე, ხოლო პონომარიოვა — დანაშაულის ჩადენიდან 12 დღის შემდეგ. რსფსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ეს სწორად არ მიიჩნია და თავის დადგენილებაში ჩაწერა: „ის გარემოება, რომ დაზარალებული გარდაიცვალა სხეულის დაზიანებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, თავისთავად, სხვა მტკიცებულებათა გარეშე, არ შეიძლება ჩაითვალოს იმის დამადასტურებლად რომ დამნაშავეს არ ჰქონდა დაზარალებულის მოკვლის განზრახვა“<sup>1</sup>.

ნიაიკინმა ხულიგნური ქვენაგრძნობით ივანოვს მუცლის არეში ორი ჭრილობა მიაცენა დანით. მძიმე ჭრილობებისაგან, კუჭნაწლავისა და ღვიძლის დაზიანებისაგან ივანოვი გარდაიცვალა 3 თვისა და 20 დღის შემდეგ. ამ დანაშაულისათვის ნიაიკინი გაასამართლეს თურქმენეთის სსრ სსკ 113-ე მუხლის მეორე ნაწილით (სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, რომელსაც შედეგად სიკვდილი მოჰყვა).

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს კოლეგიამ გააუქმა განაჩენი და საქმე დააბრუნა სახალხო სასამართლოში ხელახლა განსახილველად. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს კოლეგიამ მიუთითა: „ის გარემოება, რომ დაზარალებული რამდენიმე თვის შემდეგ გარდაიცვალა, დამნაშავეს განზრახვის არსებობამ დაზარალებულის მკვლელობაზე არ შეიძლება იმოქმედოს მისი მოქმედების დაკვალიფიცირებისას თურქმენეთის სსრ სსკ 106-ე მუხლით (განზრახი მკვლელობა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში)“<sup>2</sup>.

მეორე მხრივ შესაძლოა საქართველოს სსრ სსკ 110-ე მუხლის მეორე ნაწილით პასუხისმგებლობა დადგეს მათინ, როდესაც დროის შუალედი დაზიანების მიყენებასა და სიკვდილის წუთებს შორის უმნიშვნელოა.

ჯიქიამ პერტიასა და სორდიასთან ჩხუბის დროს სორდიას დანა ჩაართვა ხელში და გაიქცა. სორდია გაეკიდა მას, ხოლო პერტიამ ქვები დაუშინა გაქცეულ ჯიქიას. როდესაც ჯიქია მოხვედრილი ქვისაგან დაეცა, მასთან მიიბრინა სორდიამ და დანა ჩაართვა ფეხში, დანის ჩართვით ჯიქიას გადაეჭრა მარჯვენა ბარძაყის არტერია და ვენები, რის გამოც 30-35 წუთის შემდეგ გარდაიცვალა. როგორც სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის დადგენილებაშია ნათქვამი, სორდიას არ ჰქონდა არც პირდაპირი და არც არაპირდაპირი განზრახვა ჯიქიას მოკვლისა. მას უნდოდა მხოლოდ სხეული დაეზიანებინა მისთვის, შური ეძია ჭრილობისათვის. ამიტომ სასამართლო კოლეგიამ სორდიას ქმედობა დააკვალიფიცირა საქართველოს სსრ სსკ 110-ე მუხლის მეორე ნაწილით<sup>3</sup>.

განსახილველ დანაშაულთა გამიჯვნა არ შეიძლება აგრეთვე ხელყოფის

<sup>1</sup> Бюллетень Верховного Суда РСФСР, 1966, № 9, ст. 8.

<sup>2</sup> Бюллетень Верховного Суда СССР, 1966, № 6, ст. 36.

<sup>3</sup> Бюллетень Верховного Суда СССР, 1963, № 2, ст. 32—34.

ობიექტით. ნ. ი. ზაგოროდნიკოვი წერს: „სხეულის მძიმე დაზიანება, თუ მას დაზარალებულის სიკვდილი მოჰყვა, თავისთავად თითქოს ერთ შემადგენლობაში გაერთიანებული ორი დანაშაულია: სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება და გაუფრთხილებლობით მკვლელობა“<sup>4</sup>. ავტორის ამ აზრს ყურადღება უნდა მიექცეს. ნათქვამის თანმიმდევრულ განვითარებას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ სხეულის მძიმე დაზიანების ობიექტი, თუ დაზარალებულის სიკვდილი მოჰყვა, მართო ადამიანის ჯანმრთელობა კი არ არის, არამედ—ადამიანის სიცოცხლეც.

ნ. ი. ზაგოროდნიკოვის აზრით, მთლიანად ქმედობა ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია<sup>5</sup>. ბუნებრივია, როდესაც ვლაპარაკობთ პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის კვალიფიკაციაზე, ეს ქმედობა (სხეულის მძიმე დაზიანება, თუ მას სიკვდილი მოჰყვა), სუბიექტის ქმედობის უშუალო მიმართულების მიხედვით, უნდა მიეკუთვნოს სწორედ ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს. მაგრამ იმის გამო, რომ ის შეიცავს გაუფრთხილებლობით მკვლელობასაც, მისი ობიექტი ადამიანის სიცოცხლეა. ამიტომ უფრო სწორია ს. ვ. ბოროდინის პოზიცია, რომელიც აღნიშნავს, რომ განსახილველი დანაშაული ხელყოფს ორ ობიექტს: ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას<sup>6</sup>.

განზრახი მკვლელობის გამიჯვნა სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებისაგან, რომელსაც სიკვდილი მოჰყვა, შესაძლოა მხოლოდ სუბიექტური მხრივ. განზრახ მკვლელობის სუბიექტური მხარეა დამნაშავის შეგნებაში თავისი ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათის შერწყმა ამ ქმედობით დაზარალებულისათვის სიკვდილის გათვალისწინებასა და სურვილთან (ან შეგნებულად დაშვებასთან). სუბიექტური მხარე სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებისა (რასაც სიკვდილი მოჰყვა) არ გულისხმობს მოკლის განზრახვას. სუბიექტს, შეგნებული აქვს რა თავისი ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, ითვისწინებს და სურს (ან შეგნებულად უშვებს) მხოლოდ სხეულის მძიმე დაზიანების მიყენება<sup>7</sup>. ამ დროს მკვლელობისადმი მისი დამოკიდებულება გაუფრთხილებლობაში ვლინდება.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1960 წლის 4 ივნისის დადგენილებაში — „განზრახ მკვლელობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ — ნათქვამია: „სასამართლოებმა ზუსტად უნდა განასხვავონ განზრახ მკვლელობა, რომელიც ვარაუდობს დამნაშავის პირდაპირ ან არაპირდაპირ განზრახვას — მიაყენოს დაზარალებულს სიკვდილი, სხეულის მძიმე დაზიანების განზრახ მიყენებისაგან, რომელსაც მოჰყვა დაზარალებულის სიკვდილი (რსფსრ სსკ 142 მუხლის მე-2 ნაწილი<sup>8</sup> და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სსკ სათანადო მუხლები), როდესაც დამნაშავის დამოკიდებულება თავის მოქმედების შედეგებისადმი ვლინდება არა განზრახი დანაშაულის სახით, არამედ გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის სახით“<sup>9</sup>.

<sup>4</sup> ნ. ი. ზაგოროდნიკოვი. «Преступления против здоровья» М., 1969, ст. 59.


<sup>5</sup> ნ. ი. ზაგოროდნიკოვი «Преступления против здоровья» М., 1969, ст. 59.

<sup>6</sup> С. В. Бородин. Классификация по действующему законодательству, М., 1966, ст. 226.

<sup>7</sup> არაკონკრეტული პირდაპირი განზრახვის დროს სუბიექტი ითვისწინებს და სურს დაზარალებულს მიაყენოს სხეულის ყოველგვარი ხარისხის დაზიანება, მძიმე დაზიანებაც კი.

<sup>8</sup> რსფსრ 1926 წლის სსკ (იხ. საქართველოს სსრ 1960 წლის სსკ 110 მუხლის მეორე ნაწილი).

<sup>9</sup> ურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1960 წელი, № 5, გვ. 35—36.



ესტონეთის სსრ და ლიტვის სსრ სისხლის სამართლის კოდექსებში (107-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი) პირდაპირ აღნიშნულია, რომ სხეულის ისეთი დაზიანების დროს რომელსაც სიკვდილი მოჰყვა, დაზარალებულის სიკვდილთან დამნაშავეს დამოკიდებულება ვლინდება გაუფრთხილებლობის ფორმით. საქართველოს სსრ სსკ 110-ე მუხლის მეორე ნაწილში ასეთი არაფერი სწერია, მაგრამ ამ მუხლით ქმედობის კვალიფიკაციისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ამ კოდექსის მე-11 მუხლს, სადაც ნათქვამია: „თუ სისხლის სამართლის კანონი ითვალისწინებს სასჯელის გაღიძვლებას იმ მძიმე შედეგის დადგომის გამო, რომელსაც არ მოიცავდა დამნაშავეს განზრახვა, მაშინ ასეთი გაღიძვლება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პირს შეეძლო გაეთვალისწინებინა ამ შედეგის დადგომა.“

სუბიექტური მხრივ მკვლელობისა და სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების გამიჯვნაზე (როცა დაზიანებას სიკვდილი მოჰყვა) ლაპარაკია კრიმინალისტთა ყველა იმ ნაშრომში, რომლებშიც განხილულია ეს საკითხი<sup>10</sup>.

ამგვარად, თეორიულად ამ დანაშაულობათა გამიჯვნის საკითხი გარკვეულია, მაგრამ პრაქტიკაში სიძნელეები გვხვდება დამნაშავეს განზრახვის არსებითი მიმართულების დადგენის აუცილებლობისა.

ყოველ საქმეში სუბიექტის განზრახვის მიმართულებაზე შესაძლოა ვიმსჯელოთ საქმის ობიექტური გარემოებებით, უპირველეს ყოვლისა, დამნაშავეს ქმედობის შედეგის მიხედვით. ამ შემთხვევაში შეუძლებელია დავეყრდნოთ საბოლოო შედეგს, რადგანაც ორივე დანაშაულის ჩადენის საბოლოო შედეგი ერთი და იგივეა: დაზარალებულის სიკვდილი.

რა გარემოებებს აქვს არსებითი მნიშვნელობა იმ პირის განზრახვის მიმართულების განსაზღვრისათვის, რომელმაც ჩაიდინა სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, რასაც დაზარალებულის სიკვდილი მოჰყვა?

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1960 წლის 4 ივნისის დადგენილებაში, მართალია, ვხვდებით მეტად ზოგად, მაგრამ მაინც მნიშვნელოვან მითითებებს ამ საკითხზე: „ხსენებული სახის საქმეებზე დამნაშავეს განზრახვის შინაარსის საკითხის გადაწყვეტისას სასამართლოები უნდა გამოდიოდნენ ჩადენილი დანაშაულის ყველა გარემოების ერთობლიობიდან და გაითვალისწინონ, კერძოდ, დამნაშავესა და დაზარალებულის წინასწარი ქცევა; მათი ურთიერთდამოკიდებულება, დანაშაულის საშუალებანი და იარაღი, აგრეთვე თვით დღურის ხასიათი (მაგალითად, ადამიანის სიცოცხლისათვის მნიშვნელოვან ორგანოში) და ა. შ. ყველა ამ გარემოების გამორკვევას შეუძლია დაეხმაროს სასამართლოს, რათა სწორად გადაწყვიტოს საკითხი, გაითვალისწინა თუ არა დამნაშავემ თავისი მოქმედების შედეგი“<sup>11</sup>.

ქვემოთ განვიხილავთ ცალკეულ გარემოებებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს დამნაშავეს განზრახვის მიმართულების დადგენისათვის.

არსებითია დამნაშავესა და დაზარალებულის ურთიერთობის გამოკვლევა,

<sup>10</sup> С. В. Бородин. Квалификация умышленных убийств, М., 1966, стр. 229; М. К. Аниани. Ответственность за преступления против жизни, М., 1964, стр. 191; Н. И. Загородников. Преступления против здоровья, М., 1969, стр. 60; 64; П. А. Дубовец. Ответственность за телесные повреждения по советскому уголовному праву, М., 1964, стр. 119; В. К. Жукова. Умышленные телесные повреждения и борьба с ними по советскому уголовному праву, автореферат канд. диссерт.; М., 1966, стр. 10; А. Д. Середя. Уголовно-правовая борьба с тяжкими телесными повреждениями, автореферат канд. диссертации, Киев, 1969.

<sup>11</sup> „საბჭოთა სამართალი“, 1960 წ., № 5, გვ. 36.

მათი ქცევა დანაშაულის ჩადენამდე. ამ გარემოებათა ყოველმხრივი გამოკვლევა თვალსაჩინოს ხდის ქმედობის შინაგან აზრს, იძლევა იმის შესაძლებლობას გაირკვეს დამნაშავეს ქმედობის მოტივი, მიზანი და ის შედეგი, რომლის მიღწევაც მას სურდა.

სტუდენტმა ნოსკოვმა გადაწყვიტა დაეზიანებინა თავისი სხეული, რათა მოხვედრილიყო საავადმყოფოში და ამით გათავისუფლებულიყო ლექციებიდან. ამ მიზნით მან სთხოვა თავის მეგობარ კარპოვს თვითნაკეთი პისტოლეტით ესროლა მისთვის. კარპოვი დათანხმდა. ნოსკოვმა დაწერა პატარა ბარათი, რომელშიც აღნიშნა, კარპოვი მე ჩემი სურვილით მესვრისო. კარპოვმა ოთხი მეტრის დაცილებით ესროლა ნოსკოვს „თვითსასროლი“, რომელიც დატენილი იყო ასანთის გოგირდით და მავთულის ნაჭრებით. მიყენებული ჭრილობებისაგან ნოსკოვი გარდაიცვალა.

მოცემულ შემთხვევაში, დამნაშავესა და დაზარალებულის ურთიერთობა, ქმედობის მოტივი და მიზანი არ გულისხმობდა მკვლელობას. კარპოვი გაასამართლეს სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის, რასაც დაზარალებულის სიკვდილი მოჰყვა<sup>12</sup>.

მაგრამ დამნაშავეს მოქმედების მოტივის მონაცემებით ყოველთვის არ შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა განზრახვის მიმართულებაზე. მაგალითად, შურისძიების მიზნით ან ეჭვიანობით შესაძლოა არა მარტო მკვლელობა, არამედ სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებაც, ბუნებრივია, რომ, თუ ცნობილია შურისძიების რა სახე ამოირჩია ბრალდებულმა (მაგალითად, თუ მან რაიმე თქვა შურისძიების სახეზე), ეს უნდა გავითვალისწინოთ განზრახვის შეფასების დროს.

ზოგჯერ მოტივი საფუძვლად უდევს ფრიად განსაზღვრულ შედეგს — დაზარალებულის სიკვდილს. მაგალითად, არასასურველი მოწმის მკვლელობა სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით (საქართველოს სსრ სსკ 104-ე მუხლის მე-7 პუნქტი). აქ მკვლელობა ერთადერთი სასურველი შედეგია, რადგანაც სხეულის დაზიანება ვერ უზრუნველყოფს დასახული მიზნის მიღწევას. არადამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობის ჩადენისას შესაძლოა ისეთი მოტივიც, რომელიც მიზეზი იქნება მკვლელობის პირდაპირ განზრახვისა და საფუძველს აცლის სხეულის დაზიანების განზრახვას. მაგალითად, მეუღლის მოკვლა მისგან თავის დაღწევის მიზნით, რათა ახლად დაქორწინდეს სხვაზე, დედის მიერ ახალშობილის მოკვლა და ა. შ.

ზოგჯერ დამნაშავეს შემდგომმა ქცევამ შესაძლოა ხელი შეუწყოს მისი განზრახვის მიმართულების განსაზღვრას. მაგალითად, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა თავის დადგენილებაში პოლიენკოსა და დევიატოვის საქმეზე, სადაც ლაპარაკი იყო მსჯავრდებულთა განზრახვაზე — მხოლოდ სხეულის დაზიანებაზე — მიუთითა, რომ უნდა გაირკვეს დანაშაულის ჩადენის შემდეგ თავის ამხანაგებთან რა დამოკიდებულებაში იმყოფებოდა დაზარალებული განუყოფი<sup>13</sup>.

წყალტუბოს რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით, რომელიც ძალაში დატოვა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ, ანდრიძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსრ სსკ 105-ე მუხლით და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. ანდრიძემ ცაგარეიშვილი ჩხუბის დროს დასაკეცი დანით დაჭრა ბარძაყის არე-

<sup>12</sup> «Бюллетень Верховного Суда РСФСР», 1970, № 7, ст. 9.

<sup>13</sup> «Бюллетень Верховного Суда СССР», 1969, № 2, ст. 17.

ში, რის შედეგადაც დაზარალებული საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. განიხილა რა ეს საქმე ზედამხედველობის წესით, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა თავის 1966 წლის 18 ივლისის დადგენილებით ანდრიაძის ქმედობა გადააკვალიფიცირა საქართველოს სსრ სსკ 110-ე მუხლის მეორე ნაწილზე და სასჯელის ზომა შესაბამისად შეუმცირა. პრეზიდიუმი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ანდრიაძეს მიზნად არ ჰქონდა დასახული ცაგარეიშვილის მოკვლა და მიუთითა, რომ მან ჭრილობა მიაყენა დაზარალებულს სიცოცხლისათვის უმნიშვნელო ორგანოში და, ამის გარდა, შემთხვევის შემდეგ მან თვით გაუწია დაზარალებულს დახმარება — წაიყვანა საავადმყოფოში<sup>14</sup>.

ამასთან დამნაშავეს შემდგომი საქციელი გადაჭარბებით არ უნდა შევაფასოთ, რადგანაც ამ დროს შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ქმედით მონანიებას და არა სხეულის დაზიანების მიყენების მომენტში მკვლელობის განზრახვის უქონლობას.

მკვლელობის, ისევე როგორც სხეულის განზრახ მიძიმე დაზიანების კონკრეტული საშუალებები განისაზღვრება იარაღით, ძალით, დარტყმის სიმრავლით, ლოკალიზაციით, დაზიანების ხასიათით და ა. შ. დასახელებულ გარემოებათა მთლიანი შეფასება შესაძლებლობას იძლევა ვიმსჯელოთ იმაზე, თუ რამდენად შესაძლებელი იყო ამ საშუალებით მკვლელობა. ეს კი თავის მხრივ ხელს უწყობს დამნაშავეს განზრახვის მიმართულების დადგენას.

სხეულის განზრახ მიძიმე, სასიკვდილო დაზიანებისაგან განზრახ მკვლელობის გამოიყენებას უკანასკნელ კვალიფიკაციას იმ შემთხვევაში ეძლევა უპირატესობა, როდესაც დამნაშავემ ისეთი იარაღი გამოიყენა, რომლითაც ჩვეულებრივ შეუძლებელია მოკვლა, ან დაჭრა, ან შეგნებულად დაუზიანა სხეულის ის ნაწილი, რომლის დაზიანებაც სასიკვდილო არ არის.

დანაშაულის ჩადენისათვის გამოყენებული იარაღის საშიშროების შეფასებისას აუცილებელია გავითვალისწინოთ სხეულის დაზიანების ლოკალიზაცია, მისი ხარისხი, ზომა და ა. შ.

საეჭვო არ არის ცეცხლსასროლი იარაღის, ფეტქებად მოწყობილობათა (რაც, თუმცა ძალიან იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება პრაქტიკაში) საშიშროება. ამასთან, მაგალითად, ფეხში დამიზნებული სროლა არ ადასტურებს მკვლელობის მიზანს.

მეორე მხრივ, ნაკლებად საშიში იარაღის გამოყენებამ შესაძლოა დაადასტუროს მკვლელობის მიზანი, თუ დაზიანდება სიცოცხლისათვის საშიში ორგანოები.

მაგალითად, ქავთარაძე გაასამართლეს საქართველოს სსრ სსკ 105-ე მუხლით იმისათვის, რომ ჩხუბის დროს მან კარნაუსოვს რამდენჯერმე ჩაარტყა ქვა თავში, რის შედეგადაც კარნაუსოვს კონტუზია დაემართა და მესამე დღეს გარდაიცვალა<sup>15</sup>.

არც ისეთი საშიში იარაღით რამდენიმე დარტყმის მიყენება შესაძლოა ჩაითვალოს მკვლელობის განზრახვის ნიშანთვისებად. ამის გარდა, განზრახი მკვლელობის დროს დამნაშავე ზოგჯერ შეგნებულად იყენებს ისეთ იარაღს, რომლითაც ძნელია სასიკვდილო დარტყმის მიყენება, რათა განსაკუთრებული ტანჯვა მიაყენოს თავის მსხვერპლს.

<sup>14</sup> საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს არქივი.

<sup>15</sup> ზუგდიდის რაიონის სახ. სასამართლოს არქივი.

განზრახვის შეფასებისათვის მნიშვნელობა აქვს იმის გარკვევას, რომ სუბიექტმა შემთხვევით ხელში მოხვედრილი საგანი გამოიყენა დანაშაულის იარაღად თუ ის წინასწარ მოამზადა. მკვლელობის განზრახვის მიმართულება შესაძლოა იყოს მაშინაც როდესაც დაზიანებას მიაყენებენ ირადის გამოუყენებლად. ამ მხრივ დამახასიათებელია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება ნოვიკოვის საქმეზე. სასამართლო ინსტანციები ნოვიკოვის საქმის განხილვისას მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მას არ ჰქონდა მეუღლის მოკვლის განზრახვა, რადგანაც დამნაშავემ მკვლელობისათვის არავითარი იარაღი არ გამოიყენა, მხოლოდ მუშტებითა და ფეხებით სცემა მეუღლეს.

სადავო გახდა რა ეს დასკვნა, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა მიუთითა, რომ ნოვიკოვმა ცოლს მიაყენა უამრავი და ძლიერი დარტყმები სიცოცხლისათვის საშიში ორგანოების არეში. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებიდან ჩანს, რომ ნოვიკოვა გარდაიცვალა ნეკნების მოტეხილობით და ღვიძლის გადიდებით. ამის გარდა, დაზარელებულს დაუზიანდა მარჯვენა თირკმელი, სისხლი ჩაექცა ტვინში და სხვ.

პლენუმის დადგენილებაში ნათქვამია: „იმ ფაქტს, რომ ეს საშიში დაზიანებანი, რომელთა შედეგადაც მოკვდა მისი ცოლი, ნოვიკოვმა დაზარალებულს მიაყენა რაიმე საგნის გამოუყენებლად, აღნიშნულ საქმის კონკრეტულ გარემოებების გათვალისწინებით არ შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს მისი განზრახვის მიმართულების განსაზღვრისათვის“<sup>16</sup>.

ზოგიერთი თავისებურება ახასიათებს სხეულის განზრახ დაზიანებას სუბიექტური მხარის გაანალიზებისას. ამ შემთხვევაში სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება მიეკუთვნება სიცოცხლისათვის საშიშ დაზიანებას. სიცოცხლისათვის საშიში დაზიანება სხეულისა მიეკუთვნება ისეთ დაზიანებას, რომელიც ჩვეულებრივად თავდება დაზარალებულის სიკვდილით, ან დაზიანების მიყენების მომენტში დაზარალებულს სიკვდილი ემუქრება. ასე, მაგალითად, თავის ქალაზე, გულს, მუცლის არეში მიყენებული ჭრილობები, შინაგანი ორგანოების დაუზიანებლადაც კი, მიეკუთვნება სხეულის მძიმე დაზიანებას, მიუხედავად შედეგისა. სიცოცხლისათვის საშიში სხეულის დაზიანებას არსიდან გამომდინარე, უნდა მივიჩნიოთ, რომ ყველა შემთხვევაში, როდესაც სუბიექტი განზრახ სხადის სხეულის დაზიანებას, მას შემდეგ აქვს სიკვდილის დადგომის შესაძლებლობაც.

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეულ თითოეულ შერაცხად პირს შეგნებული აქვს, მაგალითად, რომ გულის ან მუცლის არეში დანით მიყენებული ჭრილობა სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობას ქმნის. შეგნებული აქვს რა ეს, მოქალაქე ამავე დროს ითვალისწინებს სიკვდილის დადგომის შესაძლებლობასაც. ასეთ შემთხვევაში მკვლელობისადმი ნებელობითი ფსიქიური დამოკიდებულება განზრახი ბრალის დამახასიათებელია. დამნაშავეს ან სურს დაზარალებულის სიკვდილი (პირდაპირი განზრახვა) ან შეგნებულად უშვებს (არაპირდაპირი განზრახვა) მას. ძალიან იშვიათია, როდესაც დამნაშავე, ითვალისწინებს რა სიცოცხლისათვის საშიში სხეულის დაზიანების შედეგად დაზარალებულის სიკვდილს, ამავე დროს დაუფიქრებლად იმედოვნებს ამ შედეგის თავიდან აცილებას (დანაშაულებრივი თვითიმედოვნება), ამასთან, იმედოვნებს რაღაც კონკრეტული გარემოებებით სიკვდილის დადგომის

თავიდან აცილებას და არა რაღაც უბრალო იმედებით— დზარალებული ეგებ არ მოკვდესო. ნაკლებ სარწმუნოა, არარეალურია ისეთი ნებელობითი ურთიერთობა განსახილველ სიტუაციაში, როდესაც სუბიექტი განზრახ სჩადის სიცოცხლისათვის საშიშ დაზიანებას (ე. ი. შეგნებულად უქმნის დაზარალებულს სიკვდილის საფრთხეს). ამგვარად, დანაშაულებრივი თვითიმედოვნების ფრიად იშვიათი გამონაკლისის გარდა, სიცოცხლისათვის საშიში სხეულის განზრახ დაზიანება მოწმობს უკიდურეს შემთხვევაში მკვლელობის არაპირდაპირ განზრახვას.

ამიტომ სასამართლო პრაქტიკაში თავის ქალის, გულმკერდის, მუცლის ღრუს დაზიანება, რომელსაც დაზარალებულის სიკვდილი მოჰყვა, კვალიფიცირება განზრახი მკვლელობის მუხლით<sup>17</sup>.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო განზრახი მიმართულების დადგენისას კონკრეტულ საქმეებზე თავის დადგენილებებსა და განჩინებებში არაერთხელ მიუთითებს დაზიანების ხასიათის მნიშვნელობაზე.

ასე, მაგალითად, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის ზემოთქმულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ნაიკინის განზრახვის შეფასებაში არსებითი იყო ის გარემოება, რომ მან ცემის დროს ივანოვას ორჯერ ჩაართყა მუცლის არეში დანა და დაუზიანა ღვიძლი, კუჭ-ნაწლავი. „მსჯავრდებულის ასეთი ქმედობა, მოწმობს, რომ მისი განზრახვა იყო დაზარალებულის მოკვლა და იგი არ უნდა შეფასებულიყო როგორც სხეულის განზრახ მიმე დაზიანება“<sup>18</sup>.

განზრახვის მიმართულების შეფასებისას გასათვალისწინებელია ის კონკრეტული გარემოებანი, თუ რა დროს უზიანებენ დაზარალებულს სხეულს. ერთი და იგივე მოქმედება სხვადასხვა გარემოებაში შესაძლოა მოწმობდეს ერთ შემთხვევაში მკვლელობის განზრახვას და მეორე შემთხვევაში ასეთი განზრახვის არარსებობას.

ასე, მაგალითად, გულის არეში ხელისკვრა ჩვეულებრივად არ მოწმობს მკვლელობის განზრახვას, მაგრამ სახლის სახურავის კიდზე, მოძრავი ტრანსპორტის ახლოს ან სხვა საშიშ გარემოებებში იმავე საქციელს იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ სუბიექტი ითვალისწინებს ან სურს მკვლელობის შესაძლებლობა ან, უკიდურეს შემთხვევაში, შეგნებულად უშვებს მის დადგომას.

როგორც სწორად აღნიშნავს ე. პობეგილო, მკვლელობის განზრახვად შეიძლება ჩაითვალოს „შეგნებული გამოყენება ისეთი გარემოებისა, სადაც აშკარად შეუძლებელია სასწრაფო სამედიცინო დახმარების გაწევა“<sup>19</sup>.

თუ მკვლელობის განზრახვის არარსებობისას, დაზარალებული მაინც კვდება სხეულის განზრახ მიმე დაზიანების შედეგად, ქმედობა კვალიფიცირდება საქართველოს სსრ სსკ 110-ე მუხლის მეორე ნაწილით. იმავე მუხლით დაკვალიფიცირდება ქმედობა მანინაც, როდესაც დაზარალებულის სიცოცხლე შეიძლებოდა გადარჩენილიყო დროული და კვალიფიცირებული სამედიცინო დახმარების გაწევის შედეგად.

17 ამჟამად მოქმედ „წესებში სხეულის დაზიანების სიმძიმის განსაზღვრისათვის“ (დამტკიცებული 1971 წლის 9 ივნისს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მიერ) წარმოდგენილია დაზიანების ყველაზე უფრო ტიპური სახეები, რომელიც სასამართლო-სამედიცინო პრაქტიკაში, განსაკუთრებით ხშირად გვხვდება.

18 «Бюллетень Верховного Суда СССР» 1966, №6, ст. 36.

19 Э. Ф. Побегайло. Умышленные убийства и борьба с ними, Воронеж, 1965, ст. 65.

ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით გიგანი მსჯავრდებული იქნა საქართველოს სსრ სსკ 110-ე მუხლის მეორე ნაწილით და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. გიგანს მსჯავრი დაედო იმაში, რომ, იმყოფებოდა რა დაძაბულ ურთიერთობაში გელეხვიძესთან, 1962 წლის 29 ოქტომბერს თავში ქვის ჩარტყმით მიაყენა მას სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება. როგორც საქმის მასალებით დადგენილია, გელეხვიძე მოათავსეს საავადმყოფოში, საიდანაც იგი დროზე ადრე გამოწერეს რის გამოც ავადმყოფობის მდგომარეობა გაუარესდა და რამდენიმე ხნის შემდეგ გარდაიცვალა. თუმცა გელეხვიძის სიკვდილში ბრალი არაკვალიფიციურ სამედიცინო მომსახურებითაა გამოწვეული, გიგანის ქმედობა დააკვალიფიცირეს საქართველოს სსრ სსკ 110-ე მუხლის მეორე ნაწილით. მისი ქმედობა მიზეზობრივ კავშირში იმყოფებოდა დაზარალებულის სიკვდილთან, მას უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო კიდევ გაეთვალისწინებინა ამ შედეგის დადგომის შესაძლებლობა<sup>20</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ მიზეზობრივი კავშირის არსებობისას სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებასა და სიკვდილს შორის (თუნდაც არადროული ან არაკვალიფიციური სამედიცინო დახმარების შემთხვევაში) ქმედობა შესაძლოა დააკვალიფიცირდეს არა მარტო საქართველოს სსრ სსკ 110-ე მუხლის მეორე ნაწილით, არამედ განზრახი მკვლელობითაც. კვალიფიკაცია ასეთ შემთხვევაში დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი იყო დამნაშავეს ფსიქიური დამოკიდებულება მკვლელობისადმი.

გამიჯვნა განზრახი მკვლელობისა და სხეულის განზრახი დაზიანებისაგან, რომელმაც გამოიწვია დაზარალებულის სიკვდილი, უფრო ადვილია, როდესაც დამნაშავე დანაშაულის ჩადენამდე ან მისი ჩადენის დროს პირდაპირ აცხადებდა მკვლელობის ჩადენის განზრახვას. განზრახვის შინაარსის შეფასებისას მნიშვნელობა აქვს დამნაშავეს შემდგომ აღიარებას, მის მონაწილეობას ან გამოცხადებას ბრალის აღიარებით. ამასთან, დამნაშავეს განცხადება უნდა დასტურდებოდეს საქმის გარემოებით, რომლის შეფასებაც ზემოთ ვილაპარაკეთ. ამასთან, მკვლელობის ჩადენის მიზნის არარსებობა (ან დაუმტკიცებლობა) არ ნიშნავს რომ ქმედობა განზრახი მკვლელობით არ უნდა დააკვალიფიცირდეს.

ზემოთქმულის მიხედვით შესაძლოა დავასკვნათ:

განზრახი მკვლელობის და სხეულის განზრახი სასიკვდილო დაზიანების ერთმანეთისაგან გამიჯვნა შესაძლებელია მხოლოდ სუბიექტური მხრივ. დანაშაულის საშუალებები და იარაღი, დაჭრის ხასიათი და რაოდენობა, დამნაშავეს წინასწარი ქცევა, მისი დამოკიდებულება დაზარალებულისადმი და ა. შ. თავისთავად არ შეიძლება ჩაითვალოს ამ დანაშაულთა გამიჯვნის საფუძვლად, მაგრამ ეს გარემოებები დამნაშავეს განზრახვის მიმართულების განმსაზღვრელად ჩაითვლება.

აღნიშნული გარემოებები უნდა ფასდებოდეს არა იზოლირებულად, არამედ ერთობლიობაში, როგორც ეს ნათქვამია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1960 წლის 4 ივლისის დადგენილებაში—„განზრახ მკვლელობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“.

<sup>20</sup> ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახ. სასამართლოს არქივი.



## გეგმისა და ინფორმაციის სანდოების საკითხისათვის\*

მ. გვანასია,

საქართველოს სსრ შსს სამეცნიერო-ტექნიკური განყოფილების უფროსი

სისხლის სამართლის საქმეზე დაგროვილ მტკიცებულებათა და საექსპერტო გამოკვლევათა ობიექტების ნიშნების შეფასების დროს ინფორმაციის სხვა მახევენებლებთან ერთად აუცილებელია გავითვალისწინოთ მტკიცებულებებსა და ნიშნებში არსებული ინფორმაციის რაოდენობა. მისი გაანგარიშება ხდება ფორმულით:

$$I = \log \frac{P_B^1}{P_A}$$

სადაც:  $P_B$ —არის მოცემული შეტყობინების სწორად მიღების ალბათობა და  $P_A$ —იმ შემთხვევის ხდომილების ალბათობა, რომელზეც საუბარია შეტყობინებაში.

ინფორმაციის მატება ზრდის შეტყობინების ფასეულობას და მის თავისებურებათა შესწავლა ინტერესს აღძრავს.

მიღებულია, რომ ინფორმაციის ზრდა, რამდენიმე მტკიცებულების ან საიდენტიფიკაციო ობიექტის ნიშნების გამოჩენის გამო, მხოლოდ იმ ინფორმაციის შეჯამების შედეგად ხდება, რომელიც თავს იყრის მტკიცებულებებში, ნიშნებში და ა. შ. ამასთან ერთად, ამ საკითხის ინფორმაციის თეორიის პოზიციებიდან განხილვა გვიჩვენებს, რომ ინფორმაციის ზრდის სურათი ზოგჯერ სხვაგვარია.

ინფორმაციის თეორია და კავშირგაბმულობის ზოგადი თეორია იძლევა კოგერენტული ანუ ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანმსაზღვრელი სიგნალების ურთიერთგაძლიერების „კვადრატული ეფექტის“ აღწერას დამახასიათებელს ელექტრული კავშირის არხებისათვის, ამ მოვლენის არსი ის არის, რომ შემოსენებული სიგნალების ურთიერთქმედების დროს ერთობლივი სიგნალის სიმძლავრე სჭარბობს ცალკეული სიგნალების სიმძლავრეთა ჯამს. ამ სჭარბ ოდენობას კოგერენტული სიგნალების საურთიერთო სიმძლავრე ეწოდება<sup>2</sup>. სავარაუდოა, რომ სიგნალების გაძლიერების კვადრატული ეფექტი მართლ ელექტრული კავშირის არხებში კი არ არის, არამედ ძიებისა და დანაშაულის ხდომილების კავშირის გნოსეოლოგიურ არხშიც.

ასეთი ანალოგიის კანონზომიერების დასასაბუთებლად განვიხილოთ სიგნალის სიმძლავრის ცნება, სიმძლავრისა და ინფორმაციის კავშირის ხასიათი და აგრეთვე, ზოგადად, კვადრატული ეფექტის წარმოქმნის მექანიზმი.

\* იბეჭდება განხილვის წესით.

<sup>1</sup> С. Голдман. Теория информации. Изд. ИЛ М., 1967 г., стр. 59.

<sup>2</sup> А. А. Харкевич. Очерки общей теории связи. Гос. изд. технико-теоретической литературы. М., 1955, стр. 242.

როგორც ცნობილია, სიმძლავრე სხვა ოდენობებიდან ნაწარმოები ოდენობაა და პროპორციულია მათი წარმოებისა ან ერთ-ერთი ოდენობის კვადრატისა. საზოგადო შემთხვევაში სიმძლავრე  $P = \frac{F \cdot S}{t}$ , სადაც  $F$  ძალაა,  $S$ —

მანძილი და  $t$ —დრო. ელექტრული დენის სიმძლავრე  $P = I^2 R$ . აქ  $I$  დენის ძალაა,  $R$ —ელექტრული ჯაჭვის წინაღობა. ელექტრული კავშირის არხში სიგნალის სიმძლავრე პროპორციულია სიგნალის დენის ძალის კვადრატისა. შემდგომი მსჯელობისას ჩვენ დავუშვებთ მათემატიკური ხასიათის ზოგ გამარტივებას, რადგანაც გვინტერესებს სიმძლავრისა და ინფორმაციის არა ზუსტი გაანგარიშება, არამედ მხოლოდ მათ შორის არსებული კავშირის დადგენა.

აღენიშნოთ ერთი სიგნალის ამპლიტუდა ნიშნით  $A_1$ , ხოლო მეორე კოგერენტული სიგნალისა—ნიშნით  $A_2$ . მაშინ პირველი სიგნალის სიმძლავრე  $P_1$  იქნება  $A_1$  კვადრატის პროპორციული, ე. ი.  $P_1 \equiv A_1^2$  ( $\equiv$  პროპორციულობის მათემატიკური სიმბოლოა). ამის ანალოგიით,  $P_2 \equiv A_2^2$ . ამ სიგნალების ერთდროულად გამოჩენის დროს ერთობლივი სიგნალის სიმძლავრე  $P_{\Sigma}$  პროპორციული გახდება  $(A_1 + A_2)^2$  გამოსახულებისა, რომელიც, როგორც ორი რაოდენობის ჯამის კვადრატი, შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი სახით:  $(A_1 + A_2)^2 = A_1^2 + A_2^2 + 2A_1A_2$ , ან კიდევ, რადგანაც  $P_1 \equiv A_1^2$  და  $P_2 \equiv A_2^2$ ,  $P_{\Sigma} \equiv P_1 + P_2 + 2\sqrt{P_1} \cdot \sqrt{P_2}$ .

ამ ტოლობის მარჯვენა ნაწილში პირველი ორი შესაკრები ქმნის პირველი და მეორე სიგნალის სიმძლავრეების ჯამს, ხოლო გამოსახულება  $2\sqrt{P_1} \cdot \sqrt{P_2}$  არის მათი „საუერთიერთო სიმძლავრე“, ე. ი. საერთო სიგნალის დამატებითი ზრდა კვადრატული ეფექტის ხარჯზე.

$I = \log \frac{P_B}{P_A}$  ფორმულიდან გამომდინარეობს, რომ ინფორმაცია პროპორციულია  $P_B$ -სი ანუ შეტყობინების სწორი მიღების ალბათობისა.

სიგნალის სიმძლავრის ზრდასთან ერთად იზრდება შეფარდება, სიგნალი  
ხმაური  
და ე. ი. იზრდება  $P_B$ . ამგვარად, ინფორმაციისა და სიმძლავრეს შორის მკვიდრო დამოკიდებულებაა—პირდაპირი პროპორციულობაა. ამასთან დაკავშირებით შეიძლება ჩავთვალოთ, რომ  $I \equiv P$ , ე. ი. სიმძლავრის ნებისმიერი დამატებითი ზრდა გამოიწვევს ინფორმაციის დამატებით ზრდას. კერძოდ, სიმძლავრის მატება, რომელზეც ზემოთ იყო ლაპარაკი,  $2\sqrt{P_1} \cdot \sqrt{P_2}$ , აგრეთვე მოგვცემს ინფორმაციის მატებას. გამოსახულებიდან  $P_{\Sigma} \equiv P_1 + P_2 + 2\sqrt{P_1} \cdot \sqrt{P_2}$  თუ გავითვალისწინებთ, რომ  $I \equiv P$ , მივიღებთ  $I_{\Sigma} \equiv I_1 + I_2 + 2\sqrt{I_1} \cdot \sqrt{I_2}$ , სადაც  $2\sqrt{I_1} \cdot \sqrt{I_2}$  არის ინფორმაციის დამატებითი ზრდა კვადრატული ეფექტის ხარჯზე. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში ინფორმაციის ზრდა არ ექვემდებარება ადიტიურ წესს და ჯამის ინფორმაცია ინფორმაციების ჯამზე მეტი აღმოჩნდება.

მარტივი გაანგარიშებანი გვიჩვენებენ, რომ  $2\sqrt{I_1} \cdot \sqrt{I_2}$  სიდიდე  $(I_1 + I_2)$ -ის ინფორმაციის 40-დან 100-მდე პროცენტს შეიცავს და ამგვარად ერთობლივი ინფორმაცია იღებს მნიშვნელობას 1,4  $(I_1 + I_2)$  დან  $2(I_1 + I_2)$ -მდე. ინფორმაციის ასეთი ნამატი ზრდის ჩვენს ცოდნას საგნის შესახებ და

ამიტომ საკვებით კანონზომიერი იქნება ვივარაუდოთ, რომ კვადრატული ეფექტის ხარჯზე ინფორმაციის ზრდა ხელს უწყობს ნაკლებ საიმედო მტკიცებულებების გადაქცევას მტკიცების საიმედო აქტად.

ინფორმაციის თეორია და კავშირგაბმულობის ზოგადი თეორია კოგერენტული სიგნალების კატეგორიას მიაკუთვნებს ურთიერთდაკავშირებულ, ერთიმეორის განმსაზღვრელ სიგნალებს. კოგერენტულობა განიხილება როგორც კორელაციის, სიგნალების ურთიერკავშირის მათემატიკური გამოხატულება.

ჩვენს შემთხვევაში მართებულად მიგვაჩნია კოგერენტულად ჩაითვალოს ის შეტყობინებანი, რომელთა შორისაც მიზეზობრივი კავშირი არსებობს და რომელნიც ამავე დროს დამოუკიდებელი არიან.<sup>3</sup> სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კოგერენტულობა თავს იჩენს მაიდენტიფიცირებელ ობიექტზე ნიშანთა მოცემული კომპლექსის გამოჩენის აუცილებლობაში და საიდენტიფიკაციო ობიექტზე მათი გამოჩენის შემთხვევითობაში.

მტკიცებათა ელემენტარული აქტების კოგერენტულობა მაშინ გვექნება, როცა დავადგენთ მათს „დაკავშირებულობას“ დანაშაულის ხდომილებასთან, წარმოშობის საერთო წყაროს, აგრეთვე მათს ურთიერთდამოუკიდებლობასა და შეთანხმებულობას: „ერთი საქმის გარშემო არსებული მტკიცებულებები ქმნის ურთიერთდაკავშირებული ინფორმაციული სიგნალების სისტემას. ამ სისტემის ელემენტები ერთმანეთთან არის შეთანხმებული, ე. ი. ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება. მტკიცებულებათა ინფორმაციის შინაარსის კვლევაც, საქმის შესახებ არსებულ სხვა ინფორმაციასთან მისი შეთანხმებულობის თვალსაზრისით, მტკიცებულებათა კვლევის აგრეთვე ერთ-ერთი ელემენტია“<sup>4</sup>. მაგალითად, დაზარალებულის მიმართ მუქარა და ექვმიტანილის შემთხვევის ადგილზე ყოფნა კოგერენტულ შეტყობინებად უნდა ჩაითვალოს.

როცა ლაპარაკია ინფორმაციულ შეტყობინებათა რაოდენობრივ მხარეზე, როგორც ინფორმაციის ფასეულობის ერთ-ერთ მაჩვენებელზე, არ შეიძლება არ შევეხოთ მტკიცებულებითი ინფორმაციის სიჭარბის ოპტიმალური დონის მიღწევის საკითხს. ინფორმაციის თეორიის თვალსაზრისით ამ საკითხის შესწავლა ერთობ ნაყოფიერი უნდა იყოს, რადგანაც საზოგადოებრივი პრაქტიკის სამსახურში მყოფი რეალურ შეტყობინებათა სიჭარბის ამ გზით დადგენილი დონე, ვფიქრობთ, მიზანშეწონილია ჩაითვალოს სიჭარბის დასაშვებ დონედ მტკიცებითი ინფორმაციისათვისაც. ეს მით უმეტეს დასაშვებია, რომ კვადრატული ეფექტი, რომელზეც ზემოთ იყო ლაპარაკი, ინფორმაციის დამატებით „საიმედობის მარაგს“ იძლევა.

მტკიცება სისხლის სამართლის საქმეში ერთობ რთული პროცესია და შეიცავს მტკიცების დიდი რაოდენობის ელემენტარულ აქტებს, რომელიც საბოლოო თეზისის ჩამოყალიბებისაკენ არის მიმართული. ამ პროცესის ყველა სტადიაზე, მტკიცებათა გამოყენებით, მიმდინარეობს დაძაბული მუშაობა, რომელიც მკაცრად უნდა იქნეს რეგლამენტირებული: „სრულებითაც არ არის აუცილებელი თავი მოვუყაროთ საქმესთან დაკავშირებულ ყველა მტკიცებულებას. მათი თავმოყრა წყდება მას შემდეგ, რაც დადგენილი იქნება მტკიცების საგანი საქმისათვის საჭირო ფარგლებში. მტკიცებულებათა შემდგომ თავმოყრას შეიძლება

<sup>3</sup> М. Я. Сегай. Методология судебной идентификации. Киевский НИИ судебной экспертизы. Киев, 1970 г., стр. 172.

<sup>4</sup> Р. С. Белкин, А. И. Винберг. Криминалистика и доказывание. М., 1969 г., стр. 200.

მოჰყვეს გამოძიების ვადების გაუმართლებელი ვაჭიანურება, საქმის მასალების ხელოვნური გართულება, დროის, ძალებისა და სახსრების ზედმეტი ხარჯვა“<sup>5</sup>.

როგორც ა. ა. ეისმანი წერს, „სისტემის შევსების საზღვარს (მტკიცებულებათა სისტემის — ო. გ.) ქმნის არა ფორმალური, ავტომატურად მოქმედი ან გარედან შემოტანილი კრიტერიუმები, არამედ მისი სისრულისა და სარწმუნობის თავისუფალი შინაგანი შეფასება. გასაგებია, რომ ასეთი კრიტერიუმის ფუნქცია შეიძლება შეასრულოს მხოლოდ საზოგადოებრივმა პრაქტიკამ და ისტორიულად დაგროვებულმა გამოცდილებამ“<sup>6</sup>.

ბუნებრივია, რომ მტკიცების პროცესში ჩნდება მისწრაფება, ერთი მხრივ, მიღებულ იქნეს მტკიცებულებითი ინფორმაციის დიდი სარწმუნობა, მეორე მხრივ კი — შემოიფარგლოს მისი მოცულობა, რადგანაც საზოგადოებისათვის სულ ერთი არ არის ჭეშმარიტების მისაღწევად გაწეული მატერიალური ხარჯების ოდენობა. ამ ტენდენციების მორიგება შეიძლება მხოლოდ იმ სფეროს მიგნებით, სადაც ისინი დიალექტიკურ მთლიანობაში იმყოფებიან.

რაკი თავისუფალი შეფასების ჩამოყალიბების დროს საზოგადოებრივი პრაქტიკა უმადლესი ავტორიტეტის როლს ასრულებს, სწორედ მას უნდა მივმართოთ მტკიცებულებათა სისტემის სისრულის შესაფასებელი კრიტერიუმების ძებნის დროს. ამ საკითხს ინფორმაციის თეორიის თვალსაზრისით უნდა მივუდგეთ, რადგან იგი სპეციალურად განიხილავს ინფორმაციულ შეტყობინებათა სიჭარბეს, რომელიც საზოგადოებრივი პრაქტიკის მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს.

ინფორმაციის თეორიიდან ცნობილია, რომ ინფორმაციის მაქსიმუმი „გამოიყოფა“ თანაბარალბათობიან ამოსავალთა ცდის რეალიზაციის დროს<sup>7</sup>. ამის ანალოგიურად, გარკვეულ შეტყობინებაში მოქცეული ინფორმაცია მაქსიმუმს აღწევს ყოველი ასოს თანაბარალბათობიანი გამოჩენის დროს. მისი წილი ინფორმაცია ამავე დროს მაქსიმალურია და „ასოების ნებისმიერი თანმიმდევრობა გააზრებულ ტექსტს წარმოადგენს“<sup>8</sup>. მაგრამ რეალურ შეტყობინებებში, სადაც ყოველი ასოს გამოჩენას თავისი ალბათობა აქვს, ასოს წილი ინფორმაცია იკლებს, ეს კი აგრძელებს შეტყობინებას.

სიჭარბე ამ გაგრძელების ოდენობას გამოხატავს და შემდეგნაირად იანგარიშება:

$$K = \frac{I_{max} - I_{\Phi}}{I_{max}} = 1 - \frac{I_{\Phi}}{I_{max}}$$

სადაც  $I_{max}$  — ასოს წილი ინფორმაცია ასოს თანაბარალბათობიანი გამოჩენის დროს,  $I_{\Phi}$  — ამ ენისათვის დამახასიათებელი ასოს წილი ინფორმაცია.

ინფორმაციის თეორიას დადგენილი აქვს მსოფლიოს ენების საშუალო სიჭარბე (75%) და ინფორმაციული შეტყობინების გაგრძელების საშუალო სიდიდე (4,0)<sup>9</sup>.

<sup>5</sup> Р. С. Белкин. Собрание, исследование и оценка доказательств. Изд. «Наука», М., 1966 г., стр. 92.

<sup>6</sup> А. А. Эйман. Структурный анализ и моделирование судебных доказательств. Сб. Правовая кибернетика. «Наука», М., 1970, стр. 183.

<sup>7</sup> А. М. Яглом, И. М. Яглом. Информация и вероятность. Физматгиздат, М., 1960 г., стр. 18.

<sup>8</sup> К. Шеннон. Работы по теории информации и кибернетике. Изд. ИЛ, М., 1963 г., стр. 267.

<sup>9</sup> И. Земан. Познание и информация. Изд. Прогресс, М., 1966 г., стр. 111.

იმ შემთხვევაში, როცა  $K = 1 - \frac{I_{\Phi}}{I_{max}} = 75\% = \frac{3}{4}$  ადგილი განსა-

საზღვრავია ოდენობები  $\frac{I_{\Phi}}{I_{max}}$  და  $I_{\Phi}$ .

$$\frac{I_{\Phi}}{I_{max}} = 1 - \frac{3}{4} = \frac{1}{4} \quad \text{და} \quad I_{\Phi} = \frac{I_{max}}{4}.$$

როგორც უკანასკნელი გამოსახულებიდან ჩანს, რეალურ ტექსტებში არსებული ასოს წილი ინფორმაცია სიჭარბის წყალობით მაქსიმალურზე ოთხჯერ ნაკლებია და ამიტომ მოცემული მოცულობის ინფორმაციის გადასაცემად შეტყობინება უნდა გავრძელდეს ოთხჯერ, რადგანაც ერთი ასოს ნაცვლად გამოიყენება ოთხი.

ენას, ადამიანთა ურთიერთობის ამ უდიდეს საშუალებას, შემთხვევით როდი აქვს ასეთი თვისება. საზოგადოებრივი პრაქტიკა წარმოუდგენელია უშეცდომოდ მიმდინარე ინფორმაციულ შეტყობინებათა კარგად ორგანიზებული გადაცემის გარეშე. ენების სიჭარბე წარმოიშვა როგორც შეცდომების თავიდან აცილების ფაქტორი კავშირგაბმულობის არხებში ინფორმაციის მოძრაობის დროს.

სიჭარბის ამ დონის ინფორმაციული შეტყობინება წარმატებით ემსახურება საზოგადოებრივი პრაქტიკის ისეთ უბნებს, რომლებიც თავისი მნიშვნელობით არ ჩამორჩებიან მართლმსაჯულების აღსრულებას. ასე მაგალითად, ბრძანებების მიცემა ბრძოლის ველზე, ცნობების გადაცემა სახელმწიფო და სამეურნეო საქმიანობაში საშუალოდ 75 პროცენტის სიჭარბით გადაიცემა, ე. ი. იმ ენათა სიჭარბით, რომლებზეც ამ შეტყობინებების გადაცემა ხდება.

ენათა სიჭარბის ცნების მტკიცებითი ინფორმაციის სიჭარბის ცნებასთან დაახლოება მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება, როცა დავრწმუნდებით ზოგიერთი ანალოგიის კანონზომიერებასა და ბუნებრიობაში.

ინფორმაციის დაგროვების პროცესი ენათა სიმბოლოების ან კოდის თანდათანობითი ზრდის პირობებში მტკიცების მრავალნიშნა აქტების დაგროვების პროცესის ანალოგიურია. პირველ შემთხვევაში დგინდება გადაცემული ტექსტი, მეორეში კი — შუალედური ან მთავარი ფაქტი.

კავშირის არხის ბოლოზე ასობის ან კოდის სიმბოლოების თანმიმდევრობის მიღებისას ვასკვნით, რომ მიღებული შეერთება წარმოადგენს გარკვეულ სიტყვას ან ტექსტს. ეს დასკვნა ინდუქტიური ხასიათისაა.

ამგვარად, გადაცემული ტექსტის აღქმისას ჩვენი გონება მუდმივ ლოგიკურ მოქმედებაში იმყოფება. ინდუქტიური პროცესის შედეგად ხდება ინფორმაციის ზრდა, კერძო დასკვნების შეერთება და სიტყვის შინაარსის აღქმა. მაგალითად, ტელეგრაფით სიტყვების და ფრაზების გადაცემისას მათი შინაარსი „ნათელი ხდება“ ახალი ასობის გადმოცემისდაკვალად.

ანალოგიურად, ინდუქტიური ხასიათისა დასკვნა იმის შესახებ, რომ მტკიცებათა გარკვეული ერთობლიობის არსებობის პირობებში დამტკიცებულად ჩაითვალოს შუალედური ან მთავარი ფაქტი.

ორივე განხილულ შემთხვევაში დასკვნები კეთდება აზროვნების ერთი ტიპის აქტების შედეგად — ინდუქტიური დასკვნების საფუძველზე. ამიტომ იმ გადაწყვეტილებებს შორის, რომლებიც ჩვენ მივიღეთ პირველ და მეორე შემთხვევაში, პრინციპული სხვაობა არ არის.

განსაზღვრული სიტყვისა და წინადადების გადაცემის ფაქტის დადგენა ნი-

შანთა მოცემული ერთობლიობის პირობებში იგივეობისა და არსებული მტკიცებებიდან ამოსვლით მთავარი და შუალედური ფაქტის დადგენის ადეკვატურია.

თუ მივიღებთ, რომ პირველ შემთხვევაში, ე. ი. ინფორმაციის არსებული სიჭარბის დონის შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება დასკვნების აუცილებელი საიმედოობა, მაშინ სიჭარბის იმავე დონის პირობებში, მეორე შემთხვევაშიც შეიძლება მივალწიოთ ამას, მით უმეტეს, რომ ასოების ხმარების სხვადასხვა სისწორის წყალობით რეალურ შეტყობინებებში მათი გამოჩენის ინფორმაციული მნიშვნელობა არაერთგვაროვანია. ისევე არაერთგვაროვანია, როგორც სამხილის ფასეულობა მტკიცებულებათა თანმიმდევრობაში.

რამდენადაც მსოფლიო ენები 75 პროცენტისანი საშუალო სიჭარბით „მუშაობენ“ და საესვებით საიმედოდ ემსახურებიან კაცობირობას მისი მოღვაწეობის ყველა სფეროში და აკმაყოფილებენ საზოგადოებრივი პრაქტიკის მოთხოვნილებას, კანონზომიერად ჩანს მტკიცებულებათა სიჭარბის დადგენა ენების საშუალო სიჭარბის დონეზე, ე. ი. 75 პროცენტის ოდენობით.

სწორედ მოცემულმა დონემ უნდა განსაზღვროს მტკიცებულებათა მრავალმნიშვნელოვანი „არასაიმედო“ აქტების თანმიმდევრობის აუცილებელი ზომა, რის შედეგადაც შეიძლება დადგენილად ჩაითვალოს შუალედური ან მთავარი ფაქტი.

როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, 75 პროცენტისანი სიჭარბის დროს შეტყობინების სიგრძე ოთხჯერ მატულობს. თუ მივიღებთ, რომ მტკიცებულების ერთ მრავალმნიშვნელოვან აქტს, თავისთავად აღებულს, ნულოვანი სიჭარბე აქვს, მაშინ 75 პროცენტისანი სიჭარბის მისალწევად უნდა ვიქონიოთ მტკიცებულობის ოთხი მრავალნიშნა აქტი. მტკიცებულებათა ამ თანმიმდევრობას ექნება საკმარისი და შეცდომებისაგან გარანტირებული საიმედოობა.

ოთხი „არასაიმედო“ მტკიცების არსებობა წარმოქმნის საიმედო მტკიცებულებათა კომპლექსს, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნეს შუალედური ან მთავარი ფაქტის მტკიცებულებად. როგორც ზემოთ ითქვა, საიმედოობა ასეთ შემთხვევაში მატულობს აგრეთვე კოგერენტული სიგნალების ურთიერთმოქმედების კვადრატული ეფექტის წყალობით.

ყოველივე ზემოთქმული არ ნიშნავს, რომ ჩვენ ვიძლევიან მტკიცებულებათა შეფასების მკაცრ „ავტომატურ მოქმედ“ კრიტერიუმებს და ხარკს ვიხდით ფორმალურ მტკიცებულებათა თეორიის წინაშე. გადაწყვეტილება საქმის გამო მიღებულ უნდა იქნეს მხოლოდ მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების საფუძველზე. მაგრამ თავისუფალი შეფასების პრინციპების გამოყენება არ ნიშნავს, რომ საერთოდ არ უნდა არსებობდეს შეფასების კრიტერიუმები და არ უნდა ხდებოდეს მათი გათვალისწინება. ამასთან დაკავშირებით საინტერესო და საჭიროა ინფორმაციული შეტყობინებების სიჭარბისა და მათი ურთიერთმოქმედების თავისებურებათა შესწავლა.

## სხეულის ზოგიაერთი არასასიკვლილო დაზიანების საკითხების სწორად გაგებისათვის\*

პროფ. ვ. ზანიძე

1. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსით, სხეულის არასასიკვლილო დაზიანების ზოგიაერთი სახე სპეციფიკურობით ხასიათდება. აუცილებელია სათანადო განმარტება, რათა თავიდან ავიცილოთ შეცდომები დანაშაულის კვალიფიკაციაში. გამომდინარე ამ მოსაზრებიდან ჩვენ მიზნად დავისახეთ განვიხილოთ სხეულის დაზიანების სახეები: „წამება“ (გვემა), „ტანჯვა“ (წვალება) და სხვ.

თავდაპირველად უნდა ითქვას, რომ ადამიანის ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული ხელყოფის შედეგად, გახდება ეს ფიზიკური (მექანიკური, თერმული და სხვ.) ფაქტორების ზემოქმედებით თუ ქიმიური ფაქტორების ზემოქმედებით, ყოველთვის არ ირღვევა ორგანოს ანატომიური მთლიანობა ან რომელიმე ფუნქცია. ზოგჯერ ასეთი ხელყოფის შედეგად ადამიანის ორგანიზმზე არ ვითარდება დაზიანების რაიმე მორფოლოგიური ელემენტი — ნაჭრევი, სისხლნაყლენთი, ჭრილობა და სხვ. ყველა ასეთი შემთხვევა უნდა შეფასდეს როგორც ფიზიკური ტკივილის მიყენება. დანაშაულის ეს სახე მოცემულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 116 მუხლში („ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულს ფიზიკური ტკივილი მიყენა“). „სხვაგვარი ძალადობა“ შეიძლება გამოიხატოს ადამიანის სხეულზე ზემოქმედების სხვა ისეთ სახეებში, რაც ტანჯვასა და ფიზიკურ ტკივილს მიაყენებს დაზარალებულს (მაგალითად, ხიციანი, ღიტიანი, თმით მიწაზე გათრევა და სხვ.). 116 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის აუცილებელია დაზარალებულისათვის ფიზიკური ტკივილის მიყენება. ამიტომ, თუ სუბიექტის ამა თუ იმ მოქმედებით პირს ფსიქიკური ტანჯვა, განცდა შეიპყრობს (მაგ. სახეში შეფურთხება, წვერის ან ულვაშის მოჭრა და ა. შ.) დამნაშავეს შეიძლება პასუხისმგებლობა დაეკისროს სისხლის სამართლის კოდექსის 138 მუხლით (შეურაცხყოფა) და არა 116 მუხლით<sup>1</sup>.

სასამართლო-სამედიცინო შემოწმებით ფიზიკური ტკივილის ფაქტის დადგენა შეუძლებელია, რადგან ასეთ შემთხვევაში ექიმი, სხეულზე ჩვეულებრივ დაზიანების რაიმე კვალს ვერ ნახავს. „წამებით“ (გვემით), „ტანჯვით“ (წვალებით) არ წარმოიშობა სხეულის დაზიანების განსაკუთრებული სახე. ეს მოქმედებები მხოლოდ იმას უჩვენებს, თუ საიდან წარმოიშვა დაზიანება, ან რით იყო იგი მიყენებული.

„წამება“ ანუ „გვემა“ განმარტებულია სხეულის დაზიანების სიმძიმის განსაზღვრის წესების მეექვსე მუხლის მეათე შენიშვნაში და ნიშნავს განსაკუთრებული ტკივილის მიყენებას სისტემატურად ან ერთჯერადად, მაგრამ ხანგრძლივი დროის განმავლობაში (გაროზგვა, მრავალგზის ჩქმეტა, არა დიდი, მაგრამ მრავლობითი დაზიანების მიყენება ბლაგვი და მახვილი საგნით, თერმული ფაქტორების ზემოქმედებით და სხვ.).

\* იბეჭდება განხილვის წესით.

<sup>1</sup> ბ. ზ. ფურცხვანიძე, საბჭოთა სისხლის სამართალი, 1966 წ. გვ. 182.

საერთოდ „წამების“ (გვემის) და „ტანჯვის“ (წვალების) საკითხის წამოჭრის შემთხვევაში სასამართლო-სამედიცინო ექსპერტმა უნდა დაადგინოს არა მარტო სხეულის დაზიანების ხარისხი, არამედ განსაზღვროს დაზიანების მიყენების საშუალება, ხოლო იმის განსაზღვრა, ჰქონდა თუ არა კიდევ ადგილი „გვემას“ (წამებას) ან „ტანჯვას“ (წვალებას) ხდება საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების მიერ.

წამების საკითხის გადაწყვეტის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს სხეულის დაზიანების მიყენების საშუალებას. ასეთი რამ უფრო ხშირი შედეგია გაცხელებული მეტალური საგნებით (შამფური, დანა, მავთული და სხვ), ან ანთებული პაპიროსით, სისტემატური მოქმედებისა ნემსით, მახათით, სადვისით, ლურსმნით, ჩანგლით მრავალჯერის ჩხვლეტისა, მწვავე სიმყავეების და ტუტეების შესხმისა, მრავალჯერის ჩქმეტისა და სხვ.

წამების საკითხის გადაწყვეტის დროს მნიშვნელოვანია დაზიანების სისტემატურობის დადგენა. სიტყვა „სისტემატური“ ნიშნავს მრავალჯერ დაზიანების მიყენებას (დღეს, ხვალ, ზევ და ასე შემდეგ). ასეთი შემთხვევების სასამართლო-სამედიცინო დადასტურება შესაძლებელია სხეულზე სხვადასხვა ხანდაზმულობის მქონე დაზიანების ნიშნების აღმოჩენის გზით. ეს ადვილია მაშინ, როცა დაზარალებულის შემოწმება ხდება დაზიანების ადრეულ ხანაში, როდესაც ეს ნიშნები განსხვავდება ერთმანეთისაგან, რეგენერაციული ანთების ცალკეული ეტაპისათვის დამახასიათებელი ნიშნების მიხედვით. მოგვიანებით წარმოებული შემოწმების დროს კი, როცა მიღებულია დაზიანების სტაბილური მდგომარეობა ნაწიბურების სახით, დაზიანების სისტემატურობის დადგენა შეუძლებელია.

შედარებით ძნელია წამების საკითხის გადაწყვეტა როცა განსაკუთრებული ტკივილის მიყენებას ადგილი აქვს ერთჯერადად, მაგრამ ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

რას ნიშნავს ერთჯერადად სისტემატური ტკივილის მიყენება. ასეთ შემთხვევაში დაზარალებულს ერთჯერადად მიყენებენ მრავალ ზერელე (ცალკეულად მსუბუქ) დაზიანებას. მაგალითად, დამწვრობა გამოწვეული ცეცხლის ალით, გახურებული საგნებით, ანთებული პაპიროსით, ცხელი სითხეებით და ბოლოს ქიმიური ნივთიერებების (მწვავე სიმყავეების და ტუტეების) შესხმით. ასეთ შემთხვევებში ადამიანის სხეულზე ზემოქმედება მართალია ერთჯერადია, მაგრამ თერაპიული და ქიმიური დამწვრობით გამოწვეული ტკივილები (როცა ქსოვილის დანეკროზება ღრმა და ვრცელია) დიდხანს გრძელდება, მეტად გაჭიანურებული აღდგენითი (აღორძინების) პროცესის გამო. ამ პერიოდის პირველ ხანებში (საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში) დაზარალებული შეიგრძნობს განსაკუთრებულ ტკივილებს. ჩვენ გვქონდა შემთხვევა, როცა შესამოწმებელი ქალის სხეულზე (სახის, ყელის, მკერდის, მხრების და წინამხრების მიდამოებში) ვნახეთ ანთებული პაპიროსის მოქმედების შედეგად გამოწვეული თხილის კაკლის ოდენა მეორე ხარისხის დამწვრობა, სეროზული სითხით ამოვსებული 52 ბუშტუკის სახით. ყველაფერი ეს განვითარდა ერთჯერადად, მაგრამ ხანგრძლივი, ალბათ, რამდენიმე წუთის განმავლობაში. ამიტომ სიტყვა „ხანგრძლივი დრო“ შეიძლება შემოიფარგლოს დროის ისეთი მონაკვეთით, როგორცაა რამდენიმე წუთი.

არის თუ არა ეს შემთხვევა „გვემა“ (წამება). ამაზე მეორე აზრი არ არსებობს. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა წამება (ტკივილები) უნდა მიეღოს დაზი-



რალეზულს ასეთი მრავალრიცხოვანი დამწვრობით, და მართლაც, ასეთი დაზიანების შედეგად ქალმა რამოდენიმე ხნით (ალბათ ტკივილებით გამოწვეული შოკის გამო) გრძობა დაკარგა, რა დროსაც მოძალადემ შეასრულა თავისი განზრახვა და დაუყოვნებლივ გასცილდა იმ ადგილს. ამ შემთხვევაში გვემას საღიზმის ხასიათი ჰქონდა. მოძალადე ყოფილი ქმარი იყო, და თავის მეუღლესთან სქესობრივი შეუღლება შეეძლო მხოლოდ ტკივილის მიყენების შემდეგ. ასეთი გაუკუღმართებული სქესობრივი კავშირის გამო, ქალი ამ შემთხვევამდე რთვის წინ გაშორდა თავის ქმარს, მაგრამ შემთხვევით ქუჩაში შეხვედრილმა მეუღლემ დაარწმუნა იმაში, რომ იგი განიკურნა და სთხოვა შერიგება. ბინაში მისვლისთანავე ქმარმა გადაკეტა კარები, წააქცია თავისი ყოფილი მეუღლე იატაკზე და ანთებული პაპიროსით მიაყენა ზემოთ მითითებული დამწვრობა, გრძობადაკარგულ ქალს, რის შემდეგ იქონია მასთან სქესობრივი კავშირი.

ამგვარად გვემა შეიძლება წარმოიშვას ერთჯერადად მრავალი დაზიანების მიყენებით, მაგალითად, რამდენიმე წუთის განმავლობაში.

„წამება“ (გვემა) ჯანმრთელობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულია, ამიტომ ასეთ შემთხვევაში ირყევა ჯანმრთელობა, რის შედეგადაც შეიძლება მივიღოთ სხეულის მსუბუქი, ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება (ინვალიდობა, სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობა). ამიტომ სასამართლო-სამედიცინო შემოწმების დროს ექსპერტმა უნდა განსაზღვროს სხეულის დაზიანების ხარისხი, რადგან წამება გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 110 და 116 მუხლების მეორე ნაწილით.

„წამება“ (გვემა) გვხვდება რაიმე ცნობების (საიდუმლოს) გამოძალვის, საღიზმის (გაუკუღმართებული სქესობრივი კავშირის) და სხვა შემთხვევებში.

სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე მუხლის მეორე ნაწილში მითითებულია აგრეთვე „მტანჯველი საშუალება“, რის შედეგადაც ისე მოიშალა ჯანმრთელობა, რომ დაზარალებულმა მიიღო სხეულის მძიმე დაზიანებისათვის დამახასიათებელი ნიშნები—სიცოცხლისათვის სახიფათო მდგომარეობა ან ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი (საკმაო) მოშლა. მტანჯავია საშუალება, როცა დაზარალებული ძლიერ სულიერ და ფიზიკურ ტკივილს განიცდის საკვების, წყლის, სითბოს და თავისუფლების აღკვეთით. მაგალითად, მსხვერპლის ხანგრძლივად მოთავსება ცივ სარდაფში საჭმლისა და სასმელის მიუწოდებლად, რის შედეგადაც შეიძლება ადამიანი მძიმედ დაავადდეს, რაც, ხასიათის მიხედვით, სხეულის მძიმე დაზიანებათა ჯგუფს მიეკუთვნება. საკვების და სასმელის მიწოდების შეწყვეტა შედარებით იშვიათია. ზოგჯერ ეს საშუალებები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მკვლელობის მიზნითაც, განსაკუთრებით ახალშობილთა და დაავადებით დაუძლურებულთა მიმართ. თუმცა, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ახალშობილთა მკვლელობის ეს მეთოდი (ჩვილთმკვლელობა) არ ჩაითვლება მტანჯველ საშუალებად, რადგან ახალშობილი ვერ აღიქვამს დამტანჯველი საშუალების ზემოქმედებას.

დამტანჯველი საშუალების გამოყენებით ჯანმრთელობის მოშლის დადგენა სამედიცინო შემოწმებით ძნელია. იმ შემთხვევაში, როცა ასეთ საშუალებად გამოყენებულია საკვების და სასმელის მიწოდების შეწყვეტა, შეიძლება დადგინდეს ორგანიზმში სრული ან ნაწილობრივი შიმშილისათვის დამახასიათებელი ცვლილებები, ან ფსიქიური აშლილობის მოვლენები.

„წამების“ (გვემის) და „ტანჯვის“ (წვლების) საკითხის გადაწყვეტა სამედიცინო ექსპერტის კომპეტენცია არ არის, მაგრამ, ჩვენი აზრით, ასეთი საკი-

თხის გადაწყვეტის დროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის კონსულტაცია დიდად შეუწყობს ხელს ჭეშმარიტების დადგენას. წამებისა და ტანჯვის შედეგად ადამიანის ორგანიზმში გამოწვეული ცვლილებები ბიოლოგიური კატეგორია და საგამოძიებო მასალების გამოყენების საფუძველზე მასში გარკვევა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტს უფრო შეუძლია, ვიდრე იურისტს. ეს მოსაზრება სადისკუსიოა იმ მოტივითაც, რომ ამ მხრივ ჩვენ წამყვან სპეციალისტებს შორისაც არ არსებობს საერთო შეხედულება. მაგალითად, სასამართლო მედიცინის ცნობილი სპეციალისტი, საკავშირო სამედიცინო აკადემიის წევრ-კორესპონდენტის პროფ. მ. ი. ავდევის აზრით, წამების საკითხის გადაწყვეტა შედის ექიმის კომპეტენციაში. მისი აზრით, თუ დამაზიანებელ საშუალებას შეეძლო გამოეწვია „წამება“ (გვემა), დასკვნაში სხეულის დაზიანების სიმძიმის დადგენის შემდეგ იგი ყოველთვის უნდა იქნეს განსაზღვრული. აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ამ მეცნიერის ერთ-ერთი დასკვნის ფორმულირებას: „ამ დაზიანებას თან მოჰყვა მხედველობის დაკარგვა მარჯვენა თვალიდან, რასთანაც დაკავშირებულია შრომის უნარის მყარი დაკარგვა 35 პროცენტით ე. ი. არანაკლები ერთი მესამედისა და ამიტომ მიეკუთვნება სხეულის მძიმე დაზიანებათა კატეგორიას. ამ დაზიანების გამომწვევი საშუალება — გოგირდის ჰიმყავით თვალის ქიმიური დამწვრობა — დაკავშირებულია განსაკუთრებულ ტკივილებთან და წამების ხასიათისაა“<sup>2</sup>.

ამრიგად მ. ი. ავდევის განმარტებით, წამებად შეიძლება ჩაითვალოს ადამიანის ორგანიზმზე გარედან ერთგვარადი (ერთმომენტური) მოქმედება, მაგალითად მწვავე სიმყავის ან ტუტის შესხმა. ავტორი ამ მოსაზრებამდე მიდის იმით, რომ აღნიშნული შხამების შესხმის შედეგად გამოწვეული ქიმიური დამწვრობა განსაკუთრებულ ტკივილს გამოიწვევს არა მარტო დაზიანების მიყენების მომენტში, არამედ უფრო დიდი ხნის განმავლობაში, რადგან ასეთი დანეკროზებული უბნების შეხორცებას დიდი დრო ესაჭიროება და ამით დაზარალებულის წამება დიდხანს გრძელდება. აქედან კიდევ უფრო აშკარა ხდება, რომ „წესებში“ აღნიშნული „...ხანგრძლივი დროის განმავლობაში“ ეხება არა მარტო დაზიანების მიყენების ხანგრძლივობას, არამედ დაზიანების მიყენების შედეგად გამოწვეული განსაკუთრებული ტკივილის შეგრძნების ხანგრძლივობასაც.

ჩვენთვის საინტერესოა მოვისმინოთ სპეციალისტების აზრი ამ საკითხის ირგვლივ.

2. საქართველოს სსრ სსკ110-ე მუხლით სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებად ითვლება „დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის ან რომელსაც მოჰყვა მხედველობის, სმენის ან რომელიმე ორგანოს ან მისი ფუნქციის დაკარგვა, ან სულიერი ავადმყოფობა, ან ორსულობის შეწყვეტა, ან ჯანმრთელობის სხვაგვარი მოშლა, დაკავშირებულია შრომის უნარის მყარ დაკარგვასთან სულ ცოტა ერთი მესამედით, აგრეთვე სახის წარუშლელი დამახინჯება“.

ამ მუხლის მიხედვით სიცოცხლის საფრთხეში ჩაყენება, დაბრმავება, დაყრუება, რომელიმე ორგანოს ან მისი ფუნქციის დაკარგვა და ა.შ. უშუალოდ სხეულის დაზიანება კი არაა, არამედ მისი შედეგია. ე. ი. კანონი ანსხვავებს დაზიანებასა და მის შედეგს.

<sup>2</sup> М. И. Авдеев. Краткое руководство по судебной медицине. ст. 223, 1966.

სხეულის დაზიანების ხარისხის განსაზღვრისათვის მიმართავენ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტს. სხეულის დაზიანება პირობითად ორ ჯგუფად იყოფა: სასიკვდილო და არასასიკვდილო დაზიანება. ეს უკანასკნელი კიდევ დაიყოფა: ა) მძიმე ბ). ნაკლებად მძიმე, გ). მსუბუქი (ჯანმრთელობის მოშლით და ჯანმრთელობის მოუშლელად), დ). ფიზიკური ტკივილის მიყენება.

კანონში მითითებული — „სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანება“, სასამართლო-საგამოძიებო ორგანოთა მუშაკების მიერ ყოველთვის სწორად არ არის გაგებული. ჩვენ შევეცდებით ეს საკითხი სამედიცინო (ბიოლოგიური) თვალსაზრისით სწორად განვმარტოთ.

სხეულის სიცოცხლისათვის სახიფათო განზრახ მძიმე დაზიანებას ორი მხარე აქვს: სამედიცინო და იურიდიული. პირველი უნდა განსაზღვროს ექიმმა (სასამართლო-სამედიცინო ექსპერტმა), მეორე — იურისტმა.

სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანების დროს ცალ-ცალკე უნდა განვიხილოთ და ერთმანეთისაგან განვასხვავოთ: დაზიანება (ძალადობა) მიყენებული სიცოცხლისათვის საშიში საშუალებით, ორგანიზმის სიცოცხლისათვის საშიში (სახიფათო) ზონები და სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანება.

ეს სხვადასხვა მცნებები ერთ მთლიანობაშია მოცემული და ერთმანეთზეა დაფუძნებული.

სიცოცხლისათვის საშიში საშუალებით მიყენებული სხეულის დაზიანება (ძალადობა) გულისხმობს ისეთი იარაღის (ნაჯახი, ხანჯალი, ცეცხლსასროლი და სხვ.) ან ილეთის (მოზრჩობა ყელში ხელის ან მარყუჟის ჩაჭერით, წყალში დაბრჩობა და სხვ.) გამოყენებას, რასაც ადვილად მოსდევდა სხეულის სიცოცხლისათვის მეტად სახიფათო და მძიმე დაზიანება.

ცეცხლსასროლი იარაღით გასროლილი ტყვია შეიძლება არ მოხვდეს ორგანიზმს და ამდენად დაზიანებაც არ განვითარდეს, მაგრამ გამოყენებული იარაღი სიცოცხლისათვის სახიფათო საშუალებაა. თავის მიდამოში ნაჯახის დარტყმას ერთ შემთხვევაში შეიძლება ქალას ძვლების გაჩეხვა და თავის ტვინის დაზიანება მოჰყვეს, ხოლო მეორე შემთხვევაში — ზერელე შემხები ჭრილობა, რის შედეგადაც სხეულის სასიკვდილო ან მსუბუქი ხარისხის დაზიანებას მივიღებთ. სილის გარტყმით ზოგჯერ შეიძლება განვითარდეს ქალას ძვლების მოტეხილობა, ქალას ღრუში სიცოცხლისათვის საშიში სისხლჩაქცევა, თუმცა გამოყენებული საშუალება (ხელის დარტყმა) არ არის სიცოცხლისათვის სახიფათო. ამრიგად, რა იარაღიც არ უნდა იქნას გამოყენებული, ძირითადი მნიშვნელობა მაინც სხეულის რეალურ დაზიანებას (შედეგს) უნდა მივაკუთვნოთ.

ნაჯახი, ხანჯალი, ცეცხლსასროლი იარაღი და სხვა, რომლებიც სიცოცხლისათვის სახიფათო საშუალებებია, არ მოითხოვს განმარტებას და რაიმე სპეციალურ ცოდნას. მაგრამ, თუ ჯანმრთელობის მოშლა მოწამვლას ან ისეთი ილეთის გამოყენების შედეგია, როგორც არის ყელში ჩაჭრება, საჭიროა ექსპერტის დასკვნა, გამოყენებული ქიმიური ნივთიერების სახეობის, დოზის რაოდენობისა და მოწამვლის კლინიკური სურათის ხასიათის დასადგენად.

დაზიანების ადგილმდებარეობას (ლოკალიზაციას) უსათუოდ აქვს მნიშვნელობა სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანების მიღების თვალსაზრისით. მაგალითად, გულის სასიკვდილო დაზიანება შეიძლება მივიღოთ მხოლოდ ამ მიდამოში მიყენებული ჭრილობით, მაგრამ განა აქ არსებული ყველა ჭრილობა შემაჯალია გულმკერდის ღრუში და გულის დაზიანების მიზეზია? რასაკვირვე-

ლია, არა. სხეულის დაზიანება ამა თუ იმ ადგილზე თავისთავად არ წარმოადგენს სიცოცხლისათვის სახიფათოს, რადგან გულის, ყელის, თავისა და მუცლის მიდამოს დაზიანებებს, ზემოთ მითითებული სიცოცხლისათვის სახიფათო საშუალებით მიყენებულს შეიძლება ჰქონდეთ ნაცდევის, სისხლნაყდენის ან ზერელე ჭრილობის სახე, როცა სხეულის რეალური ზიანი არ სცილდება მსუბუქი დაზიანების ხარისხის ფარგლებს.

ადამიანის სხეულის სიცოცხლისათვის სახიფათო ზონებად დაყოფა სამედიცინო თვალსაზრისით მიუღებელია. იურისტები კი ყელის, გულმკერდის, მუცლის ან თავის მიდამოში მიყენებულ დაზიანებას ჯანმრთელობის ან სიცოცხლის წინააღმდეგ ხელყოფის სერიოზულ ფაქტად მიიჩნევენ, თუმცა არსებითად სხეულის მსუბუქი დაზიანებაა მიყენებული. ამ საკითხის გარჩევა ჩვენი კომპეტენცია არ არის. აქ ძირითადად მნიშვნელობა აქვს დანაშაულის სუბიექტურ მხარეს და მთელ რიგ სხვა გარემოებებს. მაგრამ იბადება კითხვა: ვანა ბარძაყის შუა მესამედში მის შიგნითა ზედაპირზე, ან საზარდულის მიდამოში მიყენებული ჭრილობები, აქ არსებული დიდი სისხლის ძარღვების გადაჭრა, სიცოცხლისათვის სახიფათო არ არის? რით არის ეს დაზიანება, სიცოცხლის საშიშროების თვალსაზრისით, მუცლის ან გულმკერდის ღრუში შემავალ ჭრილობებზე: ნაკლები? პირიქით, საზარდულის ან ბარძაყის მიდამოში არსებული დიდი სისხლძარღვების (არტერიის და ვენის) გადაჭრა უფრო მალე იწვევს სიკვდილს ძლიერი და სწრაფი სისხლის დაკარგვის გამო, ვიდრე მუცლის ან გულმკერდის ღრუში შემავალი ის ჭრილობა, რომლის დროსაც შინაგანი ორგანოები დაზიანებული შეიძლება არც იყოს.

ამრიგად კიდევ ერთხელ უნდა გავუსვათ ხაზი იმას, რომ სამედიცინო თვალსაზრისით ადამიანის ჯანმრთელობის შერყევის ხარისხის განსაზღვრისათვის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ და მხოლოდ ზიანის რეალურ ხასიათს — არის იგი სიცოცხლისთვის სახიფათო თუ არა. ხოლო გამოძიებლის და სასამართლოს მიერ დაყენებულ საკითხზე დაზიანებული მიდამო არის თუ არა სიცოცხლისათვის სახიფათო ზონა, უარყოფითად უნდა ვუბასუხოთ. სამედიცინო თვალსაზრისით სხეულის ზონებად ასეთი დაყოფა არ არსებობს.

დაზიანების ადგილმდებარეობის და გამოყენებული იარაღის ხასიათის მიხედვით გამოძიებელს და სასამართლოს თვითონ შეუძლია გამოიტანოს დასკვნა, გამოყენებული საშუალება რამდენად სახიფათოა სიცოცხლისათვის. აქედან გამომდინარე კიდევ უნდა გავიმეოროთ, რომ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი განსაზღვრავს მხოლოდ რეალურ ზიანს თუ რამდენად სახიფათოა იგი სიცოცხლისათვის.

სიცოცხლისათვის სახიფათოა დაზიანება, როცა ჩვეულებრივი მიმდინარეობის დროს სამედიცინო დახმარების გარეშე, სიკვდილით თავდება. დაბრმავება, დაყრუბება, ორგანოს დაკარგვა და სხვა კი რაც სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანების შედეგი არ არის, გამოიწვევს დაზარალებულის ინვალიდობას შრომის უნარის დაკარგვით სულ ცოტა ერთი მესამედით. ამრიგად, პირველ შემთხვევაში ადამიანმა შეიძლება დაკარგოს სიცოცხლე, ხოლო მეორე შემთხვევაში — ჯანმრთელობა. ამ ნიშნის მიხედვით სიცოცხლისათვის საშიში სხეულის დაზიანება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დაინვალიდება. ამ გასაგები მიზეზით კანონმდებელი აწესებს 110-ე მუხლის მეორე ნაწილს, როცა ასეთ დაზიანებას სიკვდილი მოჰყვება.

თანამედროვე პირობებში, დროული და მაღალკვალიფიციური სამედიცი-

ნო დახმარების შედეგად, სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანებით სიკვდილის შემთხვევათა რაოდენობა მეტად მცირეა. მაგალითად, მოსკოვის სკლიფასოვსკის სახელობის სასწრაფო დახმარების ინსტიტუტის 1946-1960 წ.წ. მასალების მიხედვით გულმკერდის ღრუში შემავალმა ჭრილობებმა დაზარალებულის სიკვდილი გამოიწვია 5,5 პროცენტში, ხოლო 1961-1965 წ.წ. — 3,1 პროცენტში. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გულმკერდის ან მუცლის ღრუში შემავალი ჭრილობები სამედიცინო დახმარების შედეგად მალე ინკურნება და დაზარალებული 10-15 დღის შემდეგ უბრუნდება თავის ჩვეულ სამუშაოს, რადგან, ჩვეულებრივ ასეთ შემთხვევაში დაზიანებული ორგანოს ანატომიის და ფუნქციის სრული აღდგენა დაახლოებით ორი კვირის განმავლობაში ხდება. ამდენად, სიცოცხლისათვის საშიშ დაზიანებას ორი გამოსავალი აქვს, უფრო ხშირად (ხანმოკლე ვადაში), ჯანმრთელობის სრული აღდგენა ან შედარებით იშვიათად — სიკვდილი.

აქედან გამომდინარე, თუ დანაშაული დაკვალიფიცირებულია 110-ე მუხლის პირველი ნაწილით, დაზარალებულის მდგომარეობა უფრო მძიმეა, როცა იგი ორივე თვალთან დაბრმავებულია, ვიდრე პირისა, რომელმაც სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანება მიიღო და სათანადო დახმარებით (ან უამისოდ) მოკლე დროში (10-15 დღეში) აღიდგინა ჯანმრთელობა, ისე რომ, სასამართლოში როგორც დაზარალებული გამოცხადდა პრაქტიკულად ჯანმრთელი. ყველა ამის გამო სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანება, თუ მას სიკვდილი არ მოჰყვა, საგრძნობლად უმჯობესია დაზარალებულისათვის, ვიდრე საკმაო ინვალიდობის გამომწვევი მძიმე დაზიანება, როცა დაზარალებულს შეიძლება საშუალოდ 100 პროცენტით ჰქონდეს დაკარგული შრომის უნარი და საჭიროებდეს გარეშე მომვლელსაც.

მიუხედავად ასეთი განსხვავებისა, თუ ბრალდებულის დანაშაული დაკვალიფიცირებულია 110 მუხლის პირველი ნაწილით და დაზარალებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა სასამართლოში საქმის გარჩევის მომენტისათვის აღდგენილია, ზოგჯერ სასამართლოს და პროკურატურას, უსწოროდ მიაჩნია, რომ სიცოცხლისათვის სახიფათო სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის სასჯელი უფრო მეტად უნდა იყოს, ვიდრე ამავე მუხლში გათვალისწინებული დანაშაულის სხვა შემადგენლობისათვის, რაც ყოველ შემთხვევაში სამედიცინო (ბიოლოგიური) თვალსაზრისით არ არის გამართლებული.

გარეშე მოქმედებით გამოწვეულ ორსულობის შეწყვეტას მის მეორე ნახევარში წინათ სიცოცხლისათვის სახიფათო სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანებად ვთვლიდით, მაგრამ 1960 წლის შემდეგ კანონში მომხდარი ცვლილებების გამო (110 მუხლი) ორსულობის ნაძალადევი შეწყვეტა, რომელ პერიოდშიც არ უნდა მოხდეს იგი, მიეკუთვნება სხეულის მძიმე დაზიანებათა ჯგუფს. ასეთ შემთხვევაში არ შეიძლება აბორტი ჩაითვალოს მძიმე დაზიანებად სიცოცხლისათვის საშიშროების თვალსაზრისით, რადგან ორსულობის შეწყვეტა მით უფრო მის პირველ ნახევარში არ გამოიწვევს ორგანიზმის სიცოცხლისათვის სახიფათო შერყევას. ამდენად, დანაშაულის ობიექტი არ შეიძლება იყოს ორსული ქალის ჯანმრთელობა და სიცოცხლე, როგორც ეს მოცემულია იურიდიულ ლიტერატურაში.

ორსულობის ნაძალადევი შეწყვეტისათვის მძიმე დაზიანება დაკანონებულია არა სიცოცხლის საშიშროების თვალსაზრისით, ან მძიმე შედეგისათვის,

არამედ უწინარეს ყოვლისა დედობის დაკარგვისათვის. ამდენად, ასეთი ხელყოფისათვის მძიმე სასჯელის დაწესებას საფუძვლად უდევს არა სამედიცინო (ბიოლოგიური), არამედ სოციალური—დედობის და გამრავლების დაკარგვის — ფაქტორი. დედობის დაკარგვა, ძირითადად პირადი (კერძო) ხასიათის ფაქტორია, რომელიც, მაგალითად, მტკივნეულად შეიძლება არც განიცადოს მრავალშვილიანმა დედამ და ამის გამო დანაშაულის შედგენილობაც არ გვექნება. ასეთ შემთხვევაში დანაშაულის ობიექტს მეორე სოციალური ფაქტორი — გამრავლების მოსპობა — წარმოადგენს.

მედიცინაში ცნობილია, რომ გარეშე მავნე ზემოქმედების — მექანიკური ან ფსიქიური ტრავმის შედეგად ორსულობის შეწყვეტა ძალზე იშვიათია. ასეთი შეიძლება წარმოიშვას, თუ ძალა უშუალოდ მოქმედებს საშვილოსნოზე, რაც თავის მხრივ იშვიათია, მით უფრო ორსულობის პირველ ნახევარში, რადგან ეს ორგანო კარგად არის დაცული მენჯის ძვლებით.

ორსულობის შეწყვეტას (აბორტს) ხშირად ხელს უწყობს ქალის შინაგანი სასქესო ორგანოების დაავადება. ამის გამო გარეშე მავნე ზემოქმედება აბორტის ხელისშემწყობი ფაქტორია. ასეთ შემთხვევაში არ არსებობს პირდაპირი კავშირი ხელყოფას და ორსულობის შეწყვეტას შორის. ამიტომ დაზიანების ხარისხიც მძიმე არ არის მიზეზობრივი კავშირის უქონლობის გამო.

იმ შემთხვევაში, როცა ტრავმის შედეგად აბორტი განუვითარდა ისეთ ქალს, რომელსაც შინაგანი სასქესო ორგანოების დაავადება არ აღენიშნება, ტრავმა უნდა ჩაითვალოს აბორტის გამომწვევ მიზეზად. ეს იმდენად იშვიათია, რომ თბილისის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის პრაქტიკაში ამ უკანასკნელი წლის განმავლობაში ასეთი სულ ერთი შემთხვევა გვექნა. ყოველივე აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე მუხლის გამოყენება ორსულობის შეწყვეტის საბაბით იშვიათია.

ამ მოკლე ანალიზით ჩანს, რომ ჩვენ მართალი ვიყავით, როცა სისხლის სამართლის ახალი კოდექსის შემუშავების დროს (1960) წამოვაცენეთ წინადადება 110 მუხლის შედგენილობაში ორსულობის შეწყვეტა მძიმე დაზიანებად გვეცნო მხოლოდ მის მეორე ნახევარში (ოთხი თვის შემდეგ), როცა ქალის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. დანაშაულის ობიექტი, ასეთ შემთხვევაში, იქნება ორსული ქალის ჯანმრთელობა და სიცოცხლე.



# საქართველოში საკომუნისტო კანონმდებლობის განხილვისას ისტორიული

ბ. ლაბარაძე

მენშევიკების ბატონობამ ძირფესვიანად შეარყია საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა, გალატაკებამდე მიიყვანა მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა. მენშევიკური მთავრობის მეთაური ნ. ჟორდანიას 1920 წლის ოქტომბერში მენშევიკების მიერ მოწვეულ ეკონომიურ თათბირზე იძულებული გახდა ეთქვა: „ამ რამდენიმე წლის წინათ, ჩვენ ვამბობდით, რომ ეკონომიური მხრივ კატასტროფისაკენ მივინწრაფით... დღეს ეს სიტყვა უკვე გამართლებულია: დღეს თვითთული ჩვენგანი გრძნობს, თვითთული მწვავედ განიცდის, რომ ჩვენ არა თუ მივიღვართ კატასტროფისაკენ, — ჩვენ უკვე მივიღეთ იქამდე“<sup>1</sup>.

მენშევიკური მთავრობის აგრარული პოლიტიკით უკმაყოფილო მშრომელი გლეხობა მუშათა კლასთან ერთად საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ირახმებოდა მენშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ქართველი ხალხი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ერთადერთი გამოსავალი შექმნილი კატასტროფიული მდგომარეობიდან იყო მენშევიკური მთავრობის დამხობა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება.

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს მშრომელთა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის დახმარებით დაამხეს ქართველი ხალხის მოლატეების — მენშევიკების ხელისუფლება. გაიმარჯვა სოციალისტურმა რევოლუციამ, რომელმაც დაამხგარა მშრომელი მასების ჩაგვრის ბურჟუაზიული აპარატი. დასაბამი მიეცა ახალი ცხოვრების დასაწყისს ქართველი ხალხის ისტორიაში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებამ შემკვიდრებით მიიღო დანგრეული სახალხო მეურნეობა. ძალზე სუსტად განვითარებული მრეწველობა ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნილებებს სამრეწველო საქონელზე. სოფლის მეურნეობა გაჩანაგების პირას იყო მისული. საბჭოთა რუსეთისაგან საქართველოს მოწყვეტამ სერიოზულად შეაფერხა მოსახლე-

ობის პური მომარაგება. გამწვავდა სასურსათო კრიზისი. შექმნილმა მდგომარეობამ გლეხობა აიძულა მრავალწლიანი და ტექნიკური კულტურების შემცირების ხარჯზე გაედიდებინათ მარცვლეულის მეურნეობა. ამან კი გამოიწვია მევენახეობის, მეხილეობის, სუბტროპიკული კულტურებისა და სხვა მეურნეობათა განადგურება. სოფლის მეურნეობაში პრიმიტიულ კავსა და სახნის იყენებდნენ, — აბსოლუტურად არაფერი არ კეთდებოდა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში აგრონომიულ და ტექნიკურ მიღწევათა გამოყენებისათვის.

საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველი ყრილობის თეზისებში „სადაგილ-მამულ პოლიტიკა და სასოფლო მეურნეობა საბჭოთა საქართველოში“ ნათქვამი იყო: „გლეხური სასოფლო მეურნეობა საქართველოში ეხლაც ფრიად დაბალ დონეზე დგას. მიწის დამუშავების გაუმჯობესებულ მეთოდებს, თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო იარაღებს და მანქანებს საქართველოს გლეხური მოსახლეობა თითქმის არ იცნობს... უკანასკნელი 7-8 წლის განმავლობაში ჩვენში არამც თუ გაუმჯობესდა სასოფლო მეურნეობის მდგომარეობა, არამედ ის უფრო და უფრო დაქვეითდა. აქ მენშევიკურ ბურჟუაზიულ ხელისუფლების არსებობის დროს გლეხურ სასოფლო მეურნეობის გასაუმჯობესებლად სრულებით არაფერი არ ყოფილა გაკეთებული. ამიტომ გასაკვირვებელი არაა, რომ სასოფლო მეურნეობა ჩვენში მისულია კატასტროფიულ მდგომარეობამდე. აგრონომიული დახმარება გლეხურ მოსახლეობისადმი საქართველოში მხოლოდ სიტყვით არსებობდა, სრულიად მივიწყებული იყო სამელიორაციო მუშაობის წარმოება სასოფლო მეურნეობის დარგში“<sup>2</sup>.

საქართველოს კომუნისტური პარტიის წინაშე სახელმწიფოებრივი, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის რთული ამოცანები დაისახა. საბჭოთა წყობილების განმტკიცებისა და სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის აუცილებელი იყო არა მარტო დანგრე-

<sup>1</sup> გაზეთი „ერთობა“, 1920 წ. № 235.

<sup>2</sup> გაზეთი „კომუნისტი“, 1922 წ., № 23.

ული სახალხო მეურნეობის აღდგენა, არამედ რადიკალური ცვლილებების გატარება, სრულიად ახალი ტიპის მეურნეობის — სოციალისტური სახალხო მეურნეობის შექმნა. სოციალისტური მშენებლობის დაწყების პირველი დღეებიდანვე საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ და მუშურ-გლეხურმა მთავრობამ რადიკალური ღონისძიებები განახორციელეს ქვეყნის ეკონომიკის აღორძინებისა და მშრომელი მოსახლეობის ცხოვრების მატერიალური და კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიებას წარმოადგენდა სახალხო მეურნეობის მბრძანებელი სიმაღლეების, მათ შორის მთელი მიწების ნაციონალიზაცია. მაგრამ მართლმწიფის ნაციონალიზაცია საქმარისი არ იყო საქართველოში მიწის საკითხის სწორი გადაწყვეტილათვის. საჭირო იყო მიწის შესახებ ისეთი კანონის შემუშავება და გამოცემა, რომელიც ნამდვილად დააკმაყოფილებდა მრავალტანჯულ მშრომელ გლეხობას და ხელს შეუწყობდა გლეხური მეურნეობის დონის ამაღლებას, კერძომესაკუთრული აგარარული ურთიერთობების სოციალისტური აგარარული ურთიერთობებით შეცვლას.

საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების მეორე დღესვე 1921 წლის 26 თებერვალს საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა განიხილა მიწის საკითხი და მიიღო დადგენილება „არამშრომელთა მიწების მშრომელთა ხელში გადასვლისა და ამის თაობაზე დეკრეტის გამოცემის შესახებ“. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ მომზადებული დეკრეტის პროექტი მიწის შესახებ განიხილა და მოიწონა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. 1921 წლის 6 აპრილს საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა გამოსცა № 17 დეკრეტი მიწის შესახებ. დეკრეტში აღნიშნული იყო: „1. ყველა მიწა მთელი მშრომელი ხალხის საერთო კუთვნილებას შეადგენს. მიწის ყიდვა-გაყიდვა, მისი იჯარით ან რამე სხვა სახით ვისმეუც გადაცემა ისპაბა. 2. ის მიწები და მსხვილი მამულები, რომლებიც ყოველი მთავრობის დროს ჩამოურთმეველი შერჩათ კერძო მემამულეებს, ეკლესიებს, მონასტრებს და მსხვილ მფლობელთ, შენობებით, ყოველივე ინვენტარით, სამეურნეო იარაღებით ერთმევათ დღევანდელ მფლობელთ სრულიად უსასყიდლოდ და წინათ ჩამორთმეულ მიწებთან ერთად ჩაი-

რიცხებიან მიწის სახელმწიფო ფონდში და გადადიან მშრომელთა სასარგებლოდ“<sup>3</sup>.

№ 17 დეკრეტით განხორციელდა საქართველოს მთელი მიწების ნაციონალიზაცია. მოისპო მიწაზე კერძო საკუთრების უფლება. მიწა სახელმწიფო საკუთრებად, საყოველთაო სახალხო კუთვნილებად გამოცხადდა. ქართველი მშრომელი გლეხობის მრავალსაუკუნოვანი ოცნება სინამდვილედ იქცა. საბჭოთა ხელისუფლებისაგან მან უფასოდ სარგებლობის უფლებით მიიღო მიწა. მიწის ნაციონალიზაციამ სამუდამოდ მოსპო ძველი სადგომამყოფო ურთიერთობა. დაიწყო ახალი ხანა ჩვენი ქვეყნისა და მშრომელი გლეხკაცობის ისტორიაში.

საქართველოს მშრომელი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ახალი საზოგადოებრივი წყობილების მშენებლობას წარმართავდა სოციალისტური საზოგადოების აშენების ლენინური გეგმის მიხედვით, ეროვნულ თავისებურებათა და კონკრეტულ პირობების გათვალისწინებით. სოციალისტური საზოგადოების ლენინური გეგმის დღეაარსს წარმოადგენს ის, რომ კაპიტალისტური ეკონომიური ურთიერთობის შეცვლა სოციალისტური ეკონომიური ურთიერთობით ყველა ქვეყნისათვის საერთო ძირითადი პრინციპებით ხასიათდება, მაგრამ თვითეული ქვეყნისათვის მისი განხორციელება მოითხოვს მათ თავისებურად გამოყენებას ეროვნულ თავისებურებათა და კონკრეტული პირობების გათვალისწინებით.


ესებოდა რა საბჭოთა ხელისუფლებას, როგორც სოციალიზმზე გარდამავალი საფეხურის შენარჩუნებისა და განმტკიცების საკითხს, ვ. ი. ლენინი წერილში — „აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნის და მთიელთა რესპუბლიკის ამხანაგ კომუნისტებს“ აღნიშნავდა: „მნელი, მაგრამ სავსებით შესასრულებელი ამოცანაა. ამ ამოცანის წარმატებით გადასაწყვეტად ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ამიერკავკასიის კომუნისტებმა შეიგნონ თავიანთი მდგომარეობის, თავიანთი რესპუბლიკის მდგომარეობის თავისებურება, რუსეთის სხვ რესპუბლიკის მდგომარეობისა და პირობებისაგან განსხვავებით, შეიგნონ იმის აუცილებლობა, რომ ბრმად კი არ გადაიღონ ჩვენი ტაქტიკა, არამედ მოფიქრებულად შეუფარდონ იგი კონკრეტულ პირობების სხვაობას“<sup>4</sup>.

ვ. ი. ლენინი კავკასიის კომუნისტებისაგან მოითხოვდა კონკრეტულ პირობებში არარუსული შაბლონის გამოყენებას, არამედ ისეთი

<sup>3</sup> ნ. ლომსაძე, საბჭოთა მიწათსარგებლობისა და საკოლმეურნეო უფლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი აქტების კრებული, 1961, გვ. 14.

<sup>4</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 397.





ტაქტიკის გამოყენებას, რომელიც ყოველგვარ წვრილ-ბურჟუაზიული ელემენტების დამობაზე იქნებოდა დაყრებულ: „მეტი სირბილე, სიფრთხილე და დამთმობლობა წვრილი ბურჟუაზიის, ინტელიგენციის და განსაკუთრებით გლეხობის მიმართ“<sup>5</sup>.

როგორც საბჭოთა რუსეთში, ისე საქართველოშიც სოციალისტური საზოგადოების აშენების აუცილებელ პირობას წარმოადგენდა საზოგადოებრივი მეურნეობის ისეთი სისტემის ორგანიზაცია, რომელიც გააერთიანებდა მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას წარმოების საშუალებათა სოციალისტური საკუთრებისა და კოლექტიური შრომის საფუძველზე. თუ სოციალისტური მრეწველობის შექმნა შედარებით ადვილი იყო სახალხო მეურნეობის მბრძანებელი სიმაღლეების ნაციონალიზაციის შედეგად, გაცილებით ძნელი იყო სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნა. ჯერ ერთი „კავკასიის რესპუბლიკები, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, კიდეც უფრო გლეხური ქვეყნებია, ვიდრე რუსეთი“<sup>6</sup>. და მეორე „მარტო მიწის ნაციონალიზაცია არ არის საკმარისი სოფლის მეურნეობაში სოციალიზმის გამარჯვებისათვის, ვინაიდან იგი გულისხმობს მხოლოდ მიწაზე კერძო საკუთრების უფლების გაუქმებას, რომლითაც თავისთავად როდი ისპობა მიწაზე კერძო მეურნეობა“<sup>7</sup>.

მაშასადამე, ჩამორჩენილი, დაქუცმაცებული სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისათვის, გარდა მიწის ნაციონალიზაციისა, საჭირო იყო კიდეც სხვა რადიკალურ ღონისძიებათა განხორციელება ამ სფეროში. „სულ სხვანაირადაა მიწის საქმე. აქ სოციალიზმის გამარჯვებლად აუცილებელი იყო მთელი რიგი გარდამავალი ღონისძიებანი“<sup>8</sup>.

საბჭოთა საქართველოში აგრარული საკითხი ვ. ი. ლენინის მიერ შემუშავებული სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის მწყობრი თეორიის, წვრილ გლეხურ მეურნეობათა კოოპერირების გეგმის საფუძველზე ხორციელდებოდა. საქართველოს მშრომელი გლეხობა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შეუდგა სოფლის მეურნეობის აღდგენასა და განვითარებას, მის სოციალისტურად გარდაქმნას. ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ღონისძიება იყო საქართველოს რევოლუციური კო-

მიტეტის 1921 წლის 6 აპრილის „მიწის შესახებ“ № 17 დეკრეტის საფუძველზე შემამუღეთა მიწების კონფისკაცია და მთელი მიწების ნაციონალიზაცია, რითაც მოისპო მიწაზე კერძო საკუთრება. ამ რევოლუციურ ღონისძიებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სოფლის ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრებისათვის. მან ხელი შეუწყო სოციალისტური წყობილების საფუძველის — მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის კავშირის კიდევ უფრო განმტკიცებას. ნაციონალიზაციის შედეგად მიწა გახდა იმ პირთა სარგებლობის ობიექტი, ვინც თავისი შრომით დაამუშავებდა მას. გლეხობის დიდი უმრავლესობა მათი ფსიქოლოგიიდან გამომდინარე თავდაპირველად მიწათსარგებლობის სწორედ ასეთი ფორმის მომხრე იყო. „გლეხებს სურთ დაიტოვონ წვრილი მეურნეობა, სურთ მისი გათანაბრებითი ნორმირება, პერიოდულად კვლავ გათანაბრება“<sup>9</sup>. მაშასადამე იმ პერიოდში, როგორც საბჭოთა რუსეთში, ასევე საბჭოთა საქართველოშიც გლეხთა მასების უდიდესი უმრავლესობის უპირველესი და ერთადერთი მოთხოვნა იყო მიწების თანაბარი განაწილება, ე. ი. მიწის სოციალიზაციის პოლიტიკის გატარება.

ვ. ი. ლენინი 1918 წლის 8 ნოემბერს მოსკოვის ოლქის ღარიბთა კომიტეტების დელეგატების წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში მიუთითებდა: „ჩვენ, ბოლშევიკები, მიწის სოციალიზაციის კანონის წინააღმდეგნი ვიყავით. მაგრამ მაინც ჩვენ ხელი მოვაწერეთ მას, რადგან არ გვინდოდა გლეხობის უმრავლესობის ნების წინააღმდეგ წავსულიყავით. უმრავლესობის ნება ჩვენთვის ყოველთვის სავალდებულოა, და ამ ნების წინააღმდეგ წასვლა რევოლუციის ღალატს ნიშნავს.“

ჩვენ არ გვინდოდა გლეხობისათვის თავს მოგვეხვია მისთვის უცხო აზრი, რომ მიწის გათანაბრებითი გაყოფა არაფრის მქანისია. ჩვენ ვფიქრობდით, რომ სჯობია, თუ თვითონ მშრომელი გლეხები საკუთარ ზურგზე, საკუთარ ტყავზე დაინახვენ, რომ მიწის გათანაბრებითი გაყოფა უაზრობაა“<sup>10</sup>. სწორედ ამიტომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, უკიდურესად დაქვეითებული სოფლის მეურნეობის აღდგენა შეუძლებელი

5 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 398.  
 6 იქვე, გვ. 398.  
 7 ს. ჯორბენაძე, სახელმწიფო სოციალისტური საკუთრების წარმოშობა სსრ კავშირში, 1963 წ., გვ. 134—135.  
 8 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 28, გვ. 197.  
 9 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 25, გვ. 339.  
 10 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 28, გვ. 201.

იყო ერთპიროვნული გლეხური მეურნეობისა-  
დმი ხელისუფლების გარეშე.

საბჭოთა ხელისუფლება ყოველმხრივ ხელს  
უწყობდა ერთპიროვნული გლეხური მეურნე-  
ობის განვითარებას, ეხმარებოდა მათ, როგორც  
ფულადი სახსრებით, ისე სასოფლო-სამეურნეო  
ტექნიკით. იქმნებოდა აგრონომიული დახმარე-  
ბის, სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამჭი-  
რავებელი ბუნქტები და შემკეთებელი სახე-  
ლოსნობები, რომლებიც მომსახურებას უწევდ-  
ნენ ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობებს,  
პირველ რიგში ღარიბ გლეხობას. ეს სრულე-  
ბით არ ნიშნავდა იმას, რომ საქართველოს  
საბჭოთა მთავრობამ ხელი აიღო სოფლის მე-  
ურნეობის სოციალისტური გარდაქმნისა და  
მიწათმოქმედებაში მეურნეობის კოლექტიური  
ფორმების შექმნისა და განვითარების პოლი-  
ტიკაზე. პარტიას კარგა დავსმოდა, რომ სოფ-  
ლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქ-  
მნის გარეშე შეუძლებელი იყო სახალხო მე-  
ურნეობის სხვა დარგების აღდგენა და განვი-  
თარება, საბოლოო ჯამში კი საქართველოში  
სოციალისტური საზოგადოების აშენება. სოფ-  
ლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქ-  
მნისათვის კი საჭირო იყო ერთპიროვნული  
გლეხური მეურნეობათა გაერთიანება მსხვილ,  
მაღალ მწარმოებლურ, კოლექტიურ მეურნეო-  
ბებად. „კომუნები, საარტელო დამუშავება  
გლეხთა ამხანაგობანი — მიუთითებდა ვ. ი.  
ლენინი — აი სად არის ხსნა წვრილი მეურ-  
ნეობის არახელსაყრელობისაგან, აი რა არის  
მეურნეობის ამადლებსა და გაუჭოპებსების,  
ძალთა ეკონომიისა და კულაკობის, მუქთახო-  
რობისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ ბრძო-  
ლის საშუალება“<sup>11</sup>.

საქართველოს რევოლუციური კომიტეტის  
№ 17 დეკრეტში ასახვა ჰმოვა სოფლის მე-  
ურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის აუ-  
ცილებლობის მარქსისტულ-ლენინურმა დებუ-  
ლებებმა. დეკრეტის მერვე მუხლში ნათქვამი  
იყო: „საბჭოთა მთავრობა, როგორც საბჭოთა  
მეურნეობის წარმატება-განვითარებისათვის, ისე  
მშრომელთა საკეთილდღეოდ განსაკუთრებულ  
ყურადღებას მიაქცევს სათემო ან კოლექტიუ-  
რი მეურნეობის სხვადასხვა ფორმების (კომუ-  
ნების, არტელების და სხვა) შემოღებას და  
ზრდა-განვითარებას“<sup>12</sup>.

პროფესორი დ. ქორიძე თავის ნაშრომში  
„აგრარულ ურთიერთობათა განვითარება საბ-  
ჭოთა საქართველოში“ აღნიშნავს: „დეკრეტ-  
ლიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მეურნეობის სო-  
ციალისტური ფორმების განვითარებას, მაგრამ  
ვფიქრობ, რომ დეკრეტის ამ ნაწილში დაშ-  
ვებულია მნიშვნელოვანი არასიზუსტენი: ჭრ-  
ერთი, სათემო მიწათსარგებლობისა და კო-  
ლექტიური მიწათსარგებლობის გაიგივება არ  
შეიძლებოდა. თემი გათანაბრებითი მიწათსარ-  
გებლობის შინაარსს ატარებდა, კოლექტიური  
კი — სოციალისტურს“<sup>13</sup>.

მიწის შესახებ № 17 დეკრეტის მერვე მუხ-  
ლის ამგვარი შეფასება უმართებულოა. მერვე  
მუხლში გარკვევით წერია, რომ საბჭოთა მთავ-  
რობა, როგორც საბჭოთა მეურნეობის წარმა-  
ტება-განვითარებისათვის, ისე მშრომელთა სა-  
კეთილდღეოდ განსაკუთრებულ ყურადღებას  
მიაქცევს სათემო „ან“ კოლექტიური მეურნე-  
ობის სხვადასხვა ფორმების შემოღებას და  
ზრდა-განვითარებას. როგორც ვხედავთ, მერვე  
მუხლში ადგილი არა აქვს სათემო და კოლექ-  
ტიური მიწათსარგებლობის ფორმების არავი-  
თარ გაიგივებას. პირიქით, დამაჩერებლად ლა-  
პარაკია მათ განსხვავებულობაზე.

მიწის შესახებ № 17 დეკრეტის გამოცემის  
თითქმის ერთი წლისთავე 1922 წლის 26 მა-  
ისს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღ-  
მასრულებელი კომიტეტის პირველი სესიის  
მიერ მიღებულ დებულებაში „მიწათმოწყობის  
შესახებ“, კანონმდებელმა იგივე აზრი გაატა-  
რა სათემო და კოლექტიური მიწათსარგებლო-  
ბის ფორმების განსხვავებულობათა შესახებ.  
დებულების მეთერთმეტე მუხლში ვკითხუ-  
ლობთ: „მიწის სარგებლობის ფორმა, იქნება  
იგი საკომლო, სამხანაგო, საკომუნო თუ სა-  
თემო თავისუფალი“<sup>14</sup>. საყურადღებოა ამავე  
მუხლის შენიშვნა, სადაც წერია: „სათემო მი-  
წის სარგებლობის მონაწილეს ნება აქვს ყო-  
ველ დროს გამოვიდეს სათემო წესიდან და  
ცალკე სარგებლობისათვის მიიღოს მიწის ხვედ-  
რი ნორმა“<sup>15</sup>. საყოველთაოდ ცნობილია, რომ  
ასეთი რამ კოლექტიური მიწათსარგებლობის-  
დროს დაუშვებელია.

მაშასადამე, მიწის შესახებ № 17 დეკრეტის  
მერვე მუხლში სრულიად გასაგებად არის ნათ-  
ქვამი სათემო და კოლექტიური მიწათსარგებ-


<sup>11</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 28, გვ. 202.

<sup>12</sup> ნ. ლომსაძე, საბჭოთა მიწათსარგებლობისა და საკოლმეურნეო უფლებრივი ურთი-  
ერთობის მომწესრიგებელი აქტების კრებული, 1961 წ., გვ. 15—16.

<sup>13</sup> დ. ქორიძე, აგრარულ ურთიერთობათა განვითარება საბჭოთა საქართველოში,  
1970, გვ. 199.

<sup>14</sup> გაზეთი „კომუნისტი“, 1922 წ., № 120.

<sup>15</sup> გაზეთი „კომუნისტი“, 1922 წ., № 120.



ლობის ფორმების სხვადასხვაობის შესახებ, რომ სათემო მიწათსარგებლობა არ არის მიწათსარგებლობის სოციალისტური ფორმა. თუ რატომ დაუშვა კანონმდებელმა ეს, ამაზე ჩვენ შემოთ გვეკონდა საუბარი, მაგრამ მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ თავდაპირველად გლეხთა მახლების უდიდესი უმრავლესობა მიწათსარგებლობის სწორედ ამ ფორმის მომხრე იყო.

მიწის შესახებ № 17 დეკრეტის მეორე მუხლში ლაბარაკია კოლექტიურ მეურნეობათა ორგანიზაციულ საკითხებზე, განმარტებულია თუ ვინ შეიძლება იყოს მისი წევრი. ამ მუხლში ვკითხულობთ: „...კოლექტიურ მეურნეობებში მიწვეულ უნდა იქნენ სოფლის პროდუქტარები და ნახევარპროდუქტარები, ანუ ის გლეხები, რომელთაც ან სრულებით არა აქვთ სოფლის მეურნეობა, ანუ თუ აქვთ შედარებით უმნიშვნელო, ე. ი. არ მოეპოვებოთ არც სამეურნეო მიწა და არც სამეურნეო საშუალებები მის დასამუშავებლად“.

პროფესორ დ. ქორიძეს მეორე მუხლის ეს დებულებაც არასწორად მიაჩნია და თავის ნაშრომში მიუთითებს: „რატომღაც დეკრეტი არ „იწვევს“ საშუალო გლეხს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში, მაშინ, როდესაც მუშათა კლასს იმ დროს კავშირი ჰქონდა გლეხობასთან და მისი კოოპერაციაში შესვლა განამტკიცებდა პროდუქტარების დიქტატურას“<sup>16</sup>. ვფიქრობთ, რომ მიწის შესახებ № 17 დეკრეტის ამდაგვარი შეფასება არა სწორია. საქმე იმაშია, რომ გლეხობის ყველა ფენის გაერთიანება კოლექტიურ მეურნეობებში მაშინ გაუმართლებელი იყო. კულაკობასა და საშუალო გლეხობას ძლიერი და მომგებიანი საკუთარი მეურნეობა ჰქონდათ, ამიტომ წინააღმდეგი იყვნენ მეურნეობის განვითარებისა და კოლექტიურ ფორმებში გაერთიანებისა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების თვინახვერის თავზე გამოცემულ დეკრეტში მიწის შესახებ შეუძლებელი იყო კოლექტიურ მეურნეობებში საშუალო გლეხობის მიღების აზრის გატარება. ამისათვის იმ პერიოდის საქართველოში არც პოლიტიკური და არც ეკონომიური საფუძველი არ არსებობდა. საშუალო გლეხში ძლიერი იყო ეკრძო საკუთრების დაცვის, შენარჩუნების ინსტიქტი, რაც მას აახლოებდა კულაკობასთან, რომელიც მტრულად იყო განწყობილი საბჭოთა ხელისუფლებისადმი. იმ დროინდელი საშუალო

გლეხობა არ იყო დაინტერესებული მსხვილი კოლექტიური მეურნეობის შექმნით. პირიქით, შეიძლება ხელიც შეეშალა ამ პროცესისათვის. ეს იმიტომ რომ „...საშუალო გლეხობა, — მიუთითებს ვ. ი. ლენინი, — უჭკველად მიჩვეულია ერთპიროვნულ მეურნეობას. ესენი არიან მესაკუთრე გლეხები“<sup>17</sup>. ამავე დროს შეცდომა იქნებოდა საშუალო გლეხობის კულაკობასთან გაიგივება. რკპ(ბ) მეორე ყრილობის რეზოლუციაში საშუალო გლეხობისადმი დამოკიდებულების შესახებ ნათქვამია: „საშუალო გლეხობა არ ეკუთვნის ექსპლოატატორებს, რადგან არ იღებს მოგებას სხვისი შრომით“. ეს იყო მისი კულაკობისაგან განმასხვავებელი ნიშანი. ე. ი. საშუალო გლეხობა ორმაგი ხასიათის მატარებელი იყო.

ამ სირთულის გამო საშუალო გლეხობასთან დამოკიდებულების საკითხი პარტიის მეორე ყრილობის მსჯელობის საგანი გახდა. ყრილობის უპირველესი მოთხოვნა იყო, რომ ადგილებზე განესხვავებინათ საშუალო გლეხობა კულაკობისაგან და დაემყარებინათ მასთან კავშირი. ეს დასაბუთებული იყო მთელი რიგი გარემოებებით: ჭერ ერთი, საშუალო გლეხობა, როგორც მშრომელი, ახლოს იდგა გლეხთა კლასის ყველაზე უმეტეს ნაწილთან, ღარიბ გლეხობასთან, რომელიც სისხლორციულად იყო დაინტერესებული სოციალისტური წყობილების აშენებით. აქედან გამომდინარე საშუალო გლეხობაც, რომელიც გლეხთა მასების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა, არ შეიძლებოდა მტრულად ყოფილიყო განწყობილი საბჭოთა ხელისუფლებისადმი. ამდენად საშუალო გლეხობასთან კავშირის დამყარება და მათი ჩაბმა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში იმ პერიოდისათვის დამასახიათებელი იყო; მეორე, საშუალო გლეხი, როგორც ეკრძო მესაკუთრე, ახლოს იდგა კულაკობასთან. ამდენად, თუ საშუალო გლეხობასთან არ დამყარებდით კავშირს, შეიქმნებოდა საფრთხე იმისა, რომ საშუალო გლეხობაც დაადგებოდა კულაკობის ორიენტაციას, რაც ნიშნავდა სოციალისმის მშენებლობისათვის ხელის შეშლას.

ი. ბ. სტალინმა რკპ(ბ) მოსკოვის ორგანიზაციის აქტივის კრებაზე 1925 წლის 9 მაისს მოხსენებაში რკპ(ბ) XIV კონფერენციის მუშაობის შედეგებისათვის აღნიშნა, რომ საბჭოების გადარჩევამ გამოაშკარავა „ის უჭკველი

16 დ. ქორიძე, აგრარულ ურთიერთობათა განვითარება საბჭოთა საქართველოში, 1970 წ., გვ. 199—200.  
 17 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 30, 1952 წ., გვ. 159.  
 18 სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწილი 1, 1954 წ., გვ. 571.

ფაქტი, რომ ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ რაიონებში საშუალო გლახი კულაკის მხარეზე აღმოჩნდა ღარიბი გლეხობის წინააღმდეგ<sup>19</sup>. ამიტომ საშუალო გლეხობის უყურადღებოდ მიტოვება, მათთან მუშაობის შესუსტება ყოველად მიუღებელი იყო. აქედან გამომდინარე რკპ(ბ) მერვე ყრილობამ მიიღო ისტორიული შინაგანობის გადაწყვეტილება საშუალო გლეხობასთან კავშირის დამყარების შესახებ. მაგრამ მათთან კავშირის დამყარება როდის ნიშნავდა საშუალო გლეხობის ერთბაშად ჩაბმას სოციალიზმის მშენებლობაში — მათი კერძო მეურნეობის ლიკვიდაციისა და კოლექტიურ მეურნეობებში გაერთიანების გზით. საშუალო გლეხობას ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი კერძო საკუთრებისადმი ერთგულება. ის ადვილად, ერთბაშად ვერ შეეღებოდა, ვერ დათმობდა საკუთარ მეურნეობას, იძულებით კი ამის გაკეთება დაუშვებელი იყო. და სახელს გაუტეხდა სოციალიზმს, კომუნისტურ პარტიას. „გასაგებია, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — რომ საშუალო გლეხს არ შეუძლია ერთბაშად დადგეს სოციალიზმის მხარეზე იმიტომ, რომ ის მტკიცედ დაკის იმაზე, რასაც შეეჩვია, სიფრთხილით ეტყობა ყოველგვარ სიასხეს, ჭერ საქმით, პრაქტიკით ამოწმებს იმას, რისკენაც მას მოუწოდებენ, ვერ ბედავს თავისი ცხოვრების შეცვლას, ვიდრე არ დარწმუნდება, რომ ეს ცვლილება აუცილებელია“<sup>20</sup>.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში საშუალო გლეხობასთან კავშირი ნიშნავდა სოციალიზმის მშენებლობაში მათ ჩაბმას არა მათი კერძო მეურნეობის ლიკვიდაციისა და კოლექტიურ მეურნეობებში გაერთიანების გზით, არამედ პირიქით მათი საკუთარი მეურნეობის განვითარებისათვის სახელმწიფოს მხრივ ხელის შეწყობას.

ვ. ი. ლენინი 1919 წლის 23 მარტს რკპ(ბ) ყრილობაზე მოხსენებაში „სოფლად მუშაობის შესახებ“, აღნიშნავდა: „საშუალო გლეხობა კომუნისტურ საზოგადოებაში მხოლოდ მაშინ იქნება ჩვენს მხარეზე, როცა ჩვენ შევამსუბუქებთ და გავაუმჯობესებთ მისი ცხოვრების ეკონომიურ პირობებს. ჩვენ რომ შეგვეძლოს ზვალ 100 ათასი პირველხარისხოვანი ტრაქტორის მიცემა, მათი მომარაგება ბენზინით, მათი მომარაგება მემანქანებით (თქვენ მშვენივრად

იცით, რომ ჭერ-ჭერობით ეს ფანტაზია), მაშინ საშუალო გლეხი იტყობა: „მე კომუნის მომხრე ვარ“ (ე. ი. კომუნის მომხრე ვარ“<sup>21</sup>.

რკპ(ბ) მეთორმეტე რეზოლუციაში „რუსეთის კომუნისტური პარტიის მუშაობის შესახებ სოფლად“ ხაზგასმითაა აღნიშნული: „სახელმწიფო ორგანოები უპირატესად უნდა უჭერდნენ მხარს სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებს, არტელებს და კომუნებს, განსაკუთრებით რამდენადაც ისინი გლეხთა უღარიბესი ფენების სამეურნეო გაერთიანებას წარმოადგენენ“<sup>22</sup>.

პროფესორ აბ. ნუცუბიძის აზრით „1924 წლის მარტში პარტიის XIII ყრილობაზე, ხოლო შემდეგ 1925 წლის მაისში საბჭოთა კავშირის საბჭოების III ყრილობამ, საჭიროდ სცნეს კოლმეურნეობებში, გარდა ღარიბებისა, გაერთიანებულიყვენ საშუალო გლეხებიც“<sup>23</sup>.

ა. ნუცუბიძის ეს შეხედულება ძირითადად სწორია, მაგრამ ორიოდე შენიშვნით: ჭერ ერთი, საკავშირო კპ(ბ) XIII ყრილობა ჩატარდა 1924 წლის არა მარტში, არამედ 23-31 მაისს და მეორე, საშუალო გლეხობასთან მჭიდრო კავშირის დამყარების, ე. ი. მეურნეობის კოლექტიურ ფორმებში მათი გაერთიანების აუცილებლობის პოლიტიკის განხორციელებას კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება ფაქტიურად შეუდგა მას შემდეგ, როცა ეს საკითხი საფუძვლიანად განხილულ იქნა ჭერ საკავშირო კპ(ბ) XIV კონფერენციაზე (1925 წლის აპრილში), შემდეგ საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1925 წლის ოქტომბრის პლენუმზე და, ბოლოს, საკავშირო კპ(ბ) XIV ყრილობაზე (1925 წლის დეკემბერში). ასეთი შეხედულების ნათელი დადასტურებაა ი. ბ. სტალინის სიტყვა საკავშირო კპ(ბ) XIV ყრილობაზე: „მაშასადამე, მიწათმოქმედებაში გეზის აღება საშუალო გლეხზე, გამარჯვლი გლეხი — როგორც ჩვენი სამეურნეო აღმავლობის ცენტრალური ფიგურა. ასე წერდა ამხანაგი ლენინი 1921 წელს.

აი სწორედ ეს იდეა, ამხანაგობა, დაედო საფუძვლად იმ გადაწყვეტილებებს და გლეხობისადმი იმ დათმობებს, რომლებიც ჩვენი პარტიის XIV აპრილის კონფერენციაზე მივიღეთ.

<sup>19</sup> ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. 7, 1959 წ., გვ. 135.

<sup>20</sup> ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 29, 1952 წ., გვ. 282.

<sup>21</sup> ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 29, 1952 წ., გვ. 242—243.

<sup>22</sup> სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწილი 1, 1954 წ., გვ. 968.

<sup>23</sup> აბ. ნუცუბიძე, რა მისცა ოქტომბრის რეგოლუციამ საქართველოს გლეხობას, 1957 წ., გვ. 59.

რა დამოკიდებულება აქვთ XIV აპრილის პარტიული კონფერენციის რეზოლუციებს იმ რეზოლუციასთან ღარიბ გლახობაში მუშაობის შესახებ, რომელიც ცენტრალურმა კომიტეტმა ერთხმად მიიღო ოქტომბერში, ისევე როგორც მან ერთხმად მიიღო XIV კონფერენციის რეზოლუციები? ძირითადი ამოცანა, რომელიც ჩვენს წინაშე ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზე იდგა, ის იყო, რომ არ ჩაგვეშლევინებინა ის პოლიტიკა, რომელიც აპრილის კონფერენციაზე შევიმუშავეთ, საშუალო გლახობასთან მტკიცე კავშირის პოლიტიკა, არ ჩაგვეშლევინებინა ეს პოლიტიკა, ვინაიდან ჩვენს პარტიაში თავი იჩინა განწყობილება, რომელსაც მიაჩნდა, რომ საშუალო გლახთან მტკიცე კავშირის პოლიტიკა არასწორი ან მიუღებელია<sup>24</sup>.

№ 17 დეკრეტი მიწის შესახებ ითვალისწინებდა არა მარტო მსხვილი კოლექტიური მეურნეობების ჩამოყალიბების აუცილებლობას, არამედ საკანონმდებლო წესით ადგენდა იმასაც, რომ საქართველოს საბჭოთა ხელისუფლება ყოველმხრივ შეუწყობდა ხელს სოფლის

მეურნეობაში კოლექტიური მეურნეობების ჩამოყალიბებას, მათ სამეურნეო-ორგანიზაციულ განმტკიცებას. დეკრეტის მერვე მუხლი აცხადებდა: „...ასეთ კომუნებს თუ არტელებს განსაზღვრულ პირობებში გადაეცემა თავისუფალი მიწის მაჭრები, გარდა ამისა სახელმწიფო აღმოუჩენს მათ, როგორც აგრონომიული დახმარების, ისე ნივთიერ სახსარსაც, მიწის დაშუშავების საუკეთესოდ მოსაწყობად“.

ამრიგად საქართველოს რევოლუციური კომიტეტის მიერ, 1921 წლის 6 აპრილს გამოცემულმა № 17 დეკრეტმა მიწის შესახებ არა მარტო სამუდამოდ მოსპო მიწაზე კერძო საკუთრება და აქცია ის სახელმწიფო საკუთრებად, არამედ მასში ასახვა ჰპოვა დაქუცმაცებული, გაატაკებული სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ძირითადმა დებულებებმა.

ამდენად № 17 დეკრეტი მიწის შესახებ წარმოდგენს საბჭოთა საქართველოში საკოლმეურნეო კანონმდებლობის ერთ-ერთ პირველად და უმნიშვნელოვანეს ნორმატიულ აქტს.

# ილია ჭავჭავაძის ერთი უხმოზი იურიდიული შეიშენელოზის ავტობიოგრაფიული და იაკობ გოგებაშვილი

3. შპანიძე,  
ს. ლავიოვილი

ი. ჭავჭავაძის პუბლიცისტური ნაწარმოებების და ჰაქმიანი მიმოწერის დიდი ნაწილი, ილიას თხზულებათა გამოცემების დროს არ გამოქვეყნებულა. ამის მიზეზი, ის იყო, რომ ილიას მიერ დაწერილი ასზე მეტი საგაზეთო სტატია თავის დროზე დაიბეჭდა ავტორის ხელის მოწერის გარეშე და წერილების ავტორობის საკითხი სადაო იყო. ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის უკანასკნელ აკადემიურ გამოცემაში<sup>1</sup> არ შესულა აგრეთვე ილიას რიგი ნაწარმოებები, რომლებიც თავის დროზე გამოქვეყნდა მისი ხელის მოწერით. ეს განსაკუთრებით ეხება რუსულ პერიოდიკაში გამოქვეყნებულ მასალებს.

ამჯერად ჩვენი მიზანია ყურადღება გავაშვებოთ ილიას ერთ ავტორგრაფზე, რომელიც დაკავშირებულია გაზეთ „ივერიას“ სარედაქციო კოლეგიის დავალებით იაკობ გოგებაშვილის მიერ დაწერილ წერილთან — „მთავარი საჭიროებანი სასულიერო წოდებისა“. საცენზურო კომიტეტის აკრძალვის გამო იგი არ გამოქვეყნებულა. „ივერიას“ 1893 წლის 6 ოქტომბრის ნომრისათვის გამიზნული ი. გოგებაშვილის ეს წერილი აიწყო და ანაბეჭდი წარედგინა საცენზურო კომიტეტს, საიდანაც უკან არ დაუბრუნებიათ<sup>2</sup>. მისი პუბლიკაცია მხოლოდ ჩვენს პირობებში მოხდა, ექვს ათეულ წელზე მეტი დროის გაელის შემდეგ.<sup>3</sup>

ი. ჭავჭავაძის ავტობიოგრაფი, რომელზეც ქვემოთ ვიმსჯელებთ, არის „ივერიის“ რედაქტორის 1894 წლის 26 იანვრის ახსნა-განმარტება კავკასიის სა-

ცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე მ. პ. გეგკელი-სადმი. ი. ჭავჭავაძის ეს განმარტება პასუხია იმ მოწერილობისა, რომელიც გეგკელმა გააკეთა „სრულიად საიდუმლო“ და „ფრიად საჭიროდ“, 1894 წლის 21 იანვრის № 211-ით.<sup>4</sup> „მოწყალეო ხელმწიფეო, თავადო ილია გრიგოლის-ძეო, — ვკითხულობთ ამ მოწერილობაში, — ჩემდამი დაქვემდებარებული კომიტეტის სხდომაზე, რომელიც შესდგა 6 ოქტომბერს, წარმოდგენილი იქნა ცენზორის მიერ დაკავებული გაზეთ „ივერიას“ წერილი...<sup>5</sup> სათაურით „მთავარი საჭიროებანი სასულიერო წოდებისა“<sup>6</sup>. კომიტეტმა, არ მიიჩნია რა შესაძლებლად სტატიის საყოველთაო განხილვისათვის დაბეჭდვა, ამავე დროს, ჩასთვალა სასარგებლოდ წარედგინა იგი მხარის უმადლეს ხელისუფლების კეთილგანზილვისათვის, იმ სურვილების გასაცნობად, რომელსაც გამოთქვამს პრესა, სასულიერო წოდების მომავალი ყრილობისადმი.

ამჟამად, ბატონმა მთავარმართებლის თანაშემწემ ინება მოეპართა ჩემთვის მოთხოვნით, რათა ვაცნობო ადნიშნული სტატიის ავტორის: გვარი, სახელი და წოდება, რის გამო, მაქვს პატივი, უმდაბლესად ვთხოვო თქვენს ბრწყინვალეობას... სასწრაფოდ მომაწოდოს ცნობები, რომელსაც მოითხოვენ“.

აქვე აღნიშნულია, რომ ეს მოთხოვნა გამომდინარეობს კავკასიის მმართველობის დაწესებულებათა დებულების 89-ე მუხლიდან და თანახმად საცენზურო დებულების 135-ე მუხლისა, გამოცემის რედაქტორს, (ამ შემთხვევაში გაზეთ „ივერიას“ რედაქ-

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძის თხზ., სრული კრებული 10 ტომად, საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი, 1956-1961 წ.წ.


<sup>2</sup> ი. გოგებაშვილის წერილის ანაბეჭდი დაცულია საქართველოს სსრ ცენტრალური საისტორიო არქივის კავკასიის საცენზურო კომიტეტის ფონდში „ივერიას“ 1893 წლის სხვა აკრძალულ მასალათა შორის — საქმე, 1190, ფურ. 31-32.

<sup>3</sup> ი. გოგებაშვილის თხზულებათა სრული კრებული, ტომი IV, გვ. 525-531.

<sup>4</sup> საქართველოს სსრ ცსსა., კავკასიის საცენზურო კომიტეტის ფონდი, საქმე 1190, ფურ. 64.

<sup>5</sup> აქვე ხაზგასმულია, რომ გაზეთი „ივერია“ გამოიცემა მის მიერ, ე. ი. ჭავჭავაძის მიერ — ვ. ე. და ს. ლ.

<sup>6</sup> გეგკელის წერილი რუსულად არის დაწერილი და იქ გოგებაშვილის წერილის სათაურში სიტყვა „უწყება“ („Ведомство“) არის ნახმარი, ნაცვლად ანაბეჭდში და გოგებაშვილის ავტობიოგრაფში მითითებული სიტყვისა — „წოდებისა“. როგორც ამჯერად, ასევე შემდგომშიც ჩვენ მივუთითებთ ისე როგორც ქართულ ტექსტშია.



ტორს ვ. ჟ. და ს. ლ.) ასეთი ცნობები უნდა გააჩნდეს.

ამ წერილის დედანი არქივში მიგნებული არ არის. საცენზურო კომიტეტის უკვე დასახლებულ საიდუმლო საქმეში არის წერილის პირი, რომელშიც წერილის ავტორის ხელის მოწერის აღნიშვნის წინ გაკეთებულია მეტად მორიდებული და თავაზიანი მიმართვა: „დარწმუნებული ოყავით ჩემს ერთგულეზაში და მიიღეთ ჩემი პატივისცემა...“

საცენზურო კომიტეტის საიდუმლო საქმეში გოგებაშვილის წერილის ქართული ანაბეჭდის გარდა არის აგრეთვე მისი რუსული თარგმანი. ცხადია, სტატია რუსულად გადაითარგმნა, პირველ რიგში მთავარმართებლის სამმართველოს აპარატისათვის. იგი გეკაკელის დავალებით უნდა ეთარგმნა „ივერიის“ რედაქციას, ან თვით საცენზურო კომიტეტის აპარატს. საქმეში არსებული მიმოწერის მიხედვით ვარკვეულად შეიძლება ითქვას, რომ გოგებაშვილის წერილი რუსულად „ივერიას“ რედაქციამ არ თარგმნილა. ილიას და საერთოდ გაზეთ „ივერიას“ რედაქციას, გოგებაშვილის წერილის საცენზურო კომიტეტის გადაწყვეტილებით მთავარმართებლის სამმართველოში გადაგზავნის შესახებ, უნდა გაეგო მხოლოდ საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარის მოწერილობის მიღების შემდეგ<sup>7</sup>. რაიმე დოკუმენტი, რომ „ივერიას“ რედაქციას დაეგალა ამ წერილის თარგმნა და რომ ასეთი შესრულებულია რედაქციაში, საცენზურო კომიტეტის საქმეში არ მოიპოვება. გარდა ამისა, ამ ისტორიასთან დაკავშირებით არის ი. გოგებაშვილის პირადი წერილი ნ. ლომაურისადმი, (მასზე უფრო გვიან ვიმსჯელებთ). ეს წერილიც ამაგრებს იმ აზრს, რომ გაზეთის სარედაქციო კოლეჯამ მთავარმართებლის აპარატის საქმეში ჩარევა გვიან გაიგო.

საცენზურო კომიტეტმა გოგებაშვილის წერილი, სანამ კავკასიის მთავარმართებელს წარუდგენდა, 1893 წლის 9 ოქტომბერს, № 2129-ით განსახილველად გადაუგზავნა ქართლ-კახეთის არქივპისკოპოს ვლადიმირს. გეკაკელის წერილი ვრცელია, დაწერილი აღმფოთებული ტონით და მითითებული, რომ საცენზურო კომიტეტი უარყოფითად აფასებს წერილის შინაარსს და აუცილებლად თვლის ამის შესახებ მთავარმართებელს მოსხენდეს...

საცენზურო კომიტეტს ეგზარქოსის აზრი აუცილებლად უნდა მოეხსენებია მთავარმართებლისათვის.

საქმეშია ეგზარქოსი ვლადიმირის, 1893 წლის 11 ოქტომბრით დათარიღებული პასუხი, რომლითაც იგი კატეგორულად მოითხოვს, რომ წარმოდგენილი მასალა არ დაიბეჭდოს.

საცენზურო კომიტეტს მთელი მასალა მთავარმართებლის სამმართველოსთვის წარუდგენია 1894 წლის 27 იანვარს, მაგრამ, როგორც ეტყობა იგი მთავარმართებლამდე არ მისულა. მასალა განუხილავს მთავარმართებლის კანცლარისის სამოქალაქო საქმეების ვიცე-დირექტორს და უკანვე დაუბრუნებია საიდუმლო გრიფით, იმავე თვის 29 რიცხვში...

უნდა აღვნიშნოთ, რომ დღესაც, როცა წერილის დაწერიდან თითქმის რვა ათეული წელი გავიდა, მის ირგვლივ რიგი საკითხები დასაზუსტებელია.

როგორც ზევით ითქვა, იგი პირველად გამოქვეყნდა ი. გოგებაშვილის თხზულებათა IV ტომში, რომელშიც შესულია ავტორის 1904—1912 წლებში დაწერილი პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწარმოებები. წერილი, „მთავარი საჭიროებანი სასულიერო წოდებისა“, ტომის შემდგენმა მიაკუთვნა 1912 წელს შექმნილ ნაწარმოებთა რიცხვს, რაც არასწორია. როგორც ზემოთ მოტანილი მასალა გვარწმუნებს, იგი აწყობილი იყო გაზეთ „ივერიას“ 1893 წლის 6 ოქტომბრის ნომრისთვის. ეს შეცდომა დაშვებულია ტომის შემდგენელისაგან დამოუკიდებელი მიზეზით: წერილი შეტანილია ი. გოგებაშვილის ავტოგრაფის მიხედვით<sup>8</sup>, რომელსაც თარიღი არ უხის. ტომის შედგენის დროს, კავკასიის საცენზურო კომიტეტის ის საარქივო საქმე, რომელზეც მსჯელობა გვაქვს, არც ერთ წყაროში მითითებული არ ყოფილა და გამომცემლებს ამ წერილის შესახებ არსებული მასალები ხელთ არ ჰქონდათ. აქვე გასარკვევია მეორე არსებითი საკითხიც, კერძოდ ის, რომ „ივერიის“ ფურცლებზე დასასტამბად აწყობილი წერილი ტექსტუალურად განსხვავდება გოგებაშვილის ავტოგრაფისაგან. უფრო სწორად, საცენზურო კომიტეტის მიერ დაკავებული ტექსტი უფრო ვრცელია, ვიდრე ავტოგრაფი და ტექსტის ის ვარიანტი, მოიცავს მეტად მნიშვნელოვან და მწვავე სოციალურ საკითხებს<sup>9</sup>. ჩვენ თავს ვიკავებთ განცხადებისაგან თუ ვის ეკუთვნის ავტოგრაფისაგან განსხვავებული ტექსტი, მხოლოდ დავსძენთ, რომ ილია ჭავჭავაძის ავტოგრაფის ტექსტის ანალიზიდან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, რომ განსხვავებული ტექსტის ავტორი სხვა პირი იყოს.

7 1894 წლის 21 და 26 იანვრის შორის, ვ. ყ. და ს. ლ.

8 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ი. გოგებაშვილის ფონდი № 5331 — 64 ავტოგრაფი, 12 გვერდზე, ფანქრით ნაწერი, ავტორისეულ ჩასწორებებით, ბოლოში ინიციალების „ი. გ.“-ის მითითებით.

9 ამის შესახებ იყო მითითებული ს. ლეკიშვილის წერილში „ი. გოგებაშვილის ერთი სტატიის გამო“, ჟურ. „სკოლა და ცხოვრება“, 1960 წელი № 2, გვ. 76-78, ვ. ყ. და ს. ლ.

ახლა გავერკვეთ თუ რა აზრებია გადმოცემული საცენზურო კომიტეტის მიერ აკრძალულ წერილში „მთავარი საჭიროებანი სასულიერო წოდებისა“.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ წერილი დაწერილია იმის გამო, რომ იმხანად უნდა ჩატარებულიყო სრულიად საქართველოს საეკლესიო მსახურთა ყრილობა, ყოვლად უსამღვდელოესი ეგზარქოსი ვლადიმირის მეთაურობით<sup>10</sup>. ყრილობას უნდა განეხილა ყველა საკითხი, რომელიც საქართველოს საეკლესიო ცხოვრებას ეხებოდა. წერილის ავტორი შეწუხებულია იმ გარემოებით, რომ საქართველოში ასეთი ყრილობები იშვიათად ტარდება, და ამიტომ ბევრი საჭირობო-ტო საკითხი მოუგვარებელია, რითაც დიდი ზიანი აღგებოდა ქართული ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებისა და მორწმუნეთა სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილების წმინდა საქმეს. ქართველ სამღვდელოებს მრავალი საკითხი ჰქონდა გადასაჭრელი, მაგრამ იგი სათათბიროდ არ შეკრებილა არც მიტროპოლიტ იოანიკეს ეგზარქოსობის, არც არქიეპისკოპოს პავლეს და არც არქიეპისკოპოს პალადის დროს<sup>11</sup>.

სტატიაში მითითებულია, რომ თუმცა რუსეთი საეპარქიო კრების მოწვევას სამჯერ და ოთხჯერ ნაკლებად საჭიროებს, მაგრამ მას მაინც სისტემატურად ატარებს.

წერილის ავტორის აზრით სულიერი მამანი თავის დანიშნულებას მაშინ ასრულებენ როდესაც კარგად იციან ერის ენა, ლიტერატურა, ისტორია, წარსული და აწმყო, მისი გაჭირვება და სიკეთე. საქართველოს ეკლესია კი ამას მოკლებულია, რადგან მისმა მეთაურმა არ იცის ქართული ენა და კულტურა. მასთან ახლო მდგომი პირნი, რომლებიც ვალდებული არიან საქმის კურსში ჩააყენონ ეს სუცესთ-ხუცესი ან თვით ვერ ერკვივან საკითხებში ან პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, ცალმხრივი ინფორმაციით კამაყოფილებიან, რაც მხოლოდ საქმეს აყენებს ზიანს. ავტორს მიაჩნია, რომ სასულიერო პირთა კრება არის ერთადერთი საშუალება, სადაც დასავლეთის და აღმოსავლეთის ქართული ეკლესიის სულიერი მამათა თავყრილობის დროს ცალკეული პირი ვერ გაბედავს პირადი ტენდენციების გამოვლინებას და იძულებული გახდება მხარი დაუჭიროს საერთო ინტერესებიდან გამომდინარე მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

ავტორი განმარტავს მისი გამოსვლის მიზეზს: მას სურს საეპარქიო კრებას გაუადვილოს რთული მოვალეობის აღსრულება და განმარტოს ზოგიერთი „სასულიერო მოთხოვნილებანი, რომლებიც კაი ხანია დაღაღებით ითხოვენ დაკმაყოფილებას“.

წერილი მიმოხილავს საქართველოში ქრისტიანული ეკლესიის არსებობის თხუთმეტ საუკუნოვან ისტორიას, მრავალ ეკლესია-მონასტრებსა და სხვა ძეგლებს, რომლებიც მოწმობენ, რომ ეს რელიგია ფართოდ იყო გავრცელებული. „მაგრამ მაშინაც კი მეტნაკლებობით სუსტი ყოფილა ჩვენში ის მაღალი ზნეობრივი სწავლა, რომლებიც შეადგენს ქრისტიანობის შუა გულსა. ის მომქმედო სიყვარული ღვთისა და მოყვარისა, რომელზედაც აშენებულია მთელი ხვთაბრივი სწავლა მაცხოვარისა ჩვენისა, ის სპეტაკი იდეალი, რომელიც მაცხოვარმა გამოხატა შემდეგ სიტყვებში: „იყავით სრულნი, ვითარცა მამა ზეციერი“, წინედ ნაკლებად ყოფილა ჩვენთვის ცხოვრების გზის მაჩვენებელ-მნათობად და ესლა ხომ, დროსა გახრწნილობასა ჩვენსასა სრულიად მივიწყებული ვვაქვს“.

წერილში მხოლოდ განხილულია თუ რამ შეუქმნა ქრისტიანულ რელიგიას ასეთი პირობები და მიზნად არ ისახავს ყურადღების გამახვილებას იმ საკითხებზე, რომლებიც შეიძლება გამოსწორდეს და პრაქტიკულად გადააწყვეს.


პირველი, რასაც ეხება წერილის ავტორი, ეს არის სასულიერო წიგნების ქართულად ბეჭდვის და დანატერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომ ფასებში მიწოდების საკითხი. ბრიტანეთის, ე. წ. „დაბადების“ საზოგადოებას, რომელსაც კარგად ჰქონდა დაყენებული მსოფლიოს მრავალ ენაზე სასულიერო ლიტერატურის თარგმნის და გავრცელების საქმე, თბილისში ჰქონია თავისი ფილიალი, რომელიც თარგმნიდა, ბეჭდვდა და ავრცელებდა „დაბადებას“ და სხვა სასულიერო ლიტერატურას რუსულ და კავკასიურ ენებზე. ამ საქმისადმი სასულიერო ხელისუფალთა უგულო დამოკიდებულების შედეგად „დაბადების“ ქართული თარგმანი შესრულებული ყოფილა და გამოცემული მეტად უხარისხოდ: წიგნის უზარმაზარი მოცულობის და ცუდი პოლიგრაფიული შესრულების გამო მისი გამოყენება ძნელდებოდა. რაც მთავარია, წიგნს ისეთი დიდი ფასი ჰქონდა, რომ მისი შექნა ყველას არ შეეძლო. ეს იმ დროს, როდესაც სხვა ენებზე „დაბადება“ ისეთი ზომით ყოფილა დაბეჭდილი, რომ ჯიბითაც შეიძლებოდა მისი ტარება და მაღალხარისხისოდ გაფორმებულს, ფასიც დაბალი ჰქონია. ეს იმის შედეგი იყო, რომ ბრიტანეთის საზოგადოება — „დაბადებასთან“ ქართულ ეპარქიატს საქმიანი დამოკიდებულება არ ჰქონდა.

მეორე, რაზეც წერილის ავტორი ამახვილებს ყურადღებას, არის ქართველ მღვდელ-მსახურთა მოზნადების საკითხი. თბილისის სასულიერო სასაწყ-

<sup>10</sup> სრულიად საქართველოს საეკლესიო ყრილობა ჩატარდა 1893 წლის 8—14 ოქტომბერს, თბილისში, ვ. ე. და ს. ლ.

<sup>11</sup> მიტროპოლიტი იოანიკე რუდნევი ეგზარქოსობდა 1877—1882 წლებში, არქიეპისკოპოსი პავლე ლებედევი 1882—1887 წლებში და არქიეპისკოპოსი პალადი რაევი 1887—1892 წლებში, ვ. ე. და ს. ლ.





ლებლიდან ქართული ენა ფაქტიურად განდევნილი ყოფილა, რის გამოც სასწავლებელი ამზადებდა დაბალი კვალიფიკაციის უეცრ მღვდლებს, რომლებიც ვერ ასრულებდნენ და ვნებას აყენებდნენ ქართულ ქრისტიანულ სარწმუნოებას. „სამღვდელოების კრებამ უნდა ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ამ დიდ ნაკლს, რომელიც ნამდვილი ორგანული სენია, და სისხლს ყოვლად სამღვდელო ვლადიმირსა, რათა აზრი ბატონი მიტროპოლისკისა შესახებ ქართული ენის კათედრის ცალკე შექმნისა თბილისის სემინარიასი — განსორციელებული იქმნას და ასევე საღვთისმეტყველო სახელმძღვანელონი დაიბეჭდონ პარალელური ქართული ტექსტით.“

ი. გოგებაშვილის ხელთნაწერში ეს აზრი მოკლედ დააგადმოცემული. „ივერიისათვის“ აწყობილი სტატიის ანაბეჭდში, რომელიც საცენზურო კომიტეტის საიდუმლო საქმეს ერთვის, საკითხი უფრო ფართოდ და მწვავედ არის დაყენებული, მინიშნებულია იმ საეთრი მდგომარეობაზე, რომელიც შეიქმნა საქართველოში რუსეთის კოლონიალური პოლიტიკის შედეგად. სტატიის ავტორი იყენებს თვით სასულიერო ხელისუფალთა სტატისტიკურ მონაცემებს და ასკვნის, რომ ბოლო წლებში ქართველი ბავშვები სასულიერო განათლებასადმი ნაკლებ მისწრაფებას იჩენენ. მათი რიცხვი დღით დღე მცირდება, ხოლო ვინც იქ სწავლობს, კვალიფიციურ მომზადებას ვერღებულობს. „რას უნდა დაჰბრალდეს ასეთი უკან ჩამორჩომა, ასეთი დაცემა სასულიერო სასწავლებლებისა? — კითხულობს წერილის ავტორი და თვითონვე პასუხობს — საქმე სათავეშივე ფუჭდება. სასულიერო სასწავლებლებთან დაარსებულია სამწლიანი მოსამზადებელი კლასები. შემდეგ კი მთელი სწავლა მოწყობილია რუსულ ენაზე. „განა შესაძლებელია სამი წლის განმავლობაში ქართველი ბავშვი იმდენად მომზადდეს რუსულ ენასა და წიგნის ცოდნაში, რომ ამ ენაზე შეეძლოს შეგნებით სწავლა? რასაკვირველია არა. სამი წლის კურსი პირველის კლასისათვის მოსამზადებლად საჭიროდ მიაჩნიათ რუს ბავშვებისათვის, რომელთაც რუსული ენა კარგად იციან სკოლაში შესვლის დროსა. როგორ მოეზადება იმავე კლასისათვის და იმავე ხანს ქართველი ბავშვი, რომელმაც ერთი სიტყვა არ იცის რუსული? და აკი ვერც ემზადება. ყველანი ვინც კი დაასლოვებულა სასულიერო სასწავლებელზე ერთხმად აღიარებენ, რომ პირველსა და მეორე კლასში სწავლება რუსულს ენაზე სწორედ საცოდობაა. ტინის უღვეს ბავშვებსა, უჩაგრავს და უხშობს გონებას, თუთიყუშობას აჩვევს. აძულებს რუსულ ფხას, როგორც წყაროს ტანჯვისასა და შეუძლებლად

ხდის მათთვის ჯეროვანს წარმატებას შემდეგ კლასებშიაც...“

სასულიერო სასწავლებლის კურსი გიმნაზიაში სწავლების კურსზე დიდი იყო, ცამეტი წელი. წერილის ავტორი მიუთითებს, რომ საქმის გამოსწორება მოსამზადებელი კლასების ვადის გაგრძელების სარჯზე არ შეიძლება მოხდეს. იგი ასახულებს, რომ საქმის გამოსწორება შეიძლება თუ პირველ და მეორე კლასში სწავლა ქართულ ენაზე გაგრძელდება და შესწავლილი მასალის გამოცდები მოხდება რუსულ ენაზე. ეს ძლიერ დაეხმარება „არა მარტო შეგნებით სწავლას საგნებისას და ბავშვის გონების გახსნას, არამედ თვით რუსულის ენის საფუძვლიანად შესწავლასაც.“

წერილში მითითებულია, რომ ქართველი მრევლი საჭიროებს უმაღლესი განათლების მქონე მღვდლებს და აუცილებლად თვლის, წარმომადგენელთა ყრილობამ მიიღოს გადაწყვეტილება, ყოველწლიურად, უმაღლესი განათლების მისაღებად, რუსეთის ოთხ სასულიერო აკადემიაში გაიგზავნოს სემინარია დამთავრებული რვა ახალგაზრდა...

ცხადია, რომ ასეთი აზრები ეწინააღმდეგებოდა რუსეთის ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკას საქართველოში და მისი დასტამბვა არ იყო მიზანშეწონილი არც საცენზურო კომიტეტისათვის და არც არქივისკოპოს ვლადიმირისათვის. ამიტომ წერილის აკრძალვაც და ის მიმოწერაც, რომელსაც ადგილი ჰქონდა საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე გეგელსა და ილია ჭავჭავაძეს შორის, სრულიად კანონოვითიერ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ.

„თქვენი აღმატებულების ამა 1894 წლის 24 იანვრის წინადადებაზე — წერს ილია გეგელს, — გაცნობთ: იმის გამო, რომ უნდა ჩატარებულიყო ქართული ეგზარქატის საეკლესიო მსახურთა ეპარქიალური ყრილობა, გასული, 1893 წლის სექტემბერში, გაზეთ „ივერიის“ რედაქციამ იმსჯელა ქართული ეკლესიის სულიერ საჭიროებაზე. ყველა საკითხის დრმად შესწავლის შემდეგ, რედაქციამ დაავალა ცნობილ ქართველ პედაგოგსა და მწერალს იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილს, რომელიც არის თანამშრომელი და ესწრებოდა თათბირს, — ჩამოეყალიბებინა საგანთო წერილისათვის გამოთქმული აზრები. მან შესარულა დაავლება და გამოგზავნა წერილი სათაურით „მთავარი საჭიროებანი სასულიერო წოდებისა“, რომელსაც მოწერილი ჰქონდა არა „კ. კ.“, როგორც ირიცხება საცენზურო კომიტეტში წარმოდგენილ ანაბეჭდზე, არამედ „ი. გ.“... პასუხი მთავრდება იმ დროს გავრცელებული მომართვის ფორმით: „მიიღეთ ჩემი რწმუნება ჩემს სრულ მიკრძალვება და ერთგულებაში“ და ხელის მოწერით — „თავადი ილია ჭავჭავაძე“<sup>14</sup>.

12 საქართველოს ცსს, ფონდი 480, № 1, საქმე 1190.



იმ მომენტში, გარდა სტატიის აკრძალვისა, რაიმე ორგანიზაციული ღონისძიება არ განხორციელებულა. მაგრამ, პირადად გეკველი ვერ დამშვიდებულა. 1896 წლის 10 მაისს კავკასიის მხარის მთავარმართებლის საბჭოს № 44 დადგენილებით გაზეთ „ივერიას“ გამოცემა აიკრძალა ათი თვით, რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ მისი სისტემატური გამოსვლის გამო.<sup>15</sup> დადგენილების მიღების ერთ-ერთი საფუძველი იყო ი. გოგებაშვილის აღნიშნული წერილი, რომელიც ერთ-ერთ მთავარ დოკუმენტად გამოიყენა.

გეკველისადმი გაცემულ პასუხში ილია ასახელებს წერილის ავტორის ვინაობას. გოგებაშვილს წყენია ეს და ეს წყენა ვერ დაუმალავს წერილში, რომელიც ნიკო ლომოურისადმი აქვს მიწერილი.<sup>16</sup> ეტყობა, გოგებაშვილი კარგად ვერ გარკვეულა ვითარება-

ში და შეშინებულა კიდევ პასუხისგებაში არ მიეცათ. როგორც ადრევე მივუთითეთ ილიას, როგორც გაზეთის რედაქტორს, კანონი ავალებდა ეცნობებინა საცენზურო კომიტეტისათვის თუ ვინ იყო წერილის ავტორი და ასეთი თავის ნებით არ გაუკეთებია. მაგრამ ილიას პასუხიდან ასევე გარკვეულად ჩანს, რომ პასუხისმგებლობა წერილის შინაარსზე მან პირადად თავის თავს და სარედაქციო კოლეგიას დააკისრა და არა წერილის ავტორს.

ი. გოგებაშვილის და ი. ჭავჭავაძის შემდგომი ურთიერთობა არ იძლევა საფუძველს ვიფიქროთ, რომ გოგებაშვილს წყენა დიდხანს შეენახოს გულში. როგორც ეტყობა გაჯავრება არასრული ინფორმაციით იყო გამოწვეული და თუ ეს ილიას ყურამდე მივიდა იგი არ დააყოვნებდა ყოველივე დროზე გაგრეკვია.

<sup>15</sup> საქართველოს ცსსა, ფონ. 12, საქმე 2185.

<sup>16</sup> საქართველოს სსრ ლიტერატურული მუზეუმის ი. გოგებაშვილის ფონდი.

## შინააღიანი სისოსხნის მუშაობა



„ჩემი ცხოვრების 50 წლის განმავლობაში სიკეთის გარდა არაფერი გამიკეთებია...“

ამ გულწრფელი სიტყვების ავტორმა სიცოცხლის არც თუ პატარა მანძილი მართლაც რომ შინაარსიანად გაიარა და შემართებულად იბრძოდა სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის.

ალექსი ნესტორის ძე ტყეშელაშვილი, რომელსაც 50 წელი შეუსრულდა, შრომითი საქმიანობა ჯერ კიდევ 1940 წელს დაიწყო. მუშაობდა პიონერთა რაზმის უფროსი ხელმძღვანელის თანამდებობაზე, 1943 წელს კი საქართველოს კომპარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩიეს.

სამამულო ომის დროს ქალაქ ტყვარჩელის ახალგაზრდობა და კომკავშირელები

უდიდეს მუშაობას ეწეოდნენ ფრონტისათვის დახმარების აღმოსაჩენად — ამარაგებდნენ შავი ზღვის ფლოტს. ა. ტყეშელაშვილი სათავეში ედგა ინდუსტრიული ტყვარჩელის ახალგაზრდობას, აღვივებდა ენერგეტიკოსთა შრომით ენთუზიაზმს.

შემდგომში ა. ტყეშელაშვილი მუშაობდა ქვანახშირის მუშაკთა პროფკავშირის ტყვარჩელის რაიკომის თავმჯდომარედ, სწავლობდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს უმაღლეს დიპლომატიურ სკოლაში, მუშაობდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კონსულტანტად, ქლუხორის რაიონის სახალხო მოსამართლედ, სტაგროპოლის მხარის ქალაქ ჩერკასკის პროკურორის მოვალეობის შემსრულებლად და ყველგან სიყვარულსა და ავტორიტეტს იხვეჭდა. 1949 წლიდან იგი სათავეში ჩაუდგა აფხაზკავშირის იურიდიულ სამსახურს, სადაც დღემდე განაგრძობს აქტიურ და ნაყოფიერ მუშაობას.

ა. ტყეშელაშვილს პროპაგანდისტული მუშაობის 30 წლის სტაჟი აქვს. საქართველოს კომპარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტმა იგი სამჯერ დააჯილდოვა სიგელით სანიმუშო პროპაგანდისტული მუშაობისათვის. ნ. ტყეშელაშვილი საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის შტატგარეშე ლექტორია, სისტემატურად კითხულობს ლექციებს სამართლებრივ თემებზე. მისი ლექციები ყოველთვის საინტერესოა მსმენელთათვის.

ა. ნ. ტყეშელაშვილი საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ იურის-

კონსულტთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრია, აფხაზეთის ასსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ იურისკონსულტთა საზოგადოებრივი საბჭოს თავმჯდომარეა. დაჯილდოებულია სამი მედლით და საბჭოთა კოოპერაციის წარჩინებულის საპატიო ნიშნით.

ნ. ტყეშელაშვილს დაბადების 50-ე წლისთავი გულთბილად აღნიშნა ქ. სოხუმის საზოგადოებრივმა, იუბილარს საქართველოს ასრ იუსტიციის მინისტრმა მადლობა გადაუხადა იურიდიული სამსახურის განმტკიცებისა და სამართლებრივი პროპაგანდის საქმეში ხანგრძლივი, ნაყოფიერი მუშაობისათვის.

## ღამოქანს მახვილი\*

პროფ. მ. კვიციანი

### ნიურნბერგის პროცესის მონაწილის შთაბეჭდილებანი

#### შეხვედრა ტალდა...

არდადეგები რომ დამთავრდა და მთავარმა ბრალმძებლებმა შესავალი სიტყვა წარმოთქვეს, დაიწყო მტკიცებულებათა წარდგენა. საამისო წესი ზოგადად განმარტებული იყო ტრიბუნალის წესდებაში, ხოლო უფრო კონკრეტულად — მის დადგენილებებში. ამ წესის მიხედვით, ბრალმძებლებს უნდა წარედგინათ განსასჯელთა მიმართ წაყენებული ბრალდების დამამტკიცებელი საბუთები. ამასთან, მტკიცედ იყო დაცული ბრალდებულთა პროცესუალური გარანტიები. მათ უფლება ჰქონდათ, ისეთი ახსნა-განმარტება მიეცათ ტრიბუნალისათვის, რასაც ზაჭიროდ მიიჩნევდნენ. ყოველი მათგანი უფლებამოსილი იყო პირადად ან დამცველის საშუალებით წარედგინა დაცვის საბუთები, მიუთხოვა ბრალდების მიერ გამოძახებული მოწმის ჯვარედინი დაკითხვა და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ მოწმეების დაკითხვასა და წერილობით ჩვენებებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჭეშმარიტების დასადგენად, მთავარი მაინც ის დოკუმენტები იყო, მოსკოვიდან და კასელიდან რომ ჩამოიტანეს. მათი დამუშავება ნიურნბერგშიც გრძელდებოდა. ამ საქმეს ამერიკელი პოლიოფიცი სტორი ხელმძღვანელობდა. იგი პროცესზე გამოვიდა და განმარტა, თუ როგორ სდებოდა ეს. ჩვენ მაშინ გავევით, რომ კასელის დოკუმენტების დახარისხებასა და მტკიცებულებად მომზადებაზე მუშაობდნენ ამერიკელთა აპარატის მუშაკები. ისინი დამუშავებულ მასალებს ინგლისურ ენაზე შედგენილი ანოტაციებით, შეერთებული შტატების ბრალმძებელთა კოლეგიის დოკუმენტურ ცენტრში გზავნიდნენ. ყოველ დოკუმენტს ან ამონაწერს საკუთარი ნომერი ჰქონდა დასმული. ჩვეულებრივ, ხმარებაში იყო ასლები, დედნები კი სპეციალურ სეიფებში ინახებოდა. ასლებს თარგმნიდნენ და ამრავლებდნენ ოთხივე ოფიციალურ ენაზე. დამცველებს შეეძლოთ ყველა დოკუმენტის ასლის მიღება, საჭიროების შემთხვევაში კი — დედნების ნახვაც. ასლებს პრესის მუშაკებიც იღებდნენ და, საერთოდ, ყველა, ვინც ამის სურვალს განაცხადებდა...

... დოკუმენტების წარდგენის წესიც ტრიბუნალმა დაამტკიცა. ლოურენსმა განაცხადა:

— ტრიბუნალს ამ წესის საწინააღმდეგო არაფერი აქვს. მე ვფიქრობ, დაცვის მხარის დუმოლიც ამის ნიშანია. რაკი ასეა, წესი მიღებულად მიმაჩნია. გამადლობთ, ჟენტლმენებო!...

მეორე დღეს დოკუმენტურ მტკიცებულებათა წარდგენა პროცესზე ამერიკელმა ბრალმძებელმა უოლისმა დაიწყო. მან დასაწყისშივე განაცხადა:

— მტკიცებულებებმა, რასაც მე ასლა წარმოვადგენ, უნდა დაადასტურონ:

1. რომ ნაცისტურ პარტიას დასახული ჰქონდა განსაზღვრული ამოცანები და მიზნები, რაც უმთავრესად გამოიხატებოდა სხვისი ტერიტორიების დაპყრობაში, წმინდა რასის გერმანელთათვის სასიცოცხლო სივრცის მოსაპოვებლად;

2. რომ ამ მიზნის მისაღწევად მათ დასაშვებად მიაჩნდათ ყოველგვარი — კანონიერი თუ უკანონო მეთოდები;

3. რომ გამოყენებულ იქნა პროპაგანდის სხვადასხვა ხერხი ხელისუფლების უკანონოდ მისათვისებლად;

4. რომ პარტიამ მთლიანად მისაკუთრა მთავრობის ძალაუფლება;

5. რომ ეს ძალაუფლება გამოიყენა ოპოზიციის მოსასპობად და აგრესული ომებისათვის ერის ფსიქოლოგიურ მოამზადებლად.


ამ ხუთი დებულების დასადასტურებლად იმდენი საბუთი იქნა წარდგენილი, რომ ყველა ელოდა, როდის დაპყრავდა ლოურენსი მავიდაზე ხის ჩაქუჩს და იტყოდა:

— საკმარისია!...

... უოლისის შემდეგ ისევ ამერიკელი ბრალმძებელი ელვინ ჯონსი გამოვიდა და განაგრძო დოკუმენტების წარდგენა საბრალდებო აქტების ცალკეული მუხლების მიხედვით. ისიც ისე „ცურავდა“ დოკუმენტების ზღვაში, რომ თვითონვე განაცხადა:

— შეერთებული შტატების უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, აწ განსვენებული ოლივერ უენდელ ჰოლმსი საკუთარი გამოცდილების მიხედ-

\* გაგრძელება. დასაწყისი იხ. ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, 1972 წ. № 3, გვ. 58—67.



ვით ამბობდა, რომ „ისტორიის ერთი გვერდი ლო-  
გიკის მრავალ ტომს უდრის“. მანვე დაწერა, „კა-  
ნონი ემარტება რა ლოგიკას, არამედ გამოცდილე-  
ბასო“. მე ვამტკიცებ, რომ ამ შემთხვევაში ისტო-  
რიის ერთი გვერდი უდრის დოკუმენტურ მტკიცე-  
ბულებით მრავალ ტომს...

ჯონსი დიდხანს ადგენდა უტყუარ დოკუმენტებს,  
რაც უცილობლად ადასტურებდა ბრალდებულთა პერ-  
სონალურ მონაწილეობას ჩადენილ დანაშაულში...

... ამერიკელი ჯონსი ინგლისელმა ოლდერმანმა  
შეცვალა და ბრალდების საბუთად პიტლერის წიგნი  
„ჩემი ბრძოლა“ გამოიტანა.

— ბატონო მოსამართლენო, — თქვა მან, —  
ჩემი ვალა, ტრიბუნალის ყურადღება მივაპყრო  
დოკუმენტს, რომლის იდეები ბრალდებულთა რწმე-  
ნის სიმბოლოდ იქცა. მე მხედველობაში მაქვს პიტ-  
ლერის წიგნი „ჩემი ბრძოლა“, რომელმაც თავიდან-  
ვე გააცნო ბრალდებულებს ნაცისტის ხელმძღვანელებ-  
ის დანაშაულებრივი მიზნები. ამ წიგნს შეიძლება  
ნაცისტური აგრესიის ძირითადი გეგმა ეწოდოს...

„ჩემი ბრძოლა“ ნათლად გვიჩვენებს, რომ აგრე-  
სიული ომის გამოყენება დასახული მიზნების მისა-  
ღწევად ნაცისტური იდეოლოგიის ნაწილი იყო.  
დიდმა გერმანელმა ფილოსოფოსმა თქვა, „იდეები  
ხელები და ფეხები აქვთო“. ბრალდებულთა მიზანი  
სწორედ ის იყო, რომ „ჩემი ბრძოლის“ იდეები თა-  
ვიანთი საქმიანობისა და პოლიტიკის სახელმძღვა-  
ნელოდ ექცათ. ამ იდეებით და დოქტრინებით  
უტენიანდნენ ისინი თავს გერმანელებს. ამას ასწავლი-  
დნენ სკოლებში, უნივერსიტეტებში, ყველგან, სადაც  
კი ამის შესაძლებლობა იყო. ამ წიგნს საქორწინო  
საჩუქრად აძლევდნენ ახალგაზრდებს...

ბრალდებულმა ტრიბუნალს გადასცა „ჩემი ბრძო-  
ლის“ ერთი ეგზემპლარი წარწერით:

— ახალდაქორწინებულთ, ფრიდრიხ როზბერუკსა  
და ელზა ბეკს, ბედნიერი ქორწინების საუკეთესო  
სურვილებით.

გადაცემულია რაიონის ადმინისტრაციის მიერ,  
მათი დაქორწინების გამო, 1940 წლის 14 ნო-  
ემბერს. ქალაქის მერის მავიერად — რეგისტ-  
რატორი.

ამ წიგნმა მომზამა მთელი თაობის შენება და  
გახრწნა მთელი ხალხის მსოფლმხედველობა, —  
განაგრძო მან და ჯალათ ბახ-ზელევსკის მიერ ნიურნ-  
ბერგის პროცესზე თქმული ისტყვები გაიმეორა:

— ჩემი ბრძოლიდან ოსვენციმის ღუმელებსა და  
მაიდანეკის გაზამერებამდე პირდაპირი გზაა...

ბრალდებულმა მოიყვანა ციტატები ამ წიგნიდან,  
რაც სრულიად აშკარად გამოსატყავდა ნაცისტური  
პარტიის აგრესიულ ზრახვებს:

... რომ გერმანიამ ახალი ტერიტორიები იარაღით  
უნდა დაიპყროს;

... რომ ომის დროს მთავარია სწრაფი გადაწყ-  
ვეტილების მიღება;

... რომ ბრძოლის ყველაზე უმოწყალო მეთოდე-  
ბი, იმავე დროს ყველაზე ადამიანურია;

... რომ გერმანელებს, როგორც უმაღლესი რასის  
წარმომადგენლებს, უფლება აქვთ, იბატონონ სხვა რა-  
სებზე და გამოიყენონ ისინი საკუთარი მიზნებისა-  
თვის;

... რომ მშვიდობის პოლიტიკა სისუსტის გამომ-  
ხატველია და დამღუპველი;

... რომ საჭიროების შემთხვევაში სახნისი უნდა  
შეეცვალოთ მახვილით და ომით გამოწვეული ცრემ-  
ლებით მოვიპოვოთ მომავალ თაობათათვის პურო  
ჩვენი არსობისა.

... რომ ამ მიზნისათვის სრულიად არ არის საკ-  
მარისი 1914 წლის საზღვრების აღდგენა;

... რომ საჭიროა ახალი ტერიტორიების დაპყრო-  
ბა;

... რომ ეს ტერიტორიები თვით ევროპაშივე  
უნდა იქნეს მოპოვებული; უწინარეს ყოვლისა კი,  
რუსეთსა და მის მოსაზღვრე სახელმწიფოებში;

... რომ გერმანიის იმპერია ისევ უნდა დაადგეს  
ტექტონელი რაინდების გზას, რათა მახვილით დაი-  
პყროს მიწა სახნისისათვის;

... რომ გერმანიის იმპერიის პოლიტიკურმა ხელ-  
მძღვანელობამ მთელი თავისი მონდომება ამ მიზნის-  
კენ უნდა მიმართოს;

... რომ გერმანიამ მტკიცედ შეიგნოს: მიზნის მიღ-  
წევა მხოლოდ ომით შეიძლება;

... რომ ამ თვალსაზრისით უნდა შევავსოთ და-  
დებული ხელშეკრულებები;

... რომ Drangnach Osten-ისათვის საჭი-  
როა პოზიციების გამაგრება და იტალიის ჩამოშო-  
რება ინგლის-საფრანგეთის კავშირისაგან;

... რომ საფრანგეთის მიმართ თავდაცვითი პოლი-  
ტიკიდან უნდა გადავიდეთ შეტევით პოლიტიკაზე...

დასასრულ, ოლდერმანმა განაცხადა:

— განა იმის შემდეგ, რაც ეს წიგნი თავიანთ  
ბიბლიად გამოაცხადეს გერმანელმა ნაცისტებმა,  
სასაცილოდ არ არის გერინგის, რიბენტროპის, კაიტე-  
ლისა და სხვა სამხედრო დამნაშავეთა მტკიცება —  
ჩვენ არავფერი ეციოდით ომი თუ მზადდებოდით?  
ან რა ფასი აქვს მათ განცხადებას, თავდაცვისათვის  
ვიარადდებოდითო. ლოგიკას რა ჯამაზაობით შეიძ-  
ლება ეს შეუთავსდეს „მთელ დედამიწაზე საომარი  
მოქმედების სამხედრო გეგმის“ შედგენას?

ლია კარმების გასაღები...

ჩვენ ომი არ გვინდოდაო, მაინც ჯიუტად აცხა-  
დებდნენ მთავარი სამხედრო დამნაშავენი. დოკუმენ-  
ტები კი მათ წინააღმდეგ მეტყველებდნენ. ერთ-ერთ  
ასეთ დოკუმენტზე, ე. წ. ჰოსბახის ოქმზე მე უკვე  
გელაპარაკეთ. ამ მხრივ უფრო მრავალმეტყველი  
აღმოჩნდა მუუნდტის ჩანაწერები. ოლდერმანმა ამ  
ჩანაწერებს „გასაღები დოკუმენტი“ (Schlüsseldois-



ument) უწოდა. მართალია, იმ „საიდუმლოებას“ უკვე ღია კარები ჰქონდა, მაგრამ ეს „გასაღები“ მაინც კარგად მოერგო საქმეს.

— ეს ცნობა ისტორიული მნიშვნელობისაა, — სასწიომოდ განაცხადა ოლდერმანმა და მოსამართლეებს წინ დაუდო შმუნდტის მიერ სუფთად გადაწერილი ოქმი თათბირისა, რომელიც ესპანეთის ამბების დასასრულიდან 2 თვის შემდეგ, 1939 წლის 23 მაისს გაიმართა რაისკანცელარის შენობაში, ჰიტლერის კაბინეტში. ბრალდებულთაგან ამ თათბირს ესწრებოდნენ გერინგი, რედერი და კაიტელი. ჰიტლერმა თათბირზე განაცხადა, რომ საკითხი ეხება უცხო სახელმწიფოთა საზღვრებში შეჭრას და გერმანიისთვის სასიცოცხლო სივრცის მოპოვებას. ომის გარეშე ეს არ მოხდება, — დაუმატა მან — ჩვენ მივალწიეთ გერმანიის ეროვნულ-პოლიტიკურ გაერთიანებას, დანარჩენი კი, უმჯეველად, სისხლისღვრას გამოიწვევს...

ამის შემდეგ ჰიტლერი უფრო კონკრეტულ გეგმასზე გადავიდა.

— დანციგი არ არის მთავარი ობიექტი, — თქვა მან, — საქმე ეხება სასიცოცხლო ფართობის მოპოვებას აღმოსავლეთში. ამასთან, გამორიცხული არ არის კონფლიქტი დასავლეთის სახელმწიფოებთან, პირველ რიგში, ინგლისთან და საფრანგეთთან. ჩვენი გამარჯვება უზრუნველყოფილი იქნება, თუ შევძლებთ მათ გამოთიშვას თამაშიდან (!). ეს იქნება სამკვიდრო-სასიცოცხლო ომი. უკან დასახევი ყველა ზილი აფეთქებულ უნდა იქნეს, რადგან საქმე არა სამართლიანობასა და უსამართლობას, არამედ 80 მილიონი გერმანელის ყოფნა-არყოფნას ეხება.

ამის შემდეგ ჰიტლერი ომის ხანგრძლივობის საკითხს შეეხო:

— ყველა მეომარი სახელმწიფო მიისწრაფის, ომი რაც შეიძლება ხანმოკლე იყოს, — განაცხადა მან, — მაგრამ ამასთან, სახელმწიფოს მეთაურს არ შეუძლია ხანგრძლივი ომის თადარიგი არ დაიტვიროს. ჩვენც უნდა ვემზადოთ ხანგრძლივი, ათითმეტმეტწლიანი ომისათვის. საჭიროა დაფინანსოთ ჰოლანდია, ბელგია და გაგანადგურეთ საფრანგეთი. ამით ჩვენ შევქმნით ხელსაყრელ პირობებს ინგლისის დასაპყრობად, რადგან დრო მათ წინააღმდეგ იმუშავებს. რაც შეეხება ხელშეკრულებებს, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს...

... ამის შემდეგ მართლაც, სასაცილოა გერინგის, კაიტელის, რედერისა და სხვა სამხედრო ხელმძღვანელების განცხადება, აგრესიული ომის მომზადების შესახებ არაფერი ვიცოდითო. ან იოდლის მტკიცება ჰიტლერის ომის პრევენტიული ხასიათის შესახებ, ვითომ ჩვენ დავასწარით, თორემ საბჭოთა კავშირი აპირებდა თავდასხმასო...

ყველასათვის ცხადი გახდა ამგვარი მტკიცებების უმწიობა, მაგრამ სასამართლო პროცესს თავისი წესები აქვს და დოკუმენტების წარდგენა მაინც გრძელ-


დებოდა. დღე დღეს მისდევს, თვე-თვეს, დოკუმენტები კი მაინც ამოუწურავია. უკვე ტრიბუნალსაც ეკარგება მოთმინება. ლოურენსი უფრო ხშირად გადახანდა:

— მე მგონი, საკმარისია... ეს საკითხი ისედაც ნათელია...

ამის შემდეგ დოკუმენტებს მთლიანად კი არ კითხულობენ, არამედ მხოლოდ ცალკეულ ადგილებს. დრო კი მაინც მიდის... ნასესხები დრო! ბრალდება ცდილობს მის შემცირებას, დაცვა — პირიქით... ყველაზე მეტად ჯეკსონი ნერვიულობს. ტრიბუნალის წევრები ამტყარებენ...

თავმჯდომარე ლოურენსიც კი ვერ უსმენს, თვალს მის პირდაპირ მჯდომი ლამაზი ამერიკელი სტენოგრაფისტი ჯალისაკენ აპარებს. მერე ბარათიც გააცოცა მისკენ. ეს მოსამართლე ბილდმა შენიშნა და გაიგო კიდევ რა ეწერა იმ ბარათში: „რას აკეთებთ? თქვენც ისე მოწყენილი ხართ, როგორც ჩვენ?“ შემდეგ ყოველივე ეს ბილდის მემშარებში მოხვდა და საქვეყნოდ ცნობილი გახდა...

პროცესზე კი ისევ დოკუმენტები... მოწივები... ბრალმდებლები ბრალს სდებენ. დამცველები იცავენ, რადაცას ამტკიცებენ, რადაცას უარყოფენ... საკითხი კი გარკვეულია... ყველაფერი ცხადია... მაგრამ მაინც საბუთები... საბუთები... საიდუმლო ბრძანებები... ოქმები... დღიურები... ჩანაწერები... ბრალდების ყოველ მუხლს უამრავი საბუთი ერთვის. ეს მართლმსაჯულების უზარმაზარი საათის მონოტონურ დარტყმებს ჰგავს. იციან: ყოველი დარტყმა ჭრილობას აყენებს, უკანასკნელი კი ჰკლავს, მაგრამ ის „უკანასკნელი“ არსად ჩანს და ისევ გაისმის დოკუმენტების ღაღადი: აქ ამდენი მოკლეს, იქ იმდენი... ამ საკონცენტრაციო ბანაკში ამდენი დაიღუპა... იქ იმდენი... სულ ციფრები... იმდენი ციფრები, რომ უკვე ყური ეჩვენება, გონება ჩლუნგდება... ინტერესი იკარგება... არც არავის უვირს რამე — არც ძუძუმწოვარა ბავშვების ქლექტა, არც კანის გაძრობა, არც ცოცხლად მიწაში ჩამარხვა... არც სიკვდილის ხანგრძლივობა... არაფერი... მხოლოდ ციფრები... აქ ამდენი ათასი მოკლეს, იქ ამდენი მილიონი... მხოლოდ ათასი ტონა ქალისა და ბავშვის თმები ლიბებების გასაკეთებლად, ამდენი ტონა საპონი აღამაინის ცხიმისაგან... ამდენი ტონა ფერფლი მიწის გასანოყიერებლად... ამდენი ათასი ოქროს კბილი, ბეჭედი... ყველაფერი ადრიცხული, გაანგარიშებული, შეფასებული... ტრიბუნალზე კი ამერიკელ ბრალმდებელს ინგლისელი ცვლის, ინგლისელს რუსი, რუსს — ფრანგი. წინ ყველას მუყაოს უზარმაზარი ჩანთა უდევს და... ისევ დოკუმენტები... დოკუმენტები... დილის სხდომას საღამოს სხდომა მოჰყვება, ერთ დღეს — მეორე, მეორეს — მესამე... გადის რამდენიმე კვირა... თვე... დოკუმენტები, ისევ დოკუმენტები... აღმაინობისა ისტორიის შემარცხენელი დოკუმენტები და...



— საკმარისია, საკმარისი!.. მეტი ვეღარ აიტანა ლორენსმა და ისე მაგრა დაჰკრა ჩაქური მაგიდას, რომ დარბაზში თითქოს ის „უკანასკნელი დარტყმა“ გაისმა, „რომელიც კლავს“...

**ჩიჭიტელის ტრაგედია**

ლოკუმენტების წარდგენა რომ დამთავრდა. ბრალდებისა და დაცვის მხარე მოწმეების დაკითხვას შეუდგა. სპეციალურ პულტთან მოუხმობდნენ ყოფილ ფელდმარშლებს, გენერლებს, მინისტრებს, ესუისა და სხვა დამსჯელი ორგანიზაციის ხელმძღვანელებს. საკონცენტრაციო ბანაკების კომენდანტებს. ზედამხედველებსა და მათ ტუსალებს. ამ მხრივ უფრო მეტ ტულმოღვივნებას დამცველები იჩენდნენ. მოწმეებიდან 33 ბრალდების მიერ იყო გამოძახებული, 61 — დაცვისა.

ზოგჯერ ისე ხდებოდა, რომ დაცვის მიერ გამოძახებული მოწმე ჯვარედინ დაკითხვაზე ისეთ ჩვენებას იძლეოდა, ფაქტიურად ბრალდების მოწმედ თქცოდა ხოლმე. დაკითხვის წინ ყოველი მათგანი დებდა ფიცს იმ ფორმით, როგორც მის ქვეყანაში იყო მიღებული:

— ვფიცავ ყოვლისმხილველსა და ყოვლისმმოსავ ღმერთს, რომ ვიტყვი სიმართლეს, მხოლოდ სიმართლეს და სხვას არაფერს, გარდა სიმართლისა. ღმერთი იყოს ჩემი მფარველი...

ამგვარი ფიცი, რა თქმა უნდა, შეუფერებელი იყო საბჭოთა მოწმეებისათვის, ამიტომ მათთვის ასეთი ტექსტი იქნა შემუშავებული:

— მე, საბჭოთა კავშირის მოქალაქე, გამოძახებული მოწმედ ამ საქმის გამო, საზღიომოდ ვდებ პირობას და ვფიცავ მაღალი სამსჯავროს წინაშე, ვთქვა ყველაფერი, რაც ვიცი, ისე, რომ არაფერი არ მოუუმატო და არაფერი არ დავფარო...

... მოწმეთა შორისაც იყვნენ „რესპექტაბელური“ და „განგსტერული“ რეპუტაციის მქონე პირები. ტრიბუნალისათვის ერთიც საინტერესო იყო და მეორეც, თუმცა ის „რესპექტაბელური ჯენტლმენები“ დაკითხვის შემდეგ არცთუ ისე განირჩეოდნენ „განგსტერებისაგან“. პირაქით, უფრო დიდნი და მამულებური ჩანდნენ ბოროტებაში. აი, თუნდაც აჰაყი, ზანში შესული, მაგრამ მხედრულად გამართული ფელდმარშალი ალბერტ კესელრინგი. იგი ისე შემოვიდა დარბაზში, გვერნებოდათ, თავისი შტაბის გენერლების თათბირი უნდა ჩაატაროსო. იქ მყოფთაგან არაფერი იყო ისეთი, რომ მშვენიერად არ სცნოდნოდა კესელრინგის საავიაციო შენაერთების ბარბაროსული მოქმედება: პოლონეთის უმოწყალო დაბომბვა, ვარშავის მოსპობა, ჩენი მოკავშირეების მშვიდობიანი ქალაქების დანგრევა, წინასწარ გაუფრთხილებელი თავდასხმები საბჭოთა კავშირის სამრეწველო ცენტრებზე ომის პირველ დღეს... ე. წ. „როტერდამის ტრაგედია“, რამაც მთელი კულტურული

კაცობრიობა შეაძრწუნა. ის კი, ვითომ არაფერი, თვალზე მონოკლს ისწორებს და წარბმუხრულად იმეორებს წინასწარ დაკითხვაზე ნათქვამ სიტყვებს:

— მე ვთქვი, რომ მკაცრ ზომებს მივყევართ მიზნის მიღწევისაკენ...

შემდეგ ინგლისელი ბრალმდებელი მაქსეულ-ფაიფი შეუდგა იმის დახუსტებას, თუ რას ნიშნავს ეს „მკაცრი ზომები“. კესელრინგი, რა თქმა უნდა, ყველაფერს ტაქტიკური მოსაზრებით ამართლებდა, მაგრამ ბრალმდებელი არ მოეშვა და საკითხი ისევ როტერდამის დაბომბვას დაუკავშირა. მან კესელრინგს ჯერ „აუსხსნა“, ხოლო შემდეგ თვითონაც აღიარებინა, როგორ მოხდა ეს:

დილით, თერთმეტის ნახევარზე, დაიწყო მოლაპარაკება პოლანდიის კაპიტულაციასზე. 12 საათსა და 15 წუთზე პოლანდიელი ოფიცერი ბეკერი გაემართა გერმანელების ფრონტის საზღვრს, შესვლა გენერლებს შმიდტსა და შტუდენტს, რომელთაც გააცენეს კაპიტულაციის პირობები. პასუხისათვის დროც მისცეს 16 საათსა და 20 წუთამდე, მაგრამ გერმანელებმა არ მოუცადეს ამას და 55 წუთის შემდეგ ბარბაროსულად დაბომბეს როტერდამი. ეს იმდენად საზარელი ფაქტი იყო, რომ გენერალმა შტუდენტმა ჯერ უარი განაცხადა ამ ბრძანების შესრულებაზე, მერე, ეს შემხარავი ფაქტი რომ მაინც მოხდა, ბოდიში მოიხადა პოლანდიელი სარდლის წინაშე. კესელრინგი კი გაჯგიმული იდგა მოწმის პულტთან, ოფლს იწმენდა და იმის ნაცვლად, რომ გერინგის ავიაციის პირატული მოქმედება რითიმე გამართლებინა, ბრაზობდა, „რატომ არაფერს მიჯერებენო“.

— ჩემი თუ არც ფიცის გჯერათ და არც პატიოსნების, რაღას მეკითხებით?! — თქვა მან.

თავის მხრივ გერინგიც დღეავდა, რა ეშმაკად უნდოდა დამცველ შტამერს ამ „ყყყეჩი ფელდმარშლის“ გამოძახება მოწმედ.

მერე პოლონეთის საკითხზე „აბუთთავენს“ ამაცხი ფელდმარშალი. პოლიტიკური ტერორისა და არასამხედრო ტაქტიკური მოსაზრებით რომ დაბომბეს დილის ხუთ საათზე ქალაქები, სადაც არავითარი სამხედრო ობიექტები არ ეგულებოდათ. მიზანი აქაც იგივე იყო: წინააღმდეგობის სულისკვეთების გატეხვა...

... კესელრინგს მესხიერება სწორედ მაშინ „დელატობდა“, როცა ეს ხელსაყრელად მიაჩნდა. იგი ფრონტის სარდალი იყო, კაიტელის ბრძანება რომ მიიღო პარტიზანების წინააღმდეგ „უსასტიკესი ზომების მიღების“ შესახებ. ბრძანებაში ეწერა, რომ ამ ბრძოლას არავითარი კავშირი არა აქვს ჯარისკაცის ღირსებასა და ჟენევის კონვენციასთან და რომ რეპრესიები უნდა გავრცელდეს ქალებსა და ბავშვებზეც.



# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დაცვის შესახებ საქართველოს სსრ კანონის სამოქმედო შემოღების წესის თარგამი

## ბ რ ძ ე ნ ე ბ უ რ ე ბ ე

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

#### ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს სსრ კანონის სამოქმედო შემოღების წესის თარგამი

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს სსრ კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1972 წლის 15 ივნისის დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. საქართველოს სსრკანო ნმდებლობაში ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს სსრ კანონის შესაბამისად ცვლილებათა შეტანამდე მოქმედებენ საქართველოს სსრ კანონმდებლობის ის აქტები, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან აღნიშნულ კანონს.

2. ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს სსრ კანონს იყენებენ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის დარგში იმ სამართლებრივ ურთიერთობათა მიმართ, რომლებიც წარმოიშობა კანონის სამოქმედოდ შემოღების შემდეგ, ე. ი. 1972 წლის 1 სექტემბრის შემდეგ წარმოქმნილი უფლებები და მოვალეობები გა-

ნისაზღვრება აღნიშნული კანონის შესაბამისად.

3. ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს სსრ კანონით გათვალისწინებული წესი ადრე დადგენილი იყო ჯანმრთელობის დაცვის შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლებით, იგი გამოყენებულ უნდა იქნეს საფუძვლების შესაბამისი წესის სამოქმედოდ შემოღების მომენტიდან.

4. ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს სსრ კანონის მე-13 მუხლის პირველი ნაწილის წესი სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებსაც არ მიუღიათ სპეციალური მომზადება და წოდება სსრ კავშირის შესაბამის საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში, მაგრამ 1972 წლის 1 ოქტომბრამდე დაშვებული არიან სამედიცინო ან ფარმაცევტული საქმიანობისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე**  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვპაძე**

თბილისი. 1972 წლის 29 ივნისი.  
№ 280 — VIII


## ბ რ ძ ე ნ ე ბ უ რ ე ბ ე

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

#### საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 169-ე მუხლში დამატებათა შემტანის შესახებ

შეტანილ იქნეს დამატებანი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 169-ე მუხლში და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 169. მყიდველთა და დამკვეთთა მოტყუება  
ზომაში, წონაში, ანგარიშში მოტყუება ან დადგენილ საცალო ფასებზე, აგრეთვე საყო-



ფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების ფასებზე და ტარიფებზე მეტის გადახდევინება, ანდა სხვაგვარი მოტყუება მყიდველების და დამკვეთებისა მაღაზიასა თუ სხვა სავაჭრო საწარმოში ან საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კომუნალური მეურნეობის საწარმოებში, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან სავაჭრო თუ საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო მომსახურების და კომუნალური მეურნეობის საწარმოებში თანამდებობათა დაკავების უფლების ჩამორთმევით,

იგივე ქმედობა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ ან დიდი ოდენობით ან იმ პირთა მიერ, რომლებიც ადრე მსჯავრდებული იყვნენ ასეთივე დანაშაულისათვის, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან შვიდ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ, სავაჭრო, საზოგადოებრივი კვების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების და კომუნალური მეურნეობის საწარმოებში თანამდებობათა დაკავების უფლების ჩამორთმევით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე**  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭავაძე**

თბილისი. 1972 წლის 29 ივნისი.  
№ 281 — VIII

## ბ რ ძ ე ნ ე ბ უ რ ე ბ ე

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

„ნარკომანების და გამოუსწორებალი ლოთების (ალკოჰოლიკების) იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდა-გარდაქმნის შესახებ“  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 18 დეკემბრის ბრძანებულების მიხედვით

„ნარკომანებისა და გამოუსწორებელი ლოთების (ალკოჰოლიკების) იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდა-გარდაქმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 18 დეკემბრის ბრძანებულების (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1965., № 30, მუხ. 628) მეორე მუხლში შეტანილ იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგი რედაქციით:

„2. ამ ბრძანებულების პირველ მუხლში აღნიშნული პირები გაგზავნილ უნდა იქნენ სპეციალურად მოწყობილ სამკურნალო-შრომით

დაწესებულებებში იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდა-გარდაქმნისათვის, მათ განკურნებამდე, მაგრამ არანაკლებ ერთი წლის ვადით.

სამკურნალო-შრომით დაწესებულებაში მყოფი პირი, სამკურნალო-შრომითი დაწესებულების ადმინისტრაციის წარდგინებით, ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება ვადაზე ადრე გათავისუფლდეს იძულებითი მკურნალობისაგან, თუ არსებობს სათანადო კომისიის სამედიცინო დასკვნა იმის შესახებ, რომ ეს პირი განიკურნა“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე**  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭავაძე**

თბილისი. 1972 წლის 29 ივნისი.  
№ 282 — VIII

# ბ რ ძ ე ნ ე ბ უ დ ე ბ ე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## ღმრთიანსა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაქლიერების ღონისძიებებთა შესახებ

თანამედროვე პირობებში, როდესაც საბჭოთა ხალხი წარმატებით ახორციელებს კომუნისტური მშენებლობის ამოცანებს, ლოთობა სულ უფრო მეტად დაუშვებელი ხდება.

ლოთობა ზიანს აყენებს მშრომელთა ჯანმრთელობას, არცთუ იშვიათად იწვევს ოჯახის დაგრევას, დამღუპველ გავლენას ახდენს ბავშვების აღზრდაზე. ალკოჰოლის ზეგავლენით ადამიანები კარგავენ პასუხისმგებლობის გრძნობას საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე, ჩადიან ხულიგნობას და სხვა დანაშაულს, ლოთობა ზიანს აყენებს წარმოებას, ხელს უწყობს, გაცდენებს და შრომის დისციპლინის სხვა დარღვევებს, იწვევს ავარიებსა და ადამიანთა დაღუპვას.

მშრომელები სამართლიანად მოითხოვენ ლოთობის აღმოსაფხვრელად უფრო ეფექტური ზომების განხორციელებას, შეურიგებელი და მოკიდებულელების შექმნას ლოთობის ყოველგვარ გამოვლენასთან.

ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაქლიერების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

### 1. პასუხისმგებლობა საზოგადოებრივ ადგილებში სპირტიანი სასმელების სმისა და მთვრალ მდგომარეობაში ყოფნისათვის

1. სპირტიანი სასმელების სმა ქუჩებში, ეზოებსა და სადარბაზოებში, სტადიონებზე, სკვერებში, პარკებსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში — გარდა საზოგადოებრივი კვების და ვაჭრობის საწარმოებისა, სადაც სპირტიანი სასმელების ჩამოსმით გაყიდვა ნებადართულია მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ — აგრეთვე საზოგადოებრივ ადგილას მთვრალ, ადამიანის ღირსებისა და საზოგადოებრივი ზნეობის შეურაცხყოფელ მდგომარეობაში ყოფნა გამოიწვევს ჯარიმას სამიდან ათ მანეთამდე.

იგივე ქმედობა, განმეორებით ჩაოჩინილი ერთ

თი წლის განმავლობაში დღიდან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ღონისძიების გამოყენებისა, გამოიწვევს ჯარიმას ათიდან ოცდაათ მანეთამდე.

ჯარიმას ადებს მილიციის ორგანოს უფროსი ან მისი მოადგილე.


მილიციის ორგანო ვალდებულია დაჯარიმების შესახებ აცნობოს ადმინისტრაციას ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას, სადაც მუშაობს, სწავლობს ან ცხოვრობს დამრღვევი.

2. მილიციის ორგანოებს უფლება აქვთ საზოგადოებრივ ადგილებში სპირტიანი სასმელების სმისა და მთვრალ მდგომარეობაში ყოფნისათვის დაჯარიმების ნაცვლად, ვაფრთხილოს დამრღვევი, ანდა სათანადო მასალა განსახილველად გადაუგზავნოს საზოგადოებრივ ორგანიზაციას, მშრომელთა კოლექტივს, ან ამხანაგურ სასამართლოს, სადაც მუშაობს, სწავლობს ან ცხოვრობს დამრღვევი.

2. მილიციის ორგანოებს უფლება აქვთ საზოგადოებრივ ადგილებში სპირტიანი სასმელების სმისა და მთვრალ მდგომარეობაში ყოფნისათვის დაჯარიმების ნაცვლად, ვაფრთხილოს დამრღვევი, ანდა სათანადო მასალა განსახილველად გადაუგზავნოს საზოგადოებრივ ორგანიზაციას, მშრომელთა კოლექტივს, ან ამხანაგურ სასამართლოს, სადაც მუშაობს, სწავლობს ან ცხოვრობს დამრღვევი.

3. დაწესდეს, რომ წარმოების, დაწესებულების და ორგანიზაციის ადმინისტრაციას შეუძლია პროფკავშირების საფარბიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტებთან შეთანხმებით მთლიანად ან ნაწილობრივ მოუხსნას პრემია იმ პირს, რომლის მიმართ ერთი წლის განმავლობაში არაერთხელ იყო გამოყენებული ლოთობისათვის ადმინისტრაციული ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებანი. ამ პირს შეიძლება არ მისცენ დასასვენებელი სახლების და სანატორიუმების შეღავათიანი საგზურები, გადაუწიონ საცხოვრებელი ფართობის მიღების რიგი.

ასეთივე ღონისძიებები შეიძლება გამოყენ-



# ბ რ ძ ე ნ ე ბ უ ლ ე ბ ე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## ღმთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაქლიერების ღონისძიებათა შესახებ

თანამედროვე პირობებში, როდესაც საბჭოთა ხალხი წარმატებით ახორციელებს კომუნისტური მშენებლობის ამოცანებს, ლოთობა სულ უფრო მეტად დაუშვებელი ხდება.

ლოთობა ზიანს აყენებს მშრომელთა ჯანმრთელობას, არცთუ იშვიათად იწვევს ოჯახის დაზარეულს, დამლუბველ გავლენას ახდენს ბავშვების აღზრდაზე. ალკოჰოლის ზეგავლენით ადამიანები კარგავენ პასუხისმგებლობის გრძობას საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე, ჩადიან ხულიგნობას და სხვა დანაშაულს, ლოთობა ზიანს აყენებს წარმოებას, ხელს უწყობს, გაცდენებს და შრომის დისციპლინის სხვა დარღვევებს, იწვევს ავარიებსა და ადამიანთა დაღუპვას.

მშრომელები სამართლიანად მოითხოვენ ლოთობის აღმოსაფხვრელად უფრო ეფექტური ზომების განხორციელებას, შეუირვებელი დამოკიდებულების შექმნას ლოთობის ყოველგვარ გამოვლენასთან.

ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

### 1. პასუხისმგებლობა საზოგადოებრივ ადგილებში სპირტიანი სასმელების სმისა და მთვრალ მდგომარეობაში ყოფნისათვის

1. სპირტიანი სასმელების სმა ქუჩებში, ეზოებსა და სადარბაზოებში, სტადიონებზე, სკვერებში, პარკებსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში — გარდა საზოგადოებრივი კვების და ვაჭრობის საწარმოებისა, სადაც სპირტიანი სასმელების ჩამოსხმით გაყიდვა ნებადართულია მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ — აგრეთვე საზოგადოებრივ ადგილას მთვრალ, ადამიანის ღირსებისა და საზოგადოებრივი ზნეობის შეურაცხყოფელ მდგომარეობაში ყოფნა გამოიწვევს ჯარიმას სამიდან ათ მანეთამდე. იგივე ქმედობა, განმეორებით ჩაოჩნილი ერთი წლის განმავლობაში დღიდან აღმინისტრაციული პასუხისმგებლობის ღონისძიების გამოყენებისა, გამოიწვევს ჯარიმას ათიდან ოცდაათ მანეთამდე.

თი წლის განმავლობაში დღიდან აღმინისტრაციული პასუხისმგებლობის ღონისძიების გამოყენებისა, გამოიწვევს ჯარიმას ათიდან ოცდაათ მანეთამდე.


ჯარიმას ადებს მილიციის ორგანოს უფროსი ან მისი მოადგილე.

მილიციის ორგანო ვალდებულია დაჯარიმების შესახებ აცნობოს აღმინისტრაციას ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას, სადაც მუშაობს, სწავლობს ან ცხოვრობს დამრღვევი.

2. მილიციის ორგანოებს უფლება აქვთ საზოგადოებრივ ადგილებში სპირტიანი სასმელების სმისა და მთვრალ მდგომარეობაში ყოფნისათვის დაჯარიმების ნაცვლად, გააფრთხილოს დამრღვევი, ანდა სათანადო მასალა განსახილველად გადაუგზავნოს საზოგადოებრივ ორგანიზაციას, მშრომელთა კოლექტივს, ან ამხანაგურ სასამართლოს, სადაც მუშაობს, სწავლობს ან ცხოვრობს დამრღვევი.

2. მილიციის ორგანოებს უფლება აქვთ საზოგადოებრივ ადგილებში სპირტიანი სასმელების სმისა და მთვრალ მდგომარეობაში ყოფნისათვის დაჯარიმების ნაცვლად, გააფრთხილოს დამრღვევი, ანდა სათანადო მასალა განსახილველად გადაუგზავნოს საზოგადოებრივ ორგანიზაციას, მშრომელთა კოლექტივს, ან ამხანაგურ სასამართლოს, სადაც მუშაობს, სწავლობს ან ცხოვრობს დამრღვევი.

3. დაწესდეს, რომ წარმოების, დაწესებულების და ორგანიზაციის აღმინისტრაციას შეუძლია პროკავშირების საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტებთან შეთანხმებით მთლიანად ან ნაწილობრივ მოუხსნას პრემია იმ პირს, რომლის მიმართ ერთი წლის განმავლობაში არაერთხელ იყო გამოყენებული ლოთობისათვის აღმინისტრაციული ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებანი. ამ პირს შეიძლება არ მისცენ დასასვენებელი სახლები და სანატორიუმების შეღავათიანი საგზურები, გადაუწიონ საცხოვრებელი ფართობის მიღების რიგი. ასეთივე ღონისძიებები შეიძლება გამოყენ-



ბულ იქნეს იმ პირის მიმართ, რომელიც სამუშაოზე არაერთხელ გამოცხადდა მთვრალ მდგომარეობაში, ან რომელიც სამუშაოზე სვამს სპირტიან სასმელებს.

ბრიგადირებს, ოსტატებს, უბნების, სააქროების, ცვლების უფროსებს, თუ ისინი დაუშვებენ მათდამი დაქვემდებარებულ მუშაკთა მიერ სპირტიანი სასმელების წარმოებაში სმას, აგრეთვე, თუ არ მიიღებენ ზომებს მთვრალი პირების სამუშაოდან გადაყენებისათვის, დეკისრებათ დისციპლინური პასუხისმგებლობა, ხოლო იმ შემთხვევაში — კი, რომლებიც კანონითაა გათვალისწინებული — სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

4. იმ პირს, რომელიც ქუჩაში და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში ძალიან მთვრალი იყოფება, ათავსებენ სამედიცინო გამოსაფხიზლებელში, ამასთან გამოსაფხიზლებელში ყოფნისათვის მას გადახდება საფასური დადგენილი ოდენობით.

**2. პასუხისმგებლობა ლითობაში არასრულწლოვანთა ჩათრევისათვის**

5. მშობლების ან სხვა პირთა მიერ არასრულწლოვანის დატოვება, თუ ასეთი ქმედობა სისხლის სამართლის წესით არ ისჯება, — გამოიწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ჯარიმის სახით ოცდაათ მანეთამდე, რასაც არასრულწლოვანთა მშობლებს ან მათ შემცველ პირთ დაადებს არასრულწლოვანთა საქმეების კომისია, ხოლო სხვა პირთ-მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ადმინისტრაციული კომისია.

იგივე ქმედობა, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელზედაც არასრულწლოვანი სამსახურებრივად არის დამოკიდებული, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე, ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, ან ჯარიმით ორმოცდაათ მანეთამდე.

არასრულწლოვანის ლითობაში ჩათრევა, ესე იგი ზემოაღნიშნული ქმედობა, ჩადენილი სისტემატურად — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

6. საზოგადოებრივ ადგილებში 16 წლამდე ასაკის მოზარდთა მთვრალ მდგომარეობაში ყოფნა, აგრეთვე მათ მიერ სპირტიანი სასმელების სმა — გამოიწვევს ჯარიმას სამიდან ათ მანეთამდე, რასაც დააკისრებენ მშობლებს ან მათ შემცველ პირთა მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები.

7. აიკრძალოს არასრულწლოვან პირთა მიღე-

ბა ისეთ სამუშაოზე, რომელიც დაკავშირებულია სპირტიანი სასმელებით ვაჭრობასთან, მათ წარმოებასთან ან შენახვასთან.

**3. პასუხისმგებლობა სპირტიანი სასმელებით ვაჭრობის წესების დარღვევისათვის**

8. სავაჭრო საწარმოების მუშაკთა მიერ არაყოფი და სხვა სპირტიან სასმელებით ვაჭრობის წესების დარღვევა გამოიწვევს ჯარიმას ათიდან ოცდახუთ მანეთამდე ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებათა გამოყენებას. ჯარიმას ადებს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ადმინისტრაციული კომისია.

იგივე ქმედობა, განმეორებით ჩადენილია ერთი წლის განმავლობაში, დაჯარიმების ან ადმინისტრაციული თუ საზოგადოებრივი ზემოქმედების სხვა ღონისძიებათა შეფარდების შემდეგ, — ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმით ორმოცდაათიდან ას მანეთამდე, სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში მუშაობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამიდან ხუთ წლამდე ან უამისოდ.


9. მოქალაქეთა მიერ არაყისა და სხვა სპირტიანი სასმელების შესყიდვა და ზედმეტ ფასებში გაყიდვა ისჯება მოქმედი კანონმდებლობით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სპეკულაციისათვის.

**4. პასუხისმგებლობა შინ გამოხდილი მაგარი სპირტიანი სასმელების დამზადების, გასაღებისა და შექმნისათვის**

10. არაყის გამოხდა ხორბლელ-მარცვლელთაგან ან საკვები პროდუქტებისაგან, გასაღების მიზნის გარეშე, — ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმით ორმოცდაათ მანეთამდე, არაყისა და მისი გამოსახდელი მოწყობილობის კონფისკაციით.

იგივე ქმედობა, ჩადენილი განმეორებით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, არაყისა და მისი გამოსახდელი მოწყობილობის კონფისკაციით.

11. არაყის გამოხდა ხორბლელ-მარცვლელთაგან ან საკვები პროდუქტებისაგან, გასაღების მიზნით, აგრეთვე ამ არაყის გასაღება — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე არაყისა და მისი გამოსახდელი მოწყობილობის კონფისკაციით.



იგივე ქმედობა, ჩადენილი განმეორებით, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე არაყისა და მისი გამოსახდელი მოწყობილობის კონფისკაციით.

12. გასაღების მიზნით არაყის გამოხდა ჭაჭისაგან, ღვინის ლექისაგან, ხილისაგან და ველური მცენარეების ნაყოფისაგან, აგრეთვე ამ არაყის გასაღება, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე არაყისა და მისი გამოსახდელი მოწყობილობის კონფისკაციით.

იგივე ქმედობა, ჩადენილი განმეორებით, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე, არაყისა და მისი გამოსახდელი მოწყობილობის კონფისკაციით.

ის პირი, რომელიც ხელს შეუწყობს მაგარი სპირტიანი სამელების შინ გამოხდას (ბინით, მოწყობილობით, სატრანსპორტო საშუალებებით, სორობლულ-მარკველულით და სხვ.) მიცემულ იქნება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში, როგორც თანამონაწილე.

13. შინ გამოხდილი მაგარი სპირტიანი სასმელების შექენაში მხილებული პირი დაჯარიმდება ათიდან ორმოცდაათ მანეთამდე ან მასალებში მის შესახებ განსახილველად გადაეცემა საზოგადოებრივ ორგანიზაციას, მშრომელთა კოლექტივს ან ამხანაგურ სასამართლოს დამრღვევის მუშაობის, სწავლის ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ჯარიმას ადებს მშრომელთა დეპუტატების სასიფლო, სადაბო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ან მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ადმინისტრაციული კომისია.

**5. პასუხისმგებლობა სატრანსპორტო საშუალებათა ნასვამ მდგომარეობაში მართვისათვის**

14. სატრანსპორტო საშუალებების — ავტომოტორტრანსპორტის, საქალაქო ელექტროტრანსპორტის, ტრაქტორის ან სხვა თვითმავალი მანქანის მძღოლი სატრანსპორტო საშუალებათა მართვისათვის ნასვამ მდგომარეობაში, სიმთვარლის ხარისხის მიუხედავად, დაჯარიმდება ათიდან ოცდაათ მანეთამდე, ორ წლამდე ვადით სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევით.

მართვის უფლების ჩამორთმევის ვადის გავლიდან ხუთი წლის განმავლობაში სატრანსპორტო საშუალებათა განმეორებით მართვა ნასვამ მდგომარეობაში, სიმთვარის ხარისხის მიუხედავად, — გამოიწვევს ჯარიმას ათიდან ორმოცდაათ მანეთამდე, სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

აღნიშნულ სასჯელს ადებს სახელმწიფო ავტონსპექციის განყოფილება (ქვეგანყოფილება) ან მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილება.

თუ ის პირი, რომელსაც ადმინისტრაციული წესით ჩამორთმეული აქვს სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება, უფლებას ჩამორთმევის შემდგომ შრომას კეთილსინდისიერად ეკიდება და სანიმუშო ყოფაქცევას იჩენს, ორგანოებს, რომლებმაც მიიღეს გადაწყვეტილება მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ, შეუძლიათ დადგენილი ვადის არანაკლებ ნახევრის გასვლის შემდეგ, საწარმოთა და დაწესებულებათა ადმინისტრაციის ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების შუამდგომლობით შეუმცირონ მას მართვის უფლების ჩამორთმევის ვადა დარჩენილი დროის ოდენობით.

15. ავტომოტორტრანსპორტის ან საქალაქო ელექტროტრანსპორტის, ტრაქტორის ან სხვა თვითმავალი მანქანის ნასვამ მდგომარეობაში მართვა იმ პირის მიერ, რომელსაც ასეთი დარღვევისათვის ჩამორთმეული აქვს სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით ან ჯარიმით ას მანეთამდე, სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევით ვადით ხუთ წლამდე.

16. ავტომოტორტრანსპორტის ან საქალაქო ელექტროტრანსპორტის, ტრაქტორის ან სხვა თვითმავალი მანქანის ნასვამ მდგომარეობაში მართვა იმ პირის მიერ, რომელსაც არა აქვს მართვის უფლება, მიუხედავად სიმთვარლის ხარისხისა — გამოიწვევს ჯარიმას ორმოცდაათ მანეთამდე. ჯარიმას ადებს სახელმწიფო ავტონსპექციის განყოფილება (ქვეგანყოფილება) ან მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილება.

იგივე ქმედობა, ჩადენილი განმეორებით ერთი წლის განმავლობაში, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით ან ჯარიმით ას მანეთამდე.

**6. იმ პირთა იძულებითი მკურნალობა, რომლებიც ბოროტად იყენებენ სპირტიან სასმელებს**

17. ქრონიკული ალკოჰოლი, რომელიც საზოგადოებრივი ან ადმინისტრაციული შემოქმედების ზომების მიუხედავად თავს არიდებს ნებაყოფლობით მკურნალობას ან მკურნალობის შემდეგ განაგრძობს ლოთობას, არღვევს შრო-

მის დისციპლინას, საზოგადოებრივ წესრიგს და სოციალისტური თანაცხოვრების წესებს, — იგზავნება სამკურნალო-შრომით პროფილაქტორიუმში იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდისათვის განკურნებამდე, მაგრამ არა ნაკლებ ერთი წლის ვადით.

აღნიშნული პირის სამკურნალო-შრომით პროფილაქტორიუმში გაგზავნის საკითხს, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მშრომელთა კოლექტივების ან სახელმწიფო ორგანოების შუამდგომლობით, სამედიცინო დასკვნის საფუძველზე, განიხილავს რაიონის (ქალაქის) სახალხო სასამართლო ღია სასამართლო სხდომაზე.

## 7. ლოთობასთან ბრძოლის კომისიები

18. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების აბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და აჭართველოს სსრ მინისტრთა საბჭოებთან შეიქმნეს კომისიები, რომლებიც კოორდინაციას გაუწევენ სახელმწიფო ორგანოებისა

და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობას ლოთობის წინააღმდეგ საბრძოლველად, აგრეთვე შეიმუშავებენ და განახორციელებენ ღონისძიებებს ლოთობის თავიდან აცილებისა და აღკვეთისათვის.

აღნიშნული კომისიები შეიძლება შეიქმნას აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და საღაბო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან.

დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეიმუშაოს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს წარმოუდგინოს ლოთობასთან ბრძოლის კომისიების დებულების პროექტი.

19. დაევალოს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით მოამზადოს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს წარუდგინოს წინადადებანი მოქმედ კანონმდებლობაში ამ ბრძანებულებასთან დაკავშირებით ცვლილებათა შეტანის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე**.  
 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვამჩაძე**.

თბილისი, 1972 წლის 14 სექტემბერი.

# კ ა ნ ო ნ ი

საგარეო საცივილიზაციო რესპუბლიკების კავშირი

## სსრ კავშირი მშრომელთა დემოკრატიის სახელმწიფო დემოკრატიის სისტემის შესახებ

სსრ კავშირის კონსტიტუცია ამკვიდრებს ჩვენი ქვეყნის მშრომელთა სრულფასოვანობას მშრომელთა დემოკრატიების სახელმწიფოების სახით, რომლებიც სსრ კავშირის პოლიტიკურ საფუძველს შეადგენენ. დემოკრატიები ხალხის მიერ უფლებამოსილი არიან მონაწილეობდნენ სახელმწიფოების მიერ სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაში, გამოხატავდნენ მის ნებასა და ინტერესებს.

დემოკრატიები მაღალი პატივი და დიდი პასუხისმგებლობაა. ხალხი დიდმნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ მოვალეობებს აკისრებს დემოკრატიებს. დემოკრატიები ვალდებულია მთელი ძალით და ცოდნით მოახმარონ კომუნისტური მშენებლობის საქმეს, ყოველი დონისძიებით შეუწყონ ხელი მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირის, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობისა და ძმობის შემდგომ განმტკიცებას, საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური ერთიანობის გაძლიერებას, მშრომელთა კეთილდღეობისა და კულტურის განუხრად ამაღლებას, სოციალისტური სამშობლოს ძლიერების განმტკიცებას. დემოკრატიები მოწოდებული არიან ახორციელებდნენ კომუნისტთა და უპარტიოთა ურდევით ბლოკის საარჩევნო პლატფორმას, რომელიც კომუნისტური პარტიის პოლიტიკას, ხალხის ინტერესებს განასახიერებს.

მთელი თავისი საქმიანობით დემოკრატიები უნდა ამართლებდეს ამომრჩეველთა ნდობას. მუდამ იყოს ხალხის მიერ მისთვის წაყენებულ მოთხოვნათა დონეზე.

### I. ზოგადი დებულებანი

**მუხლი 1. დემოკრატიები — ხალხის სრულფასოვანი წარმომადგენლები სახელმწიფოებში.**

დემოკრატიები ხალხის სრულფასოვანი წარმომადგენლები არიან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში — მშრომელთა დემოკრატიების სახეობებში.

სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, მშრომელთა დემოკრატიების სამხარეო, საოლქო საბჭოს, ავტონომიური ოლქის, ეროვნული ოკრუგის მშრომელთა დემოკრატიების საბჭოს, მშრომელთა დემოკრატიების რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სოსოფლო-საბჭოს დემოკრატიები თავის უფლებამოსილებებს იღებენ საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფართული კენჭისყრით მისი საბჭოში არჩევის შედეგად.

**მუხლი 2. დემოკრატიები მონაწილეობენ სახელმწიფოების მიერ სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაში**

სახელმწიფოების მიერ სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელება ემყარება თვითეული დემოკრატიის აქტიურ მონაწილეობას საბჭოს მთელმუშაობაში: დემოკრატიები წყვეტენ სახელმწიფოებრივი, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის საკითხებს, აწყობენ სახელმწიფოების გადაწყვეტილებათა განხორციელებას, მონაწილეობენ სახელმწიფო ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობის კონტროლში, სახელმწიფოების სხვა უფლებამოსილებათა განხორციელებაში.

თავის საქმიანობაში დემოკრატიები ხელმძღვანელობს საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესებით, ითვალისწინებს საარჩევნო ოლქის მოსახლეობის მოთხოვნებს, აგრეთვე იმ მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის, ეროვნული ოკრუგის ეკონომიურ, კულტურულ, ეროვნულ და სხვა თავისებურებებს, რომლებსაც არჩეულია დემოკრატიები ან რომელთა ტერიტორიაზეც მდებარეობს მისი საარჩევნო ოლქი.

დემოკრატიები თავის მუშაობას საფუძველად უდებს სსრ კავშირის, მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობას, აგრეთვე მშრომელთა დემოკრატიების შესაბამისი საბჭოების გადაწყვეტილებებს.





**მუხლი 3. კანონმდებლობა დებუტატების უფლებამოსილებათა შესახებ**

სსრ კავშირში მშრომელთა დებუტატების საბჭოების დებუტატთა უფლებამოსილებებს განსაზღვრავს ეს კანონი, აგრეთვე:

სსრ კავშირის კანონმდებლობა — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს დებუტატებისათვის;

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა — მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დებუტატებისათვის;

სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობა — ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დებუტატებისათვის;

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებში — ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობაც — მშრომელთა დებუტატების სამხარეო და საოლქო საბჭოების, ავტონომიური ოლქების, ეროვნული ოკრუგების მშრომელთა დებუტატების საბჭოების, მშრომელთა დებუტატების რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების დებუტატებისათვის.

**მუხლი 4. დებუტატის უფლებამოსილებათა ვადა**

დებუტატის უფლებამოსილებანი იწყება მშრომელთა დებუტატების საბჭოში მისი არჩევის დღიდან. საბჭოს მიერ არჩეული სამანდატო კომისია ამოწმებს დებუტატთა უფლებამოსილებებს. საბჭო სამანდატო კომისიის წარდგენით წყვეტს ან ცნოს უფლებამოსილებანი, ან კასაციით დაარღვიოს ცალკეულ დებუტატთა არჩევა.

დებუტატის უფლებამოსილებანი მთავრდება ახალი მოწვევის საბჭოს არჩევნების დღეს.

**მუხლი 5. დებუტატის საქმიანობის შესამება საწარმოო და სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებასთან**

დებუტატი თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს საწარმოო ან სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტილად. დებუტატის უფლებამოსილებანი უსასყიდლოდ ხორციელდება.

დებუტატი აქტიურად მონაწილეობს საწარმოო და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, უჩვენებს საბჭოთა კანონების აღსრულებას, შრომის დისციპლინის, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დაცვის მავალითს.

**მუხლი 6. დებუტატის კავშირურთიერთობა ამომრჩევლებთან, მისი ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებლობა მათ წინაშე**

დებუტატს კავშირურთიერთობა აქვს ამომრ-

ჩევლებთან, მშრომელთა კოლექტივებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, რომლებმაც დაასახელეს იგი დებუტატობის კანდიდატად, აგრეთვე საწარმოებთან, დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან და სახელმწიფო ორგანოებთან, რომლებიც განლაგებულია მისი საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე.

დებუტატი პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია ამომრჩეველთა წინაშე.

დებუტატი, რომელმაც არ გააპართლა ამომრჩეველთა ნდობა ან ჩაიდინა დებუტატის მაღალი წოდებისათვის შეუფერებელი მოქმედება, ამომრჩეველთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით შეიძლება ყოველ დროს გაიწვიონ კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

**მუხლი 7. ამომრჩეველთა განაწესების შესრულება**

დებუტატი მონაწილეობს ამომრჩეველთა განაწესების შესასრულებლად მოსახლეობის დარაზმვაში და საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ მათი რეალიზაციისადმი კონტროლში, იღწვის განაწესების განხორციელებისათვის.


შესაბამისი საბჭო განიხილავს ამომრჩეველთა კრებების მიერ მოწონებულ განაწესებს, ამტიკებს მათი შესრულების ღონისძიებათა კემას, ითვალისწინებს ამომრჩეველთა განაწესებს სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის გეგმების შემუშავებასა და ბიუჯეტის შედგენის დროს, უზრუნველყოფს ამომრჩეველთა განაწესის შესრულებას, ახორციელებს კონტროლს მათი რეალიზაციისადმი.

**მუხლი 8. დებუტატის ურთიერთობა საბჭოსთან და მის ორგანოებთან**

დებუტატი, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების კოლექტიური წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი მოვალეა აქტიურად მონაწილეობდეს საბჭოს მუდმივი კომისიებისა და საბჭოს სხვა ორგანოების საქმიანობაში, რომელთა შემადგენლობაშიც არის არჩეული, ასრულებდეს საბჭოსა და მისი ორგანოების დავალებებს.

საბჭოს შეუძლია მოისმინოს დებუტატთა ინფორმაციები იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებენ დებუტატის მოვალეობებს, საბჭოსა და მისი ორგანოების გადაწყვეტილებებსა და დავალებებს.

უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმები, საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები საჭირო დახმარებას უწყვენ შესაბამისი საბჭოების დებუტატებს მათს მუშაობაში, აცნობენ დებუტატებს საბჭოსა და მისი ორგანოების საქმიანობას, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის გეგმების შესრულების, ამომრჩეველთა განაწესების რეალიზაციის მიმდინარეობას, დებუტატთა კრიტიკული შენიშვნები-



სა და წინადადებების საფუძველზე მიღებულ დონისძიებებს, ხელს უწყობენ დეპუტატების მიერ საბჭოთა კანონმდებლობის, საბჭოების მუშაობის გამოცდილების შესწავლას.

**მუხლი 9.** სახელმწიფოს მიერ დეპუტატის უფლებამოსილებათა განხორციელების პირობების შექმნა

საბჭოთა სახელმწიფო თვითეული დეპუტატისათვის უზრუნველყოფს მისი უფლებებისა და მოვალეობების დაუბრკოლებელი და ეფექტიანი განხორციელების საჭირო პირობებს.

პირები, რომლებიც დეპუტატს ხელს უშლიან მის უფლებამოსილებათა განხორციელებაში ან ხელყოფენ დეპუტატის, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლის პატივსა და ღირსებას, პასუხს აგებენ კანონის შესაბამისად.

**მუხლი 10.** დეპუტატის უფლებამოსილებათა ვადად შეწყვეტა

დეპუტატის უფლებამოსილება ვადად შეწყდება იმ შემთხვევაში, თუ დეპუტატს ამომრჩეველები გაიწვევენ.

დეპუტატის უფლებამოსილება შეიძლება შეწყდეს ვადად საბჭოს გადაწყვეტილებით. რომელსაც მიიღებს დეპუტატის პირად განცხადებასთან დაკავშირებით იმის შესახებ, რომ იხსნის დეპუტატის რწმუნებებს გარეობათა გამო, რომლებიც ხელს უშლიან მათს შესრულებას, ან იმასთან დაკავშირებით, რომ ძალაში შევიდა საბრალდებო სასამართლო განაჩენი პირის მიმართ, რომელიც დეპუტატია.

## II. დეპუტატის საქმიანობა საბჭოში

**მუხლი 11.** დეპუტატის მონაწილეობა საბჭოს სესიებში

საბჭოს სესიებზე დეპუტატები კოლექტიურად განიხილავენ და წყვეტენ ყველა ძირითად საკითხს, რომლებიც საბჭოს კომპეტენციაში შედის.

დეპუტატა მოვალეა ესწრაფოდეს საბჭოს თვითეულ სესიას და აქტიურად მონაწილეობდეს მის მუშაობაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი დროულად აცნობებენ დეპუტატს საბჭოს სესიის მოწვევის დროსა და მოწყობის ადგილს, საკითხებს, რომლებიც საბჭოს განსახილველად არის შეტანილი, და აძლევენ მას საჭირო მასალებს ამ საკითხებზე.

თუ შესაძლებლობა არა აქვს დაესწროს სე-

სიას, დეპუტატი ამას ატყობინებს შესაბამისად უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ან საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

**მუხლი 12.** დეპუტატის უფლებანი საბჭოს სესიაზე

დეპუტატი სარგებლობს გადამწყვეტი ხმით ყველა საკითხში, რომლებსაც საბჭო განიხილავს სესიაზე, უფლება აქვს აირჩიოს და არჩეულ იქნას საბჭოს ორგანოებში.

დეპუტატს უფლება აქვს შეიტანოს საკითხები საბჭოს განსახილველად, წინადადებანი სესიის დღის წესრიგის, აღძრულ საკითხთა განხილვის წესისა და არსის, საბჭოს მიერ შესაქმნელი ორგანოების პერსონალური შემადგენლობისა და თანამდებობის იმ პირთა კანდიდატურების გამო, რომლებსაც ირჩევს, ნიშნავს ან ამტკიცებს საბჭო. შეკითხვით მიმართოს, მონაწილეობა მიიღოს კამათში. მისცეს კითხვები, შეიტანოს გადაწყვეტილებათა პროექტები და შესწორებები მათ გამო, დაასაბუთოს თავისი წინადადებანი და გამოვიდეს კენჭისყრის მოტივების გამო, მისცეს ცნობები.

დეპუტატს უფლება აქვს შეიტანოს წინადადებანი საბჭოს სესიაზე ყოველი იმ ორგანოს ან თანამდებობის პირის ანგარიშისა თუ ინფორმაციის მოსმენის შესახებ, რომელიც საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებულია ან კონტროლქვეშ არის.

დეპუტატს სესიაზე შეტანილ განსახილველ საკითხზე შეუძლია თავმჯდომარეს გადასცეს თავისი წინადადებანი და შენიშვნები წერილობით ფორმით.


**მუხლი 13.** უმაღლესი საბჭოების დეპუტატთა საკანონმდებლო ინიციატივის უფლება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება უმაღლეს საბჭოში, რომელშიც იგი არჩეულია.

**მუხლი 14.** დეპუტატის შეკითხვა

საბჭოების მიერ დეპუტატთა შეკითხვების განხილვა სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების მუშაობისადმი კონტროლის ქმედითი საშუალებაა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს უფლება აქვს მიმართოს შეკითხვით შესაბამისად სსრ კავშირის მთავრობას, მოკავშირე რესპუბლიკის მთავრობას, ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას, ან მინისტრებს და სახელმწიფო მმართველობის იმ სხვა ორგანოების ხელმძღვანელებს,



რომლებსაც ქმნის სსრ კავშირის, მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.

მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს აგრეთვე უფლება აქვს შეკითხვით მიმართოს შესაბამისი რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საერთო-საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს საკითხებზე, რომლებიც რესპუბლიკის განმგებლობაშია.

სამხარეო, საოლქო საბჭოს, ავტონომიური ოლქის საბჭოს, ეროვნული ოკრუგის, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოს დეპუტატს უფლება აქვს შეკითხვით მიმართოს აღმასრულებელ კომიტეტს, მისი განყოფილებებისა და სამმართველოების ხელმძღვანელებს, აგრეთვე საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს საკითხებზე, რომლებიც ამ საბჭოს კომპეტენციაში შედის.

შეკითხვა დეპუტატს ან დეპუტატთა ჯგუფს შეუძლიათ შეიტანონ წერილობითი ან ზეპირი ფორმით. წერილობითი ფორმით შეტანილი შეკითხვა წაკითხულ უნდა იქნას საბჭოს სესიაზე, სახელმწიფო ორგანო ან თანამდებობის პირი, რომელსაც შეკითხვით მიმართეს, მოვალეა პასუხი გასცეს შეკითხვაზე სსრ კავშირის, მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკის კანონებით დადგენილ ვადებში და წესით.

**მუხლი 15. საბჭოს სესიაზე შეტანილი დეპუტატთა წინადადებებისა და შენიშვნების განხილვის წესი**

წინადადებებსა და შენიშვნებს, რომლებიც საბჭოს სესიაზე დეპუტატებმა გამოთქვეს, ან წერილობითი ფორმით გადასცეს სესიის თავმჯდომარეს, საბჭო განიხილავს ან მათ განსახილველად უგზავნის შესაბამის სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებსა და თანამდებობის პირებს.

სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანოებმა, აგრეთვე თანამდებობის პირებმა, რომლებსაც დეპუტატთა მიერ საბჭოს სესიაზე შეტანილი წინადადებანი და შენიშვნები გაეგზავნათ, დადგენილ ვადებში უნდა განიხილონ ეს წინადადებანი და შენიშვნები და შედეგები აცნობონ უშუალოდ დეპუტატს, აგრეთვე შესაბამისად უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, მინისტრთა საბჭოს, საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

**მუხლი 16. დეპუტატის მონაწილეობა საბჭოს ორგანოების მუშაობაში**

უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, მუდმივ კომისიებ-

სა და სხვა ორგანოებში არჩეულ დეპუტატს უფლება აქვს შეიტანოს საკითხები აღნიშნულ ორგანოების განსახილველად, მონაწილეობს განსახილველად საკითხთა მომზადებაში, მათს განხილვაში და მათ გამო გადაწყვეტილებათა განხორციელების ორგანიზაციაში და მათი შესრულებისადმი კონტროლში.

**მუხლი 17. დეპუტატის მიერ სახელმწიფო ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობის შემოწმება**

საბჭოს ან მისი ორგანოების დეპუტატს შეუძლია შეამოწმოს სახელმწიფო ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობა იმ საკითხებზე, რომლებიც საბჭოს ვამგებლობაშია, გაეცნოს საჭირო დოკუმენტებს. შემოწმების შედეგებს დეპუტატი ატყობინებს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს, საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და, თუ საჭიროა, შეაქვს წინადადებანი მათი მუშაობის გაუმჯობესების, გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის, სახელმწიფო დისციპლინისა და კანონიერების დარღვევაში დამნაშავე პირთა პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

დეპუტატს უფლება აქვს აღძრას საბჭოში და მის ორგანოებში საკითხი იმის შესახებ, რომ საჭიროა შემოწმდეს სახელმწიფო ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობა.

**III. დეპუტატის საქმიანობა საარჩევნო ოლქში**

**მუხლი 18. დეპუტატის მუშაობა მოსახლეობასთან საარჩევნო ოლქში**

დეპუტატთა აქტიური მუშაობა საარჩევნო ოლქებში საბჭოს ეფექტიანი საქმიანობის, მოსახლეობასთან მისი კავშირის განმტკიცების აუცილებელი პირობაა.

მუდმივი კავშირი რომ აქვს თავის ამომრჩევლებთან, დეპუტატი აცნობს მათ საბჭოს მუშაობას, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის გეგმების, საბჭოს გადაწყვეტილებებისა და ამომრჩეველთა განაწესების შესრულებას, მონაწილეობს კანონების, საბჭოსა და მისი ორგანოების გადაწყვეტილებების შესრულების ორგანიზაციაში, სწავლობს საზოგადოებრივ აზრს, ატყობინებს საბჭოსა და მის ორგანოებს მოსახლეობის საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს, ახორციელებს ღონისძიებებს მათი დაკმაყოფილებისათვის, შეაქვს შესაბამის ორგანოთა და თანამდებობის პირთა განსახილველად წინადადებანი მის სადეპუტატო საქმიანობასთან დაკავშირებით წამოჭრილ საკითხზე.

თავის მუშაობაში საარჩევნო ოლქში დებუ-  
ტატი ეყრდნობა საბჭოს აქტივის, საზოგადო-  
ებრივი ორგანიზაციების, მოსახლეობის საზოგა-  
დოებრივი თვითმოქმედების ორგანოების, სა-  
წარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა  
კოლექტივების დახმარებასა და მხარდაჭერას.

**მუხლი 19. დებუტატის ამომრჩეველთა წი-  
ნადადების, განცხადებებისა და საჩივრების  
განხილვა**

დებუტატი განიხილავს მიღებულ წინადად-  
ებებს, განცხადებებსა და საჩივრებს, იღებს ზო-  
მებს მათი სწორად და დროულად გადაწყვე-  
ტისათვის, აწარმოებს მოქალაქეთა მიღებას,  
სწავლობს საჩივრების წარმომშობ მიზეზებს და  
შეაქვს თავისი წინადადებანი საბჭოში, სხვა  
სახელმწიფო ორგანოებში, საწარმოებში, და-  
წესებულებებში, აგრეთვე ორგანიზაციებში.

დებუტატს უფლება აქვს კონტროლი გაუ-  
წიოს, თუ როგორ განიხილავენ მის მიერ გაგ-  
ზავნილ წინადადებებს, განცხადებებსა და სა-  
ჩივრებს საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებულ  
სახელმწიფო ორგანოებში, საწარმოებში, და-  
წესებულებებსა და ორგანიზაციებში, და მიი-  
ღოს პირადი მონაწილეობა აღნიშნული წინა-  
დადებების, განცხადებებისა და საჩივრების  
განხილვაში.

**მუხლი 20. დებუტატის ანგარიშები ამომრ-  
ჩეველთა წინაშე**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, მოკავში-  
რე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, ავტონო-  
მიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დე-  
პუტატი პერიოდულად, მაგრამ წელიწადში  
ერთხელ მაინც, ხოლო სამხარეო, საოლქო საბ-  
ჭოს, ავტონომიური ოლქის, ერთეული ოკრუ-  
გის საბჭოს, რაიონული, საქალაქო, ქალაქის  
რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოს დე-  
პუტატი — წელიწადში ორჯერ მაინც — ვალ-  
დებულია ანგარიში ჩააბაროს ამომრჩევლებს  
თავისი მუშაობისა და საბჭოს მუშაობის შესა-  
ხებ.

დებუტატის ანგარიში შეიძლება მოეწყოს  
ყოველ დროს მშრომელთა კოლექტივებისა და  
საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოთხოვ-  
ნით, რომლებმაც დასახელეს იგი დებუტატო-  
ბის კანდიდატად, ან საცხოვრებელი ადგილის  
მიხედვით ამომრჩეველთა კრებების მოთხოვ-  
ნით.

დებუტატი ინფორმაციას აწვდის საბჭოს ჩა-  
ბარებული ანგარიშისა და ამომრჩეველთაგან  
შემოსული წინადადებების შესახებ.

**მუხლი 21. დებუტატისათვის ხელშეწყობა  
ანგარიშებისა და ამომრჩევლებთან შეხვედრე-  
ბის ჩატარებაში**

დებუტატს მის საარჩევნო ოლქში უქმნიან  
საკურო პირობებს ანგარიშებისა და ამომრ-

ჩევლებთან შეხვედრებისათვის. ამ მიზნით შე-  
საბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი,  
აგრეთვე საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგა-  
ნიზაციათა ადმინისტრაცია და საზოგადოებრი-  
ვი ორგანიზაციები გამოჰყოფენ შენობებს, აუწყ-  
ებენ ამომრჩევლებს დებუტატის ანგარიშის,  
ამომრჩევლებთან მისი შეხვედრების, დებუტა-  
ტის მიერ ამომრჩეველთა მიღების დროსა და  
ადგილს, აგრეთვე ახორციელებენ სხვა ღონის-  
ძიებებს, რათა ხელი შეუწყონ დებუტატს მის  
მუშაობაში საარჩევნო ოლქში.

დებუტატის თხოვნით ამომრჩეველთა წინაშე  
ანგარიშებისა და გამოსვლებისათვის საჭირო  
საცნობარო და საინფორმაციო მასალებს იძ-  
ლევიან შესაბამისად უმაღლესი საბჭოს პრე-  
ზიდიუმი ან იმ საბჭოს აღმასრულებელი კო-  
მიტეტი, რომლის დებუტატიც იგია. აგრეთვე  
საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე განლაგებუ-  
ლი საბჭოების აღმასთულებელი კომიტეტები.

**მუხლი 22. დებუტატის მონაწილეობა ქვე-  
მდგომი საბჭოების სესიების მუშაობაში და  
მშრომელთა კრებებში**

დებუტატს იმ საბჭოს ტერიტორიაზე, რომ-  
ლის შემადგენლობაშიც არის არჩეული, უფლე-  
ბა აქვს მონაწილეობა მიიღოს სათათბირო  
უფლების ქვემდგომი საბჭოების სესიების მუ-  
შაობაში.

თავის საარჩევნო ოლქში დებუტატს შეუძ-  
ლია მონაწილეობა მიიღოს სამეურნეო აქტი-  
ვის, მშრომელთა კოლექტივების, საცხოვრე-  
ბელი ადგილის მიხედვით მოქალაქეთა კრე-  
ბებში.

**მუხლი 23. სახელმწიფო და საზოგადოებ-  
რივ ორგანოთა და თანამდებობის პირთა მო-  
ვალეობანი დებუტატთა მიმართების განსა-  
ხილველად**

დებუტატს უფლება აქვს მიმართოს დებუ-  
ტატის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკით-  
ხებზე სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგა-  
ნოებს, საწარმოებს, დაწესებულებებსა და  
ორგანიზაციებს, თანამდებობის პირებს, რომ-  
ლებიც მოვალენი არიან განიხილონ აღძრული  
საკითხი და უპასუხონ დებუტატს კანონით დად-  
გენილ ვადაში.

დებუტატთა წინადადებანი ყველაზე მნიშვ-  
ნელოვან საკითხებზე უნდა განიხილონ შესა-  
ბამისად საბჭოების აღმასრულებელმა კომი-  
ტეტებმა, სამინისტროთა და უწყებათა კოლე-  
გიებმა, მინისტრთა საბჭოებმა, უმაღლესი საბ-  
ჭოების პრეზიდიუმებმა. დებუტატს შეუძლია  
მონაწილეობა მიიღოს ამ ორგანოებში თავის  
მიერ აღძრული საკითხის განხილვაში. განხილ-  
ვის დღეს დებუტატს დროულად ატყობინებენ.



**მუხლი 24. დეპუტატის უფლება — დაუყოვნებლივ მიღებულ იქნას თანამდებობის პირების მიერ**

დეპუტატის საქმიანობის საკითხებში დეპუტატი სარგებლობს იმის უფლებით, რომ დაუყოვნებლივ მიიღოს საბჭოს დაქვემდებარებული ან კონტროლქვეშ მყოფი სახელმწიფო ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა და სხვა თანამდებობის პირებმა.

**მუხლი 25. დეპუტატის უფლება — მოითხოვოს კანონიერების დარღვევის აღმოფხვრა.**

დეპუტატი მოვალეა იღვეს საბჭოთა კანონების სადარაჯოზე, აქტიურად მონაწილეობდეს ბრძოლაში სამართალდარღვევის წინააღმდეგ, მშრომელთა მაღალი შეგნების, მოქალაქობრივი მოვალეობის შესრულების, სოციალისტური კანონიერების განუხრელად დაცვის სულისკვეთებით აღზრდაში.

მოქალაქთა უფლებებისა და კანონით უზრუნველყოფილი ინტერესების დარღვევის ან კანონიერების სხვა დარღვევის აღმოჩენის დროს დეპუტატს, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელს, უფლება აქვს მოითხოვოს ამ დარღვევების შეწყვეტა, საჭიროების შემთხვევაში კი შესაბამის ორგანოებსა და თანამდებობის პირებს მოსთხოვოს ასეთი დარღვევების აღკვეთა.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების თანამდებობის პირებმა, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების აღმინისტრაციამ, აგრეთვე მილიციის მუშაკებმა, რომლებსაც ეხებათ დეპუტატის მოთხოვნა, მოვალენი არიან დაუყოვნებლივ განახორციელონ ღონისძიებანი დარღვევების აღმოფხვრისა და საჭიროების შემთხვევაში — დამნაშავეთა პაუხისკებაში მიცემისათვის.

**IV. დეპუტატის საქმიანობის ძირითადი პარანტივები**

**მუხლი 26. დეპუტატისათვის ხელის შეწყობა მის უფლებამოსილებათა განხორციელებაში**

სახელმწიფო ორგანოები, საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და მათი თანამდებობის პირები მოვალენი არიან ხელს უწყობდნენ დეპუტატს მის უფლებამოსილებათა განხორციელებაში. თუ თანამდებობის პირები არ შეასრულებენ იმ მოვალეობას, რომ ხელი შეუწყონ დეპუტატებს მათ უფლებამოსილებათა განხორციელებაში, საბჭოს ან მის ორგანოებს შეუძლიათ დადგენილი წესით დაადონ დისციპლინარული სასჯელი ამ თანამდებობის პირებს ან შესაბამის ორგანოებში შეიტანონ წარდგინებანი აღნიშნულ პირებზე დისციპლი-

ნარული სასჯელის დადების შესახებ თანამდებობიდან განთავისუფლებამდეც კი.

**მუხლი 27. დეპუტატის განთავისუფლება საწარმოო ან სამსახურებრივი მოვალეობისაგან დეპუტატის უფლებამოსილებათა შესრულებისათვის**

საბჭო სესიის დროს, აგრეთვე დეპუტატთა უფლებამოსილების შესრულებისათვის სხვა შემთხვევებში, რომლებიც გათვალისწინებულია კანონმდებლობით, დეპუტატი თავისუფლდება საწარმოო ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან და ენახება საშუალო გასამრჩელო (ხელფასი მუდმივ სამუშაო ადგილას).

**მუხლი 28. დეპუტატის უზრუნველყოფა საბჭოს გამოცემებით. დეპუტატისათვის იურიდიული დახმარების გაწევა**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი შესაბამის საბჭოს დეპუტატს უზრუნველყოფს საბჭოს ოფიციალური გამოცემებითა და საინფორმაციო მასალებით.

საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, საწარმოთა და ორგანიზაციათა აღმინისტრაცია, აგრეთვე იურიდიული დაწესებულებები დახმარებას უწევენ დეპუტატს სამართლებრივ საკითხებში, რომლებიც მისი სადეპუტატო საქმიანობის დროს წარმოიშობა.

**მუხლი 29. საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების მოვალეობა — მიაწოდონ დეპუტატს საჭირო ინფორმაცია**


საარჩევნო ოლქში განლაგებულ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები დეპუტატის თხოვნით აძლევენ მას საცნობარო მასალებსა და სხვა ინფორმაციას, რომლებიც საჭიროა დეპუტატის საქმიანობის განხორციელებისათვის.

**მუხლი 30. დეპუტატისათვის დეპუტატის უფლებამოსილებათა შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება**

კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში და წესით, დეპუტატს უნაზღაურდება დეპუტატის უფლებამოსილებათა შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯები.

**მუხლი 31. დეპუტატის უფასო მგზავრობის უფლება**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი სსრ კავშირის ტერიტორიაზე, მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი შესაბამისი რესპუბლიკის ტერიტო-



რიაზე სარგებლობს იმის უფლებით, რომ უფასოდ იმგზავროს ყველა სარკინიგზო, საავტომობილო, ყველასავალი, საჰაერო შინაგანი გზებით და ყველა სახეობის საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით (ტაქსის გარდა).

სამხარეო, საოლქო საბჭოს, ავტონომიური ოლქის საბჭოს, ეროვნული ოკრუგის, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოს დეპუტატი სარგებლობს შესაბამისად მხარის, ოლქის, ოკრუგის, რაიონის, ქალაქის, დაბისა და სოფლსაბჭოს ტერიტორიაზე რესპუბლიკური დაქვემდებარების საავტომობილო და წყალსავალი ტრანსპორტით და ყველა სახეობის საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით (ტაქსის გარდა) უფასო მგზავრობის უფლებით, ხოლო სამხარეო, საოლქო საბჭოს, ავტონომიური ოლქის, ეროვნული ოკრუგის, საბჭოს, რაიონული საბჭოს დეპუტატი — აგრეთვე რკინიგზის ტრანსპორტით უფასო მგზავრობის უფლებით.

მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოებისა და ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა უფასო მგზავრობის წესებსა და პირობებს, აგრეთვე სატრანსპორტო ორგანიზაციებთან ამის გამო ანგარიშსწორებატრთა საბჭო და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები.

**მუხლი 32. დეპუტატის შრომის უფლების დაცვა**

დეპუტატი არ შეიძლება ადმინისტრაციის ინიციატივით დაითხოვონ საწარმოში, დაწესებულებაში ან ორგანიზაციაში სამუშაოდან, გარეცხონ კოლმეურნეობიდან ან ვადიყვანონ დისციპლინური დასჯის წესით დაბალხელფასიან სამუშაოზე საბჭოს წინასწარი დასტურის გარეშე, ხოლო სესიებს შუა პერიოდში — საბჭოს შესაბამისი აღმასრულებელი კომიტეტის ან უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინასწარი დასტურის გარეშე.

საბჭოს ორგანოში არჩევით თანამდებობაზე არჩევის შედეგად სამუშაოდან განთავისუფლებულ დეპუტატს არჩევით თანამდებობაზე მისი უფლებამოსილებათა დამთავრების შემდეგ ეძლევა წინანდელი სამუშაო (თანამდებობა), ხოლო თუ იგი არ არსებობს — სხვა ტოლფასოვანი სამუშაო (თანამდებობა) იმავე ან, მისი თანხმობით, სხვა საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში.

საბჭოს ორგანოში არჩევით თანამდებობაზე დეპუტატის მუშაობის დრო ითვლება იმ სპეციალობით შრომის სტაჟში, რომლითაც დეპუტატი მუშაობდა საბჭოს ორგანოში არჩევით თანამდებობაზე არჩევამდე.

**მუხლი 33. უმაღლესი საბჭოების დეპუტატთა სადეპუტატო ხელშეუხებლობა**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი არ შეიძლება მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში, დაპატიმრებულ იქნას ან დაედოს ადმინისტრაციული სასჯელი სასამართლო წესით. შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დასტურის გარეშე, ხოლო მათს სესიებს შუა პერიოდში — უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დასტურის გარეშე.

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, აგრეთვე იმ მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე, რომელშიც შედის ავტონომიური რესპუბლიკა, არ შეიძლება მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში, დაპატიმრებულ იქნას ან დაედოს ადმინისტრაციული სასჯელი სასამართლოს წესით ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დასტურის გარეშე, ხოლო მის სესიებს შუა პერიოდში — ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დასტურის გარეშე.

**მუხლი 34. ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა სადეპუტატო ხელშეუხებლობა**

მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო საბჭოს, ავტონომიური ოლქის, ეროვნული ოკრუგის საბჭოს, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოს დეპუტატი არ შეიძლება შესაბამისი საბჭოს ტერიტორიაზე მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში, დაპატიმრებულ იქნას ან დაედოს ადმინისტრაციული სასჯელი სასამართლო წესით შესაბამისი საბჭოს დასტურის გარეშე, ხოლო სესიებს შუა პერიოდში — მისი აღმასრულებელი კომიტეტის დასტურის გარეშე.

საბჭოს ან მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ საკითხზე შეიძლება გააუქმოს შესაბამისად ზემდგომმა საბჭომ ან მისმა აღმასრულებელმა კომიტეტმა, ამასთან საკითხი გადასცეს საბჭოს ხელახლა განსახილველად. თუ საბჭო დაადასტურებს თავდაპირველ გადაწყვეტილებას, საკითხი შეიძლება არსებითად გადაწყვიტოს მშრომელთა დეპუტატების საოლქო, სამხარეო საბჭომ, ავტონომიური ან მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა შესაბამისად ოლქის, მხარის, რესპუბლიკის პროკურორის წარდგინებით.

**მუხლი 35. დეპუტატის სადეპუტატო მოწმობა და სამეგრედ ნიშანი**



დეპუტატს აქვს სადეპუტატო მოწმობა და დეპუტატის სამკერდე ნიშანი, რომლებითაც იგი სარგებლობს თავის უფლებამოსილებათა ვადის განმავლობაში.

დეპუტატთა სადეპუტატო მოწმობისა და სამკერდე ნიშნების ნიმუშებს, აგრეთვე დებულებებს დეპუტატთა სამკერდე ნიშნების შესახებ ამტკიცებენ:

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტა-

ტათვის — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში;

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დეპუტატთათვის და ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთათვის — შესაბამისი მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. კოვალკოვიჩი.  
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი. კრემლი, 1972 წლის 20 სექტემბერი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს

დ ე რ გ ე ნ ი დ ე ბ ე

გუნების დახმოს შეფარდები გაუფრთხილებს და გუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების ღონისძიებათა შესახებ

გუნების დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება მრეწველობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის სწრაფი განვითარების, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის გაშლის, საბჭოთა ხალხის მრავალმხრივი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების ზრდის პირობებში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საერთო-სახელმწიფო ამოცანაა ხდება, რომლის გადაწყვეტაზეც დამოკიდებულია სახალხო-სამეურნეო გეგმების წარმატებით შესრულება, ახლანდელი და მომავალი თაობების კეთილდღეობა. სოციალისტურ საზოგადოებაში ამ ამოცანის გადაწყვეტა განუყოფლად არის დაკავშირებული მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასთან, საბჭოთა ადამიანებისათვის ნაყოფიერი შრომისა და დასვენების საჭირო პირობების უზრუნველყოფასთან.

საბჭოთა კავშირში ბუნებრივი სიმდიდრეების ყველაზე სწორი გამოყენების, ბუნების ეფექტიანი დაცვის ორგანიზაციის ურყევ საფუძველს წარმოადგენს მიწის, მისი წილის, წყლის, ტყის სოციალისტური სახელმწიფო საკუთრება. სწორედ ამ პირობებში უზრუნველყოფილია სახალხო მეურნეობის გეგმიანი გაძლიერება, მისი განვითარების სწრაფი ტემპი.

ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, დაცვა და კვლავწარმოება, სათუთი დამოკიდებულება ბუნებისადმი სსრ კავშირში კომუნისტური მშენებლობის პროგრამის შემად-

გენელი ნაწილია. კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო დაუტყობოდ ზრუნავენ ბუნების დაცვისა და მის სიმდიდრეთა რაციონალური გამოყენებისათვის.

სკკ XXIV ყრილობამ დასახა ჩვენი ბუნების დაცვის ვაჰლიერების, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების პასუხისმგებლობის ამაღლებას დიდი ამოცანები. ეს აისახა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების სახელმწიფო ხუთწლიან გეგმაში. ჩვენი სამშობლოს ბუნების დაცვის გაუმჯობესებისა და ბუნებრივი სიმდიდრეების რაციონალური გამოყენების ამოცანათა გადაწყვეტაში დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ბოლო წლებში მიღებულ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძველებს, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძველებს, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძველებს, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამის კანონებსა და კოდექსებს.

ახორციელებს რა დასახულ ღონისძიებებს გარემოს დაცვის დარგში, საბჭოთა კავშირი დღე-ნიადაგ აფართოებს თანამშრომლობას ამ საქმეში საზღვარგარეთის სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, უზრუნველ-

ყოფს ნაქისრ ვალდებულებათა შესრულებას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირში თანმიმდევრულად ხორციელდება ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ბუნების დაცვის გაუმჯობესება და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფა.

დიდი მასშტაბით წარმოებს მიწების მელიორაციის, ნიადაგების ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიის თავიდან აცილების სამუშაოები, უმჯობესდება წყლის რესურსების, ტყის სიმდიდრეთა და სასარგებლო წიაღისეულთა გამოყენება. სახელმწიფო იცავს ძვირფასი და იშვიათი სახეობის ცხოველებს, უმჯობესდება თევზის მეურნეობის გაძლიერება, სერიოზული ყურადღება ეთმობა ატმოსფეროს ჰაერისა და წყალსატევების გატუქციანების აღკვეთას, ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების თბოფიკაციისა და ვაზიფიკაციის საქმის გაუმჯობესების ღონისძიებებს, აგრეთვე ბრძოლას ხმაურთან. მნიშვნელოვნად გაიზარდა კაპიტალურ დახანდებათა მოცულობა ბუნების დაცვის ღონისძიებათა განხორციელებისათვის, ჩამდინარე წყლების საწმენდი, გახსაწმენდი და მტვერდამტკერი დანადგარების მშენებლობისათვის.

სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარება და წარმოებაში სულ უფრო ფართო მასშტაბით ბუნებრივი რესურსების გამოყენება ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციისაგან მოითხოვს გაძლიერონ ყურადღება ბუნების დაცვის, ბუნებრივი რესურსების გამოყენების გაუმჯობესების, ამ დარგში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების აღმოფხვრის საქმისადმი.

ზოგიერთი სამინისტრო, უწყება, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები, საწარმოები და ორგანიზაციები ჯერ კიდევ საკმარისად არ ითვალისწინებენ ამ მოთხოვნებს. ჯეროვნად არ სწავლობენ და არ წყვეტენ ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და ბუნების დაცვის უზრუნველყოფის საკითხებს. სამინისტროები, უწყებები, საწარმოები და ორგანიზაციები სრულად როდი იცავენ კანონმდებლობას მიწის წიაღის კომპლექსური გამოყენების შესახებ, ურიგდებიან სასარგებლო წიაღისეულთა დიდ დანაკარგებს მათი მოპოვებისა და გადამუშავების დროს. ზოგჯერ მაღინადან იღებენ მხოლოდ ძირითად ლითონებს, ძვირფასი თანამგზავრი კომპონენტების მნიშვნელოვან ნაწილს ყრიან, რის გამოც სერიოზული ზარალი მოსდის სახელმწიფოს.

მრეწველობაში ნელა მუშავდება და ინერგება ტექნოლოგიური პროცესები, რომლებიც

მნიშვნელოვნად შეამცირებენ საწარმოო საჭიროებისათვის წყლის ხარჯვასა და მავნე ნარჩენებს, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენენ გარემოს მდგომარეობაზე. ბევრ საწარმოსა და მთელ რიგ ქალაქებში არ არის ჩამდინარე წყლების საწმენდი საჭირო ნაგებობანი, ნელა შენდება ისინი, ამ მიზნით გამოყოფილ სახსრებს კი მთლიანად არ იყენებენ. უზრუნველყოფილი არ არის აგრეთვე ატმოსფეროში სმარეწველო ამონაფრქვევების ჯეროვანი გაწმენდა, საკმაოდ არ მზადდება გახსაწმენდი და მტვერდამტკერი მოწყობილობები და დანადგარები.

ქალაქთმშენებლობის პრობლემების გადაწყვეტისა და სოფლის განაშენიანების დროს ყოველთვის როდი ეთმობა სათანადო ყურადღება მოსახლეობის შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების ოპტიმალური პირობების შექმნას.

არის ქვეყნის ძირითადი სიმდიდრისადმი— მიწისადმი უყაირათო დამოკიდებულების შემთხვევები, სასოფლო-სამეურნეო და ტყის სავარგულების არარაციონალური გამოყენების, წყალსაცავების არასწორი ექსპლოატაციის ფაქტები. ნიადაგის ეროზიის, განმეორებითი დამლაშების შედეგად, აგრეთვე სასარგებლო წიაღისეულთა მოპოვების დროს და მშენებლობის პროცესში სამეურნეო ბრუნვას ხშირად აკლდება ნაყოფიერი მიწების დიდი ნაკვეთები.


მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, აგრეთვე სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები, რომლებსაც ეკისრებათ სახელმწიფო ზედამხედველობა და კონტროლი ბუნების დაცვის კანონმდებლობის შესრულებისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენებისადმი, ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ ამ დარგში მათ წინაშე დასახულ ამოცანათა შესრულებას.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები ჯერ კიდევ სათანადოდ არ ზრუნავენ მიწების, სასოფლო-სამეურნეო და ტყის სავარგულებისა და წყლების რაციონალური გამოყენებისათვის, ჯეროვან კონტროლს არ უწყვენ ნიადაგების ნაყოფიერების გადიდების, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს დაცვის ღონისძიებათა განხორციელებას.

ჯეროვნად არ ასრულებენ თავიანთ ამოცანებს სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციებიც, რომლებიც უნდა სწავლობდნენ და წყვეტდნენ ბუნებრივი რესურსების კომპლექსური გამოყენებისა და გარემოს დაცვის მომწიფებულ პრობლემებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევები და ჩვენნი ინდუსტრიის მძლავრი ბაზა საშუალებას იძლევიან სოცია-





ლისტური მეურნეობრიობის პირობებში გონივრულად წყენებდით მთელ ბუნებრივ სიმდიდრეებს, წყაროებს ვწყვეტდით ისტორიულად დიდმნიშვნელოვან ამოცანას — გავანეიტრალთ ბუნებისა და ადამიანისათვის მავნე თანამდევნი მოვლენები სამეურნეო საქმიანობისა.

ბუნებრივი რესურსების კომპლექსური გამოყენება, ისეთი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვა, რომლებიც გამორიცხავენ მავნე ნარჩენებს, წყალსატევების გაწმენდის ბიოლოგიური საშუალებების უფრო ფართოდ გამოყენება და სასოფლო-სამეურნეო მავნებლებთან ბრძოლას, ტყის ნარგავებსა და სამედიცინური სამუშაოები — ამ და სხვა ღონისძიებებს შეუძლიათ უზრუნველყონ გარემოს ეფექტიანი დაცვა. ამიტომ მთლიანად საბჭოთა კავშირის ეკონომიკისა და მეურნეობის ცალკე დარგების განვითარების შემდგომი პროგრამა უნდა ხორციელდებოდეს ღრმა კომპლექსური კვლევის საფუძველზე, ამასთან თან უნდა ახლდეს შესაძლო შედეგების მეცნიერული პროგნოზები და იმ ღონისძიებათა სავალდებულო სისტემა, რომლებიც გამორიცხავენ მავნე ზემოქმედებას გარემოზე. ჩვენი მოვალეობაა დავიცვათ და ვამრავლოთ თაობებისათვის, რომლებიც კომუნისტურ საზოგადოებაში იცხოვრებენ, ბუნების მთელი სიმდიდრე და სილამაზე.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო ამოცანად ჩაითვალოს დაუცხრომელი ზრუნვა ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების უკეთ გამოყენებისათვის, მიწისა და მისი წილის, ტყეებისა და წყლების, ცხოველთა და მცენარეულთა სამყაროს, ატმოსფერული ჰაერის დაცვის, კანონმდებლობის განუხრებლად შესრულება. ამასთან მხედველობაში იქნას მიღებული, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი უნდა ხელშეწყობდეს ბუნებისა და მისი რესურსებისადმი სათუთ დამოკიდებულებასთან. ხელს უწყობდეს მშრომელთა ცხოვრებისა და ჯანმრთელობის, მუშაობისა და დასვენების უფრო ხელშემწყობი პირობების შექმნას.

2. დაველოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შეიმუშაოს ბუნების დაცვის შემდგომი ვალდებულებისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებანი იმ წინადადებების ვათავალისწინებით, რომლებიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა გამოთქვეს სესიაზე, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს ბუნების დაცვის კომისიებისა და სხვა მუდმივი კომისიების წინადადებანი.

ამ ღონისძიებებში გაითვალისწინონ, რომ: სრულყოფილ დაგეგმვა, რომელიც მიზნად ისახავს ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებასა და ბუნების დაცვას, ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ დასახული ბუნების დაცვის ღონისძიებანი უნდა იყოს სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული და წლიური გეგმების შემადგენელი ნაწილი;

ამადაც სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების პასუხისმგებლობა სასარგებლო წიაღისეულთა და მინერალური ნედლეულის სრული, კომპლექსური გამოყენებისათვის მათი მოპოვებისა და გადაამუშავების დროს, განუხრებლად დაიცვან კანონმდებლობა, რომელიც მოითხოვს ნამდვილ ყაირთიან დამოკიდებულებას მიწისა და ტყის სავარგულებისადმი, წყლის რესურსებისადმი, მათი დაცვისადმი, მოქალაქეთა პირადი პასუხისმგებლობის ამაღლებას ბუნებრივი გარემოს დაცვისათვის.

გააძლიერონ სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების პასუხისმგებლობა სამრეწველო ნარჩენებითა და შხამქიმიკატებით ნიადაგების, სამრეწველო და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლებით წყაროების, სამრეწველო ამონაფრქვევებითა და ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვი გაზებით ატმოსფერული ჰაერის გაუქუჩიანების თავიდან აცილების ღონისძიებათა განხორციელებისათვის, აგრეთვე სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და წესების უთუოდ შესრულებისათვის;

განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი ატმოსფეროში მავნე ამონაფრქვევებისა და გაუქუჩიანებული ჩამდინარე წყლების გადაადგების თავიდან აცილებისათვის, საწმენდი ნაგებობების დროული მშენებლობისათვის, მისი ხარისხის ამაღლებისათვის, ვახსაწმენდი და მტვერსაჭერი ახალი სახეობის მოწყობილობისა და ხელსაწყოების შემუშავებისა და წარმოების ათვისებისათვის, წყალსატევების ბიოლოგიური გაწმენდის უზრუნველყოფისათვის, წარმოების ახალი ტექნოლოგიური პროცესების შექმნისა და არსებულთა სრულყოფისათვის, წყლის მომჭირნეობით ხარჯისათვის;

ვაადიდონ მანქანების, მოწყობილობის, საკონტროლო-საზომი ხელსაწყოებისა და ავტომატიზაციის საშუალებების გამოშვება, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ გავაუმჯობესოთ ბუნების დაცვის საქმე, უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ მისი რესურსები, მთელი მისი სიმდიდრეები;

შეიმუშაონ ქალაქთმშენებლობის ნორმატივები, რომლებიც უზრუნველყოფენ გარემოს

მაქსიმალურ გაჯანსაღებას სამრეწველო და ადმინისტრაციულ ცენტრებში;

გააფართოონ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები ბუნების დაცვის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი პრობლემებისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის;

გააუმჯობესონ სკოლების, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეთა მომზადება ბუნებისმცოდნეობისა და ბუნებრივი გარემოს დაცვის დარგში, უფრო ფართო მასშტაბით მოამზადონ და გამოუშვან ამ პროფილის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ უნარიანად, ყაირათიანად გამოიყენონ უდიდესი ბუნებრივი რესურსები;

გათვალისწინებულ იქნას სსრ კავშირის აქტიური მონაწილეობა სავრთავშორისო თანამშრომლობის პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში ბუნებრივი გარემოს დაცვის დარგსა და არანელსაყრელი ზემოქმედებისაგან მის დაცვაში.

3. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა შესაბამისმა სამინისტროებმა და უწყებებმა უზრუნველყონ მკაცრი ზედამხედველობა და კონტროლი ბუნებრივი რესურსების სწორ გამოყენებასა და ბუნების დაცვისადმი.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივმა საბჭოებმა დააძლიერონ კონტროლი იმ ღონისძიებათა განხორციელებისადმი, რომლებიც მიზნად ისახევენ სასოფლო-სამეურნეო და ტყის სავარგულების, აგრეთვე წყლების რაციონალურ გამოყენებას, ცხოველთა და მცენარეულთა სამყაროს დაცვას, ქალაქებისა და სხვადასახლებული პუნქტების სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებას, ბრძოლას საწარმოო და საყოფაცხოვრებო ხმაურთან.

4. კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს მუდმივმა კომისიებმა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის საფუძვლებისა და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წიაღთა კანონმდებლობის საფუძვლების პროექტთა შემუშავების დამთავრების დროს გაითვალისწინონ სესიაზე გამოთქმული წინადადებები და შენიშვნები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოლგორნი.  
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი, 1972 წლის 20 სექტემბერი.



### ჰილდო-ღირსეული\*

სსრ კავშირის გენერალური პროკურორის 1972 წლის 12 მაისის ბრძანებით საბჭოთა პროკურატურის შექმნის 50-ე წლისთავთან დაკავშირებით სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის მაჯის საათით დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ პროკურატურის ორგანოების მუშაკები:

გიორგი ზურაბის ძე აბაშიძე — ქ. თბილისის კიროვის რაიონის პროკურატურის გამომძიებელი

როზა ევრემის ასული აბრეკოვა — რესპუბლიკის პროკურატურის უფროსი საქმისმწარმოებელი

მარგო კირილეს ასული ახალაძე — ქობულეთის რაიონის პროკურატურის მემანქანე მდივანი

ელგუჯა გიგოს ძე ბადრიძე — რესპუბლიკის პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების პროკურორი

ნუგზარ ივანეს ძე ბეჟიაშვილი — რესპუბლიკის პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების პროკურორი

თამარ ერმილეს ასული ბურდინა — რესპუბლიკის პროკურატურის ინსპექტორი სტატისტიკის დარგში

ილია მოსეს ძე დავარაშვილი — ქ. თბილისის პროკურატურის საერთო განყოფილების პროკურორი

ვალერიან ალექსანდრეს ძე ედიშერაშვილი — რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე

კაპიტონ ნიკოლოზის ძე კვიციკველია — ზუგდიდის რაიონის პროკურატურის გამომძიებელი

დავით სიმონის ძე კუხალიშვილი — ქალაქ ზუგდიდის პროკურორის თანაშემწე

ვახტანგ ბადრის ძე ლაკერბიაი — ვალის რაიონის პროკურორის თანაშემწე

ვახტანგ დავითის ძე ლელაძე — რესპუბლიკის პროკურატურის სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაზე ზედამხედველობის განყოფილების პროკურორი

ირაკლი პეტრეს ძე რატიშვილი — რესპუბლიკის პროკურატურის კადრების განყოფილების უფროსის მოადგილე

არონ ერმილეს ძე ტაკიძე — რესპუბლიკის პროკურორი

ივანე მიხეილის ძე ფუხავეი — ცხინვალის რაიონის პროკურორი

მარიამ სიმონის ასული ქოსაშვილი — რესპუბლიკის პროკურატურის სასამართლოებში სამოქალაქო საქმეთა განხილვაზე ზედამხედველობის განყოფილების პროკურორი

კირილე ფარსადანის ძე წირეთელი — ამბროლაურის რაიონის პროკურატურის მდივანი

ოთარ ალექსანდრეს ძე ჭიბლაძე — რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე

ალბინა ანტონის ასული ჯახუა — აფხაზეთის ასსრ პროკურორის თანაშემწე არასრულწლოვანთა საქმეებზე

#### დაჯილდოვდნენ საჩუქრებით:

ანზორ კონსტანტინეს ძე ბალუაშვილი — რესპუბლიკის პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი

გოშარ არშაკის ასული თუმასიანი — რესპუბლიკის პროკურატურის უფროსი საქმისმწარმოებელი

ჯალილ კარა ოღლი კალაევი — რესპუბლიკის პროკურატურის საერთო განყოფილების პროკურორი

ევგენი თათეოზის ძე კარაპეტიანი — რესპუბლიკის პროკურატურის უფროსი საქმისმწარმოებელი.

ზაურ მიხეილის ძე კვიციკველია — რესპუბლიკის პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი

ავთანდილ ვლადიმერის ძე კობახიძე — რესპუბლიკის პროკურატურის სასამართლოებში

\* დასაწყისი იხ. ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1972 წ. № 3.



სამოქალაქო საქმეთა განხილვაზე ზედამხედველობის განყოფილების პროკურორი

**ზინაიდა ზაქარაის ასული ლეშჩინკო** — რესპუბლიკის პროკურატურის უფროსი მემანქანე

**თამარ ალექსანდრეს ასული ლოლაძე** — რესპუბლიკის პროკურატურის ინსპექტორი

**ქსენია პეტრეს ასული შალიბაშვილი** — რესპუბლიკის პროკურატურის არქივის გამგე

**გივი ვლადიმერის ძე ძაგანია** — რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო განყოფილების პროკურორი

**ქსენია რაუდენის ასული ხმელიძე** — მახარაძის რაიონის პროკურატურის გამომძიებელი

**გაიოზ ივანეს ძე ჯავახიშვილი** — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორის თანაშემწე

**გამოცხადოთ მადლობა და მიეცეს ჰი მან. ფულადი პრემია:**

**არტემ არშაკის ძე ანანოვს** — ქ. თბილისის ლენინის რაიონის პროკურატურის გამომძიებელს

**გიორგი აღმახსანის ძე დარბაიძეს** — ქ. თბილისის პროკურატურის საგამოძიებო განყოფილების პროკურორს

**თამარ პავლეს ასულ მაისურაძეს** — ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის პროკურატურის კანცელარიის გამგეს

**ქეთევან ამბაკოს ასულ მღვდელაძეს** — რესპუბლიკის პროკურატურის უფროსი საქმისმწარმოებელს

**მარიამ ვარდოს ასულ პაპუნაშვილს** — რეს-

პუბლიკის პროკურატურის უფროსი საქმისმწარმოებელს

**ქეთევან მელიტონის ასულ ფირფილაშვილს** — ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის პროკურატურის გამომძიებელს

**შოთა სერგოს ძე ჭანუყვაძეს** — ქ. თბილისის პროკურატურის საგამოძიებო განყოფილების პროკურორს

**ილია დავითის ძე ხელაიას** — ქ. თბილისის კიროვის რაიონის პროკურორის თანაშემწეს

**მარიამ ალექსანდრეს ასულ ჯანჯღავას** — რესპუბლიკის პროკურატურის უფროსი საქმისმწარმოებელს

**გამოცხადოთ მადლობა:**

**ალექსანდრე ისიდორეს ძე ბარამიას** — აფხაზეთის ასრ პროკურატურის საგამოძიებო განყოფილების უფროსს

**იოველ ილიას ძე გიორგობიანს** — ქ. თბილისის 26 ოქტომბრის რაიონის პროკურორის თანაშემწეს

**ეთერ იასონის ასულ გოგიძეს** — ქ. თბილისის პროკურორის თანაშემწეს სასამართლოებში სამოქალაქო საქმეთა განხილვაზე ზედამხედველობის ხაზით

**ეთერ იაკინთეს ასულ კვინაძეს** — რესპუბლიკის პროკურატურის ინსპექტორს

**თეიმურაზ ნიკოლოზის ძე ლომთათიძეს** — ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის პროკურორს

**იაკობ ანტონის ძე მახარაძეს** — ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პროკურორს

**სოფიო ემანუილის ასულ მღვდელეძვას** — რესპუბლიკის პროკურატურის კადრების განყოფილების პროკურორს

**ზურაბ გიორგის ძე მუხრანელს** — ქ. თბილისის პროკურატურის სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაზე ზედამხედველობის განყოფილების უფროსს

**გიორგი ალექსანდრეს ძე სვანიშვილს** — რესპუბლიკის პროკურატურის სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაზე ზედამხედველობის განყოფილების პროკურორს

**სპირიდონ ბაგრაძის ძე ტვილდიანს** — რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო განყოფილების უფროსის მოადგილეს

**რუბენ ბეგლარის ძე ფირცხალავას** — ცხაკაიას რაიონის პროკურორს

**შოთა სიმონის ძე ფრუიძეს** — რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო განყოფილების პროკურორს

**ოთარ ხვერიანეს ძე შალიკიანს** — რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო განყოფილების უფროსის მოადგილეს

**დიმიტრი სიმონის ძე ჩიტლოვს** — წალკის რაიონის პროკურორს

**შალვა მიხეილის ძე ხახანაშვილს** — რესპუბლიკის პროკურატურის სასამართლოებში სამოქალაქო საქმეთა განხილვაზე ზედამხედველობის განყოფილების პროკურორს

**ეგვენი პავლეს ძე ხითარიშვილს** — რესპუბლიკის პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების პროკურორს


# საქართველო ადვოკატურის 50 წელი

სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს კოლეგიისა და სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცკ პრეზიდიუმის 1972 წლის 12 მაისის გადაწყვეტილებით სამსახურებრივი მოვალეობის უმწიკვლო შესრულებისათვის, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის სსრ კავშირის ადვოკატურის ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცკ პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

ნიკოლოზ გიორგის ძე გიგინეიშვილი — ქ. აკაკი ივანეს ძე დარსანია — ზუგდიდის რაიონის იურიდიული ონის იურიდიული კონსულტაციის გამგე. თბილისის 26 კომისრის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი

სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრის 1972 წლის 12 მაისის ბრძანებით სამსახურებრივი მოვალეობის უმწიკვლო შესრულებისათვის, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის სსრ კავშირის ადვოკატურის ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით გამოეცხადოთ მადლობა:

ჰიხნელ ჩალოს ძე ახუბას — აფხაზეთის ასსრ ონის ორჯონიკიძის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატს  
ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს სერგო ვარლამის ძე გეწამეს — ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატს.  
ბიძინა არჩილის ძე ბარათაშვილს — ქ. თბი-



# ინფორმაცია

## აიერკავკასიის უნივერსიტეტის საინფორმაციო კონფერენცია, მიკვნილი სსრკ შიშინი 50-ე წლისთავისადმი

1972 წლის 27 სექტემბერს აიერკავკასიის რესპუბლიკების დელაქალაქებში ერთსა და იმავე დროს გაიმართა საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციები, რომლებიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირის შექმნის 50-ე წლისთავს. კონფერენციებზე წარდგენილ მოხსენებებში განხილული იყო მეცნიერების განვითარება აიერკავკასიის უნივერსიტეტებში და მათი სამეცნიერო ურთიერთობანი 50 წლის მანძილზე.

კონფერენციაზე შესავალი სიტყვები წარმოთქვეს უნივერსიტეტთა რექტორებმა: თბილისში — პროფ. დ. ჩხიკვიშვილმა, ბაქოში — პროფ. ბაქირ ზადემ, ერევანში — პროფ. ს. ნერსისიანმა.

პლენარულ სხდომებზე მოასმინეს მოხსენებები თემაზე: „აიერკავკასიის ხალხები საბჭოთა კავშირის ერთიან ქმურ ოჯახში“. თბილისში ეს მოხსენება წაიკითხა პროფ. კ. წერეთელმა, ბაქოში — პროფ. ს. განდილოვმა, ერევანში — პროფ. რ. აგაქელიანმა.

კონფერენციებზე მოხსენებებს უმრავლესობა წაიკითხეს სექციებში. იურიდიული სექციის სხდომები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 27-დან 30 სექტემბრამდე მიმდინარეობდა.

შესავალი სიტყვა წარმოთქვა თსუ იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა დოც. ვ. ლორიაშვილი. იგი მიესალმა მომხმ რესპუბლიკებიდან ჩამოსულ სტუმრებს და იმედი გამოთქვა, რომ კონფერენცია მაღალ მეცნიერულ დონეზე ჩატარდებოდა.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ცნობილმა სპეციალისტებმა: პროფესორებმა ივ. სურგულაძემ, გ. ინწკირველმა (თბილისი), პროფესორებმა, ა. სუკიაიანმა, ა. ესაიანმა (ერევანი), დოც. მ. ხალაფოვმა, პროფ. ა. მილმანმა (ბაქო) და სხვებმა.

პირველ დღეს სხდომის მონაწილეებმა მოისმინეს სამი მომხმ რესპუბლიკის უნივერსიტეტთა იურიდიული ფაკულტეტების დეკანთა მოხსენებები, რომლებიც შეეხებოდა აიერკავკასიის უნივერსიტეტებში იურიდიული მეცნიერებების განვითარების მდგომარეობას.

ერევანს სახელმწიფო უნივერსიტეტის დეკანი პროფ. ა. სუკიაიანი ვრცლად შეეხო ერევანის უნივერსიტეტში იურიდიული მეცნიერებების განვითარების საკითხებს. მან აღნიშნა, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის შექმნის შემდეგ დაიწყო განვითარება სომხურმა სამართალმცოდნეობამ. ერევანის უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტი 1921 წელს ჩამოყალიბდა. თავისი არსებობის მანძილზე ფაკულტეტი მძლავრ კერად იქცა და ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა სომხური სამართალმცოდნეობის შესწავლასა და განვითარებაში.

იურიდიულ ფაკულტეტზე ლექციებს კითხულობდნენ და დღესაც მოღვაწეობენ გამოჩენილი მეცნიერები: პროფ. ხ. სამუელაიანი, ა. პაპოვიანი, ა. ესაიანი, ა. თოვმასიანი და სხვები.

მოხსენებელმა ილაპარაკა იმ საკითხებზე, რომლებზეც ამჟამად წარმატებით მუშაობენ სომეხი მეცნიერი იურისტები.

50 წლის მანძილზე განვლილი გზა რომ მიმოიხილა, პროფ. ა. სუკიაიანმა ჩამოთვალა ის დიდი მიღწევები, რაც მოპოვებულია როგორც სამართლის ისტორიის, ისე სამართლის ზოგადი თეორიის საკითხების შესწავლაში. მან ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ სომეხი მეცნიერები აქტიურად მონაწილეობენ თეორიული პრობლემების დამუშავებაში და, ამასთან, დიდ დახმარებას უწევენ პრაქტიკოს მუშაკებს. მათ წვლილი შეაქვთ აგრეთვე „საბჭოთა სომხეთის ენციკლოპედიის“ შექმნაში.

ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დეკანმა, დოც. მ. ხალაფოვმა დამსწრეთ გააცნო იურიდიული ფაკულტეტის შექმნის ისტორია, რომელიც 1927 წლიდან იწყება. მან აღნიშნა, რომ ქართველმა მეცნიერმა იურისტებმა დიდი დახმარება გაუწიეს აზერბაიჯანელ მეგობრებს იურიდიული ფაკულტეტისათვის კადრების მომზადებაში.

დღეს ფაკულტეტზე მეცნიერების 7 დოქტორი და 23 კანდიდატი მოღვაწეობს. წარსულში ფაკულტეტზე ლექციებს კითხულობდნენ გამოჩენილი მეცნიერები: მ. მელიქოვი, გ. შახტატინსკი, ნ. პოლიანსკი, ს. კერეიანი და სხვები.

აზერბაიჯანელ მეცნიერ-იურისტთა ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო აზერბაი-



ჯანის მეცნიერებათა აკადემიაში 1959 წელს სამართლის განყოფილების გახსნა. ამ განყოფილების საფუძველზე შეიქმნა ფილოსოფიისა და სამართლის ინსტიტუტი, რომელსაც სამართლის სამი განყოფილება აქვს. ინსტიტუტის კოლექტივი ნაყოფიერად მუშაობს აზერბაიჯანის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის სამტომეულის შექმნაზე.

ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებს ბევრი მნიშვნელოვანი ნაშრომი აქვთ გამოქვეყნებული. ეყენია: გ. კაგრამანოვის „სისხლის სამართალი“, ა. ასადოვის „სამოქალაქო სამართალი“, ქ. მამედოვის „სისხლის სამართლის პროცესი“ და სხვა მრავალი. ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებს მჭიდრო კავშირი აქვთ დამყარებული პროკურატურის, სასამართლოს და შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებთან.

დიდი ადგილი ეთმობა საბჭოთა სამართლის პროპაგანდას, როგორც საზოგადოება „ცოდნის“, ისე პარტიული ორგანოების ხაზით. ფაკულტეტზე მუშაობს იურიდიული კონსულტაცია, სადაც პედაგოგები და უფროსი კურსის სტუდენტები იურიდიულ დახმარებას უწევენ მშრომელებს სამართლის საკითხებზე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა დოც. ვ. ლორიაშვილმა მსმენელთ გააცნო ის სასახლო გზა, რომელიც განვლო ფაკულტეტმა 50 წლის განმავლობაში.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები აქვს ქართულ სამართალს. ამ ტრადიციებმა შემდგომი განვითარება ჰპოვა 1922 წლიდან, როდესაც თბილისის უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა იურიდიული ფაკულტეტი. პირველად იგი სოციალ-ეკონომიურ ფაკულტეტად იწოდებოდა. 30-იან წლებში მას საფუძველზე ჩამოყალიბდა საბჭოთა მშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტი, ხოლო 1934-35 წლებში იგი კვლავ იურიდიულ ფაკულტეტად გადაკეთდა.

მომხსენებელმა მადლიერებით მოიხსენია პედაგოგთა ის შესანიშნავი პლეადა, რომლებიც იურიდიულ ფაკულტეტზე მოღვაწეობდნენ: ივანე ჯავახიშვილი, შალვა ნუცუბიძე (იურიდიული ფაკულტეტის პირველი დეკანი), ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, ალექსანდრე ვაჩიიშვილი, იროდიონ სურგულაძე და სხვანი.

დღეს იურიდიულ ფაკულტეტზე 1300 სტუდენტი სწავლობს. მათ 16 პროფესორი და 20 დოცენტი უკითხავს ლექციებს.

ფაკულტეტზე 4 კათედრაა: საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის (ხელმძღვანელი პროფ. ივ. სურგულაძე); სახელმწიფოსა და სა-

მართლის თეორიის (ხელმძღვანელი პროფ. გ. ინჭკირველი); სამოქალაქო სამართლისა და პროცესის (ხელმძღვანელი პროფ. ს. ჯორბენაძე); სისხლის სამართლისა და პროცესის (ხელმძღვანელი პროფ. ბ. ფურცხვანიძე).

კათედრები ნაყოფიერად მუშაობენ: ამყარებენ საქმიან კონტაქტებს საბჭოთა და აღმოსავლურ ორგანოებთან, გამოსცემენ სახელმძღვანელოებს, მონაწილეობენ რესპუბლიკურ და საკავშირო კონფერენციებში, აგრეთვე სხვა ღონისძიებებში.

იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს უფლება აქვს მინიჭოს პირებს სამეცნიერო წოდებები: სადოქტორო დისერტაციებს ჩვენთან მარტო ქართველი მეცნიერები კი არ იცავენ, არამედ — სხვა მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლებიც.

თსუ იურიდიულ ფაკულტეტს მჭიდრო კავშირი აქვს მეცნიერებათა აკადემიის სამართლისა და ეკონომიკის ინსტიტუტის სამართლის სექტორთან. ისინი ნაყოფიერად თანამშრომლობენ ჟურნალ „საბჭოთა სამართალი“-ს, აგრეთვე საკავშირო და უცხოეთის ჟურნალებშიც.

28 სექტემბერს მოხსენება თემაზე — „საბჭოთა კავშირის შექმნის სამართლებრივი საფუძვლები“ — წაიკითხა ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ა. ესაიანმა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, კაცობრიობის ისტორიაში პირველმა დაუღო საფუძველი დამონებული ერებისა და ხალხების გათავისუფლების საქმეს. საბჭოთა კავშირის შექმნის სამართლებრივი საფუძვლები განმტკიცებულია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ მიღებულ დეკლარაციაში და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების 1922 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულებაში. მათ საფუძველად უდევს შემდეგი პრინციპები: 1. გაერთიანებული რესპუბლიკების სუვერენული თანასწორობა, 2. გაერთიანების ნებაყოფლობითობა, 3. კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლება.

პროფ. ა. ესაიანმა აღნიშნა, რომ იგი საჭიროდ ცნობს ახალი ნორმატიული აქტის გამოცემას, რომელიც მოაწესრიგებს ერთიანი საკავშირო მოქალაქეობის საკითხს და განსაზღვრავს საკავშირო და რესპუბლიკურ მოქალაქეობას.

მსმენელნი განსაკუთრებით დაინტერესდა ქაოს უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოცენტის მ. მელიქოვას მოხსენებამ თემაზე: „ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის იდეები XIX საუკუნის მეორე

ნახევრასა და XX საუკუნის დასაწყისის აზერბაიჯანელი განმანათლებლების ნაშრომებში“.

დოქ. მ. მელიქოვამ აღნიშნა, რომ ხალხთა ინტერნაციონალიზმისა და მეგობრობის იდეის შემუშავება მშრომელთა კლასობრივი ბრძოლის განვითარებასთან ერთად ხდებოდა. აზერბაიჯანელი ერის საამაყო შედეგების მ. ახუნდოვის, გ. ზარდაბის, მ. შახტახტინსკის და სხვათა ნაშრომებში ასახულია ხალხის პროტესტი ეროვნული ჩაგვრისა და ექსპლუატაციის წინააღმდეგ, მათი ლტოლვა განთავისუფლებისაკენ. აზერბაიჯანელი განმანათლებლები ამხელდნენ ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას, ამიერკავკასიისა და სხვა ქვეყნების დაჩაგრულ ერებს მოუწოდებდნენ მჭიდრო კავშირისაკენ.

აზერბაიჯანელი განმანათლებლების შემოქმედებამ ფასდაუდებელი ამაგი დასდო და მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ამიერკავკასიის მოძმე ერების შემდგომ მეგობრობას, მათ ოცნებას — თანასწორობას, ძმობასა და მეგობრობას მხოლოდ საბჭოთა პერიოდში შეეხსა ფრთები. დღეს მრავალეროვანი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ბაირაღზე ნათლად წერია: „თვითეული სოციალისტური რესპუბლიკა შეიძლება განვითარდეს და განმტკიცდეს მხოლოდ სოციალისტური ერების დიდ ძმურ ოჯახში“.

საინტერესო იყო გამოჩენილი ქართველი მეცნიერის ივ. სურგულაძის მოხსენება „საქართველოს სამართლის ისტორიის განვითარება 50 წლის განმავლობაში“.

მოხსენებელმა მოიხსენია ქართული სამართლის თავკაცები — ვახუშტი, დავითი, იოანე და თეიმურაზ ბაკრატიონები, მ. ბროსე, დ. ბაქრაძე, ნ. მარი. განსაკუთრებით აღნიშნა აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის დამსახურება ქართული სამართლის ისტორიის შესწავლაში. მან აღნიშნა, რომ ქართულმა სამართალმცოდნეობამ ნამდვილ აყვავებას მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ მიაღწია, რომ ქართულ სამართლის ისტორიის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს კ. კეკელიძემ, ა. შანიძემ, ს. კაკაბაძემ, ს. ჯანაშიამ, ნ. ბერძენიშვილმა, ს. ყაუხჩიშვილმა, შ. მესხიამ, გ. მელიქიშვილმა. მოხსენებელმა აღნიშნა ირ. სურგულაძის, ალ. ვაჩიშვილის, ი. დოლიძის დიდი წვლილი ქართული სამართლის ისტორიის განვითარებაში. პროფ. ივ. სურგულაძე შეჩერდა აგრეთვე დ. ფურცელაძის, გ. ნადარეიშვილისა, მ. კეკელიას, ი. ფუტყარაძის, ნ. კორძაია-სამადაშვილის და ვ. მეტრეველის ნაშრომების მნიშვნელობაზე.

ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ა. სუკიასიანის მოხსენების თემა

იყო „საბჭოთა სომხეთის სამართლებრივი მდგომარეობა სსრ კავშირის შემადგენლობაში“.

მოხსენება ოთხი ნაწილისაგან შედგებოდა: 1. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება, 2. სომხეთის სსრ სამართლებრივი მდგომარეობა ამიერკავკასიის ფედერაციის შემადგენლობაში, 3. სომხეთის სსრ სამართლებრივი მდგომარეობა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში 1922-36 წლებში, 4. სომხეთის სსრ სამართლებრივი მდგომარეობა სსრ კავშირის შემადგენლობაში 1936 წლის 5 დეკემბრის კონსტიტუციისა და 1937 წ. 23 მარტის სომხეთის სსრ კონსტიტუციის მიხედვით.

ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ე. ასკეროვმა ისაუბრა „საბჭოთა კავშირის შექმნასა და მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო სამართალსუბიექტობაზე“.

მოხსენებაში ნაჩვენები იყო თუ, რა დიდი ზეგავლენა მოახდინა სსრ კავშირის შექმნამ თანამედროვე საერთაშორისო სამართალზე. მომხსენებელმა გააკრიტიკა ბურჟუაზიული იდეოლოგიები, რომლებიც ჩირქს სცეხებენ საბჭოთა სინამდვილეს, ჩვენს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. მან თქვა, რომ საბჭოთა აზერბაიჯანი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს ჩამორჩენილი ქვეყანა სოციალიზმის პირობებში. დღეს აზერბაიჯანის სსრ მრავალი საერთაშორისო ურთიერთობის აქტიური მონაწილეა. პროფესორმა ასკეროვმა გამოთქვა მოსაზრება, რომ საქაროა გაფართოვდეს მოკავშირე რესპუბლიკების უშუალო უფლება დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობისა, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მოკავშირე რესპუბლიკების ავტორიტეტის ზრდას საერთაშორისო მასშტაბით, კიდევ უფრო განამტკიცებს სსრ კავშირის ავტორიტეტს საერთაშორისო სარბიელზე.

საინტერესო იყო ბაქოს უნივერსიტეტის პროფესორ ა. მილმანის გამოსვლა. მან ილაპარაკა „აზერბაიჯანის მონაწილეობაზე ამიერკავკასიის ფედერაციისა და საბჭოთა კავშირის შექმნაში“.

ა. მილმანმა აღნიშნა ის დიდი როლი, რაც ამიერკავკასიის ფედერაციამ ითამაშა მასში შემავალი რესპუბლიკების განვითარების საქმეში. ამიერკავკასიის რესპუბლიკები პირველნი გამოვიდნენ რესპუბლიკების კავშირის შექმნის ინიციატივით და რომ საკითხმა სსრ კავშირის შექმნის შესახებ მხურვალე მხარდაჭერა ჰპოვა ამიერკავკასიის საბჭოების I ყრილობაზე 1922 წლის 10 დეკემბერს.



ერენის სახ. უნივერსიტეტის დოც. ა. თოვ-მასიანის მოხსენების თემა იყო „სომხეთის სსრ სისხლის სამართლის კანონმდებლობის განვითარება საერთო-საკავშირო კანონმდებლობის საფუძველზე 1927-58 წლებში“.

საინტერესო იყო თსუ იურიდიული ფაკულტეტის პროფესორის გ. ინწკირველის მოხსენება თემაზე: „სოციალისტური დემოკრატია და სსრ კავშირში სახელმწიფო წყობილების პრინციპების განვითარება“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, რომლის გადაწყვეტათაც აღინიშნება ლენინური სოციალისტური დემოკრატიზმის პრინციპის გამარჯვება, არის ეროვნული საკითხი. ლენინმა შექმნა მოძღვრება ეროვნული საკითხის შესახებ და მიგვივითა ყველა ეროვნების მშრომელთა სოციალურ და ეროვნული განთავისუფლების აუცილებლობაზე.

პროფ. გ. ინწკირველმა აღნიშნა, რომ ეროვნული ურთიერთობის განვითარება ფედერალური სახელმწიფოს ფარგლებში გაერთიანების ნებაყოფლობითობას, თანასწორუფლებიანობას, ურთიერთპატივისცემასა და ურთიერთდახმარებას ლენინურ პრინციპებს ემყარება.

მუდმივი გათვალისწინება როგორც საკავშირო, ასევე მასში შემავალი ყველა რესპუბლიკის ინტერესებისა — ასეთია პარტიის პოლიტიკის არსი აღნიშნულ საკითხზე.

კონფერენციამ განსახილველად გამოტანილი იქნა აგრეთვე შემდეგი ნაშრომები: ა. ალიევის (ბსუ) „აზერბაიჯანის სსრ კონსტიტუციური განვითარება სოციალისტური მშენებლობის პერიოდში“, ა. ნერსესიანის (ესუ) „ამიერკავკასიის ფედერაცია — სსრ კავშირის თანასწორუფლებიანი წევრა“, ა. ფაღლაშვილის (თსუ) — „პროცესუალური ნორმების დაცვა ექსპერტიზის ჩატარებისას, სოციალისტური კანონიერების განმტკიცების მნიშვნელოვანი საშუალება“, შ. ფაფაშვილი (თსუ) — „თანამდებობრივ დანაშაულებთან ბრძოლის ეტაპები საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობით“.

29 სექტემბერს კონფერენციამ დაამთავრა მუშაობა. დასკვნითი სიტყვა წარმოთქვა კონფერენციის იურიდიული სექტორის ხელმძღვანელმა დოც. ვ. ლორიამ, მან იმედი გამოთქვა, რომ მოქმე რესპუბლიკების უმალეს დაწესებულებათა ასეთი კონტაქტები ხელს შეუწყობს საბჭოთა იურიდიული მეცნიერების შემდგომ წინსვლას.

კონფერენციის დამთავრების შემდეგ შეხვედით მის ზოგიერთ მონაწილეს და ვთხოვეთ ჟურნალის მკითხველთათვის გაეცნოთ თავიანთი შთაბეჭდილებები.

აი რა განაცხადეს მათ:

ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დეკანი, დოც. მ. სალაფოვი:

— კონფერენცია მიეძღვნა სსრ კავშირის შექმნის 50-ე წლისთავს და უმალეს დონეზე ჩატარდა. ყველა მოხსენება საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო. ასეთი შეხვედრები რაც შეიძლება ხშირად უნდა მოეწყოს.

დიდ მადლობას ვუხდი ქართველ მეგობრებს გულთბილი მიღებისათვის და ვუსურვებ შემდგომ წარმატებებს მეცნიერულ საქმიანობასა და პირად ცხოვრებაში.

ერენის სახელმწიფო უნივერსიტეტის დეკანი, პროფ. ა. სუკიასიანი:

— სსრ კავშირის შექმნის 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ამიერკავკასიის მეცნიერ იურისტთა ცხოვრებაში. კონფერენციის მონაწილეებმა ილაპარაკეს აქტუალურ საკითხებზე. ყოველი მათგანი საინტერესო იყო. ვისურვებდი, რომ ასეთი შეხვედრები ტრადიციად იქცეს.

დიდ მადლობას ვუხდი კონფერენციის სარგანიზაციო კომიტეტს, თსუ იურიდიულ ფაკულტეტის ხელმძღვანელობას გულთბილი მასპინძლობისათვის.

ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელი, დოც. მ. მელიქოვა:

— კონფერენცია მაღალმეცნიერულ დონეზე ჩატარდა და ცხადყო, თუ რა დიდ წარმატებებს მიაღწია საბჭოთა იურიდიულმა მეცნიერებამ 50 წლის მანძილზე. სასურველი იქნებოდა ასეთი შეხვედრები ხშირად მოეწყოს. ეს ხელს შეუწყობს ჩვენი მეცნიერების წინსვლას.

დიდ მადლობას ვუხდი კონფერენციის ორგანიზატორებს, ვუსურვებ მათ ყოველივე სიკეთეს.

თ. ზაპრაძე.

6.58/2



8560 50 353.

ИНДЕКС 76185

# СОВЕТСКОЕ ПРАВО № 5

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР  
и Министерства Юстиции Грузинской ССР